გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

№67 (823) 17 – 18 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ირინა ენუქიძისა და მერაბიშვილის ნათესავის მკვლელობის სკანდალური ვერსია



სანდრო გირგვლიანის დედა და ბიზნესმენი ნოდარ საქუაშვილი ხელოვნური სიმსივნით გარდაიცვალნენ?!



გვ. 3

## მალე შაქარი 2 ლარამდე გაძვირდება?!

„თეთრი ოქროს“ პოლიტიკური თამაშები გვ. 6

## სკანდალი სახალხო კრებაში

### თემურ შაშიაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს ნინო ბურჯანაძეს არ უჭერს?!



„პირველად, პარტიაში მე შემომთავაზეს, პრეზიდენტად კენჭი მეყარა. ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადე და ვთქვი, რომ თუ პრეზიდენტად არაპოლიტიკოსს ვირჩევთ, ეს მინდია უგრეხელიძე უნდა იყოს, ხოლო თუ უფრო ახალგაზრდა კაცს ვეძებთ — პაატა ცნობილაძე, მსოფლიო იურისტთა ვიცე-პრეზიდენტი-მეთქი. პარტიაში განიხილებოდა სოსო ცისკარიშვილის კანდიდატურაც. ჩვენი პარტია მხარს პრეზიდენტობის იმ კანდიდატს დაუჭერს, ვინც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს!“



გვ. 4

# მხოლოდ 40 თეთრი

## ივანიშვილის ფავორიტ გია ღვალთან განათლების სამინისტრომ კომუნიკაცია გაწყვიტა?



გვ. 11

## თინა ხიდაშელის აღიარებითი ჩვენება



საგარეჯოელი ჩინოვნიკების საქმის უცნობი დეტალები გვ. 5

დიტო გელოვანი

## მძიმე ნაცრის მსუბუქი მძევლები

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში გვ. 2

გამოსათხოვარი

## გიგა ლორთქიფანიძე: „დიახ, განზე გავდექი, ამის მიზეზი გულგატეხილობაა!“

გვ. 12



დიტო გელოვანი

**შემჩნეულია, რომ სახელმწიფოს მართვისთვის დაბადებულად თავის თავს, სწორედ და, უპირველეს ყოვლისა, შეზღუდული და სულიერად ხელმოკლე კაცები სთვლიან. ისინი გასაოცარი მხნეობითა და შეუპოვრობით მიიწევენ წინ და მათგან უბეჯითესნი აღწევენ კიდეც მიზანს — მართვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სადავეებს. მე ბევრი მიფიქრია ასეთთა წარმატების ბუნებასა და მიზეზებზე; მგონი, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ყოველივე ეს, ძირითადად, მანიაკობიდან მოდის: როცა კაცს თავისი უპირატესობა ფანატიკურად წამს, მაშინ მისი ყოველი ქმედება, ყველა საქციელი თავხედობამდე გაბედულია.**

***(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)***

# მძიმე ნაცრის მსუბუქი მქექავები



სწორედ გუშინ იყო, ერთმა ცნობილმა ექსპერტმა პირად საუბარში სიამაყით რომ აღნიშნა, „დათა თუთაშხია“ ბავშვობის შემდეგ არ წამიკითხავსო და დაუფარავად დამცინა — აბა, რაღა დროს შენი ეგენიაო...

ჰო, არა? აი, ის, რითაც დავიწყე და რითაც დავასრულე, ისეთი ნაღდი და მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა, შეგიძლია, მეტი არაფერი თქვა და არაფერი დაწერო. უბრალოდ, თან ატარე ეს (და სხვა) წიგნი და ხმამაღლა უკითხე მას, ვისაც საერთოდ არ წაუკითხავს ან წაუკითხავს, მაგრამ ბავშვობაში და ამიტომ არაფერი ახსოვს. არსებობს 50 და, სულ ცოტა, კიდევ ორი მაგდენი წიგნი, რომელიც სულ უნდა იკითხო, სანამ ცოცხალი ხარ.

ერთხელ კიდევ მოვიტან ერთ სტრიქონს — „როცა კაცს თავისი უპირატესობა ფანატიკურად წამს, მაშინ მისი ყოველი ქმედება, ყველა საქციელი თავხედობამდე გაბედულია“.

ხომ კარგად ჩავწვდით ამ სტრიქონის დედააზრს — თავხედი კაცი ტანკზე უარესია! ჰოდა, ამის დადასტურებაა ის ვრცელი ნიუსი, რომელსაც სრულად შემოგთავაზებთ. დარწმუნებული ვარ, ამ ინფორმაციამ თითოეულ თქვენგანამდე მოაღწია, მაგრამ, რადგან არ გამოვრიცხავ, რომ თქვენამდე მოღწეული იყო არასრული, ამიტომ თავს უფლებას მივცემ და სრულად შეგახსენებთ:

„ახალი მოწვევის პარლამენტის წევრებმა, პრემიის სახით, სულ 956 389 ლარი მიიღეს, – ამის შესახებ ინფორმაციას IDFI ავრცელებს. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სტატიის მიხედვით, 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის აპრილის თვის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის წევრებზე პრემიის სახით სულ გაცემულია 2 702 646,84 ლარი. აღნიშნული თანხიდან წინა მოწვევის პარლამენტის პირობებში (2012 წლის იანვარი-ოქტომბერი) გაცემულია 1 746 258 ლარი, ხოლო ახალი მოწვევის პარლამენტის პირობებში (2012 წლის ნოემბერი – 2013 წლის აპრილი) – 956 389 ლარი.

ამავე დროს, სახელფასო დანამატებით სულ გაცემულია 2 938 319 ლარი, საიდანაც წინა მოწვევის პარლამენტის პირობებში გაცემულია — 1 415 043 ლარი, ხოლო ახალი მოწვევის პარლამენტის პირობებში – 1 523 276 ლარი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარლამენტიდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, პრემიის გაცემის პრაქტიკა 2013 წლის იანვრდან გაუქმებულია.

„თუმცა, აღნიშნულის კვალდაკვალ, 2013 წლის 18 იანვრის საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, გაიზარდა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის არსებული სახელფასო დანამატები“, — ნათქვამია სტატიაში.

სტატიის მიხედვით, პარლამენტის წევრთა ყოველთვიური შემოსავალი ასე ნაწილდება: ყველა მათგანი პარლამენტის წევრის თანამდებობრივ სარგოს 2000 ლარს იღებს, რასაც ემატება დანამატი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის, რის შედეგადაც, პარლამენტის თავმჯდომარის შემოსავალი, საერთო ჯამში 5905 ლარს, პირველი მოადგილის — 5570 ლარს, მოადგილის — 5505 ლარს, უმრავლესობის, უმცირესობის ლიდერებისა და კომიტეტის თავმჯდომარეების — 4705 ლარს და პარლამენტის წევრების კი — 3790 ლარს შეადგენს.

„პრემიების გაცემის ყოველთვიური პრაქტიკის გაუქმებით, რეალურად, ახალი მოწვევის პარლამენტის დეპუტატების შემოსავლები უნდა შემცირებულიყო 30%-ით წინა მოწვევის პარლამენტის დეპუტატების შემოსავლებთან შედარებით, თუმცა სახელფასო დანამატების ზრდამ განაპირობა შემოსავლების მხოლოდ 5-პროცენტიანი შემცირება“, — ნათქვამია IDFI-ის სტატიაში“.

რა გითხრათ, რით გაგახაროთ?.. რა უნდა გითხრათ იმაზე მეტი, რაც უკვე ორჯერ გაგახსენეთ და ერთხელაც გავბედავ, რადგან მგონია, რომ ამაზე სწორად და ამაზე ზუსტად არავის უთქვამს და ვერც ვერავინ იტყვის — „როცა კაცს თავისი უპირატესობა ფანატიკურად წამს, მაშინ მისი ყოველი ქმედება, ყველა საქციელი თავხედობამდე გაბედულია“.

იცით, როგორ ხდება? ჭაბუა ამირეჯიბის ჰონორარებიდან საშემოსავლო გადასახადის სახით დაქვითულ 20 პროცენტს ხელფასისა და პრემიის სახით, ჯიბეში იდებენ ნუგზარ წიკლაური და გოგი ქავთარაძე, მარიამ საჯაია და ნანა ყეენიშვილი.

ეს — ხელფასისა და პრემიის სახით, თორემ მგზავრობა, ტელეფონი, კვება, ბინის ქირა და მივლინება კიდევ სხვაა და იქნებ, ორ მაგდენსაც და მეტსაც შეადგენდეს და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ბუსუსებიანი პრეზერვატივების გამო, დეპუტატებმა ლამის ერთმანეთი დახოცეს, ხელფასებსა და პრემიებზე კი სიტყვაც არ დასცდენიათ. როცა საქმე ანაზღაურებაზე მიდგება, თინათინ ბოკუჩავას ხათუნა გოგორიშვილისგან ვერ განასხვავებ და არც ნანა ყეენიშვილსა და თინა ხიდაშელს შორისაა დიდი განსხვავება. თან ყველაზე სიმწრით სასაცილო ისაა, რომ ლამის დაგვაყვედრონ, ლამის გმირობა დაიბრალონ და ლამის უფასო რძე მოგვთხოვონ. ა, ბატონო:

„პარლამენტში ყოფნა სახიფათოა, — ამის შესახებ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა.

დეპუტატი ღამით პარლამენტში მომხდარ შემთხვევას გამოეხმაურა, რა დროსაც მილი გასკდა, წყალმა გაჟონა და ჭერი ჩამოიშალა. როგორც ტყემალაძემ აღნიშნა, პარლამენტში ყოფნა ყველასთვის საშიშია, მით უმეტეს, რომ შენობაზე სამხრაულის სახელობის ეროვნულმა ბიურომ დასკვნა ვერ გასცა, რომ ის უსაფრთხოა. „ყველანი ერთნაირი საფრთხის ქვეშ ვართ“, — აღნიშნა ტყემალაძემ“.

მშიშარაა, მშიშარა!

მე თუ მკითხავ, სანამ რამე უბედურება არ დატრიალებულა, ის დროა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს ვითხოვდეთ. ისე კი, გააჩნია, ვისთვის რა არის უბედურება. მე თუ მკითხავ, უბედურება სწორედ ისაა, რაც ახლა ხდება — გამოვა რომელიმე ნაცი, იტყვის რაღაცას, წამოუხტება რომელიმე ქოცი და დამცინავი ღიმილით ეუბნება, თქვენ რა გაქვთ სალაპარაკოო და უახლეს ისტორიას გაახსენებს. ასე გადის დრო, ბუსუსებიანი პრეზერვატივებით დაიწყეს, გასულ კვირაში კი მთავარი სალაყბო თემა ნაცარი იყო. თავიდან, ნიუსის სათაური — „გიგი წერეთელი: საქართველოში ნაცრის შემოტანა ის ბიზნესი არ არის, რომელიც მოსახლეობას დაასაქმებს“, — რომ წავიკითხე, ვიფიქრე, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას გულისხმობს-მეთქი, მაგრამ შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას და წასაკითხი ბოლომდე უნდა წაიკითხო.

„საუბარია ნაცრის შემოტანის ბიზნესზე, რაზეც პარლამენტში კანონპროექტი შემოდის. როგორც ვიცი, ვიღაცას აქვს ალბათ ასეთი ბიზნესი ევროპაში ან სადმე სხვაგან — განადგურებული ნარჩენები ან ნაცარი, რომ შემდეგ საქართველოში შემოიტანოს. ეს ის ბიზნესი არ არის, რაც ჩვენს მოსახლეობას დაასაქმებს და რაც უკეთესს პირობებს შექმნის“, — განაცხადა წერეთელმა. ცნობისთვის, მთავრობამ პარლამენტს ქვეყნის ტერიტორიაზე მძიმე ნაცრისა და საცეცხლე წიდას იმპორტის დაშვების ინიციატივით მიმართა. ამას „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი ითვალისწინებს, რომლის ავტორი — ენერგეტიკის სამინისტრო, ინიციატორი კი მთავრობაა“.

მოკლედ, ბუსუსებიანი პრეზერვატივი, მძიმე ნაცარი და აკადემიური დისკუსიები თემაზე „ყვავმა ყვავს უთხრა, შე შავოო“.

ნაცებს, მართლაც არაფერი აქვთ სათქმელი, მაგრამ ხანდახან სიტყვები „ოცნებამაც“ უნდა გაფილტროს. მაგალითად, გასულ კვირაში მანანა კობახიძემ დავით დარჩიაშვილს „კომკავშირული წარსული“ გაახსენა: „ბატონო დავით! მე და თქვენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ერთდროულად ვსწავლობდით. თქვენ ცოტა წინ იყავით. მახსოვს, ძალიან წარმატებით საქმიანობდით ე.წ. კომკავშირის კომიტეტში და იყავით ისტორიის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ეს დიახაც, იყო პარტიული დანიშვნა. პარტიული ნომენკლატურა საზღვრავდა, ვინ უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძალიან პოლიტიზირებული — ისტორიის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ამ თანამდებობებზე, ტრადიციულად, ინიშნებოდნენ თუ ირჩეოდნენ ადამიანები, რომლებიც წარმატებით თანამშრომლობდნენ მაშინდელ უშიშროების სამინისტროსა თუ სამსახურებთან. ეს კომუნისტური წარსული იქნებ თქვენ გაქვთ, ბატონო დავით, ჩვენ რომ გვაბრალებთ რაღაც კავშირებს ძველ კომუნისტურ ნომენკლატურასთან“, — უკბინა დარჩიაშვილს მანანა კობახიძემ.

არავინ კამათობს — საკბენი უნდა დაიკბინოს, მაგრამ ცოფი? თუ გაცოფდა, ხომ მტრისას? მე ის მიკვირს, დარჩიაშვილი რომ არ გაცოფდა (პრინციპში, მაგათ პარტიაში ცოფის საკონტროლო პაკეტი ერთ სუბიექტშია თავმოყრილი), მომენტით არ ისარგებლა და ქ-ნ კობახიძეს არ შეახსენა, რომ კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი კომუნისტური პარტიის წევრი იყო და პარტიაში სწორედაც რომ, 9 აპრილის შემდეგ შევიდა.

მაგრამ, რადგან დარჩიაშვილი არ ახსენებს კობახიძეს, მუჰამედი მიდის მთასთან და მანანა კობახიძეს მინდა შევახსენო, რომ... თუმცა, ჯობს, ჯერ ნიუსს გავეცნოთ: „ხელისუფლება, მათ შორის პარლამენტი, მოწადინებულია, რომ ქვეყანაში ყოველგვარი ფაქტი, რომელიც უკავშირდება უმცირესობების უფლებების შელახვას, გამოძიებული იყოს“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ საქართველოს ეროვნული, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების შესახებ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე კონფერენციის დაწყებამდე განუცხადა.

მისივე განმარტებით, ცუდია, რომ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს ვექცევით არასწორად და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სახელმწიფომ ძალადობის ფაქტებსა და სიძულვილის ენაზე რეაგირება მოახდინოს“.

ერთადერთი, რასაც მივხვდი ისაა, რომ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს მანანა კობახიძე ექცევა არასწორად. ასევე, მივხვდი იმასაც, რომ ამ ქვეყანაში არავის აინტერესებს უმრავლესობის უფლებები, რაც უნდა შელახული იყოს ის. რეპრესირებული ბიზნესმენები, საერთოდ, ბიზნესმენთა უმრავლესობას შეადგენენ, არარეპრესირებულები უმცირესობაში არიან და ალბათ ამიტომაცაა, რომ არარეპრესირებული პარლამენტში ზის, ხოლო რეპრესირებული ემიგრაციაში იმყოფება. საბოლოოდ, ისე გამოდის, რომ საქართველოში მხოლოდ უმცირესობის უფლებებია დასაცავი, უმცირესობათა სიაში კი, ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების გვერდით საპატიო ადგილი უკავია საპარლამენტო უმცირესობას და აქ კიდევ ერთხელ როგორ არ უნდა გავიხსენოთ დავით უსუფაშვილის უკვდავი სიტყვები — „ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ქართული დემოკრატიის მთავარი ამოცანაა“.

ამოცანა გვეკითხება: „რა არის ნაციონალური მოძრაობის მთავარი ამოცანა?“ პასუხი: „ნაციონალური მოძრაობის მთავარ ამოცანას „ქართულ ოცნებაში“ მოკალათებული შეზღუდული და სულიერად ხელმოკლე კაცების გადარჩენა წარმოადგენს“.

როგორც მივხვდი, კოჰაბიტაცია წყალწაღებულთა მიერ ერთმანეთის გადარჩენაზე ზრუნვა ყოფილა და აგერ ორი სათაური, რომელთაგან ერთი „ცისფერი მთებია“, ხოლო მეორე — „დაუჯერებელი ამბავი“.

ნიკა რურუა: „ყველაფერი დამთავრდება ორკესტრისა და ნიკოლოზ რაჭველის ინტერესებიდან გამომდინარე“.

გურამ ოდიშარია: „ნიკა მემანიშვილის გათავისუფლება არავის უნდა“.

ოდიშარიამ იმდენი იჩალიჩა, რურუას შექებაც კი დაიმსახურა — „დარწმუნებული ვარ, ჩემი შემცვლელი, ჩემი მემკვიდრე ბატონი გურამი, ამაში მიიღებს კომპეტენტურ და სამართლიან მონაწილეობას. ის არ არის უსამართლო ადამიანი და ყველაფერი დამთავრდება ორკესტრისა და მისი ხელმძღვანელის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე“.

ეს რა უბედურებაა? რატომ იცის ამ ხალხმა სხვისი სახელით ლაპარაკი? აგერ, მანანა კობახიძემ თქვა, უმცირესობებს ცუდად ვექცევითო და ისე გამოვიდა, რომ მეც ცუდად ვექცევი, არადა, საერთოდ არ ვექცევი — არც ცუდად და არც კარგად. მანამდე უსუფაშვილმა თქვა ის, რაც თქვა — ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ქართული დემოკრატიის მთავარი ამოცანააო და გამოდის, დემოკრატიისთვის იმიტომ უნდა ვიბრძოლოთ, ნაციონალური მოძრაობა რომ გადარჩეს და, ოდიშარიას განცხადებაც — ნიკა მემანიშვილის გათავისუფლება არავის უნდა — ჩემი და თქვენი სახელით იყო გაკეთებული.

რამდენიც მინდა? რამდენიც მინდა, იმდენი მოხვდეს არმაგედონის ზანგის ყველა იმას, ვინც გიგი უგულავას მემკვიდრის დაბადებას ვენაში არამუსიკალური ღრიანცელით აღნიშნავდა!

სიმართლე გითხრათ, ძალიან გაბრაზებული ვარ და ვცდილობ, ბრაზიანი ემოციები სხვა დროისა და სხვა ვითარებისთვის შემოვინახო — როცა მომეცემა საშუალება და პირადად შევხვდები თუნდაც კობახიძეს, თუნდაც უსუფაშვილს და თუნდაც ოდიშარიას. იმედი მაქვს, რომ შევხვდები და ვიმედოვნებ, ჩემი არაენჯეოშნიკობის მიუხედავად, ამის საშუალება აუცილებლად მომეცემა.

აი, მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს აუცილებლად გადაეყრება სადმე.

გასულ კვირაში სხვაც ბევრი ამბავი მოხდა — იუსტიციის საბჭოდან ვიღაც წავიდა და ვიღაც მოვიდა, რექტორრობიდან ბევრის წასვლა და მათ ადგილებზე სხვების მოსვლა გადაწყდა...

კოტე კუბლაშვილმა თქვა, თეა წულუკიანი მიხვდება, რომ არ შეიძლება, შეურაცხყოფა მიაყენო მოსამართლესო...

ნუგზარ წიკლაურმა თქვა, პრემიერი აპირებს, თვითონ დანიშნოს რექტორები, რაც მიანიშნებს სურვილზე, დაიქვემდებარონ ყველაფერი ამ ქვეყანაშიო...

აი, სწორედ ამ თავხედობაზეა საუბარი — რა რექტორი... წიკლა-ნუგზარას კარგად უნდა ახსოვდეს, როგორ დაინიშნა ტუტუცი ანდრო ბარნოვი დეკანის თანამდებობაზე და ახლა არავინ დაიწყოს, ბარნოვს შეურაცხყოფას ნუ აყენებო. სულ სხვა ეპითეტის გამოყენებას ვაპირებდი, მაგრამ ჩემში თვითცენზურა ამოქმედდა.

რაც შეეხება მოსამართლეს და მისთვის შეურაცხყოფის მიყენებას...

ზოგადად, მოსამართლის შეურაცხყოფა სამართლის შეურაცხყოფის ტოლფასია. ეს — ზოგადად, თორემ ცხოვრებაში კონკრეტული უფრო მეტია, ვიდრე ზოგადი. ზოგიერთი კონკრეტული მოსამართლის შეურაცხყოფა კონკრეტული სამართლიანობის აღდგენის მცდელობაა, კონკრეტული ნაპერწკლიდან კი, როგორც მოგეხსენებათ, ზოგადი ცეცხლი ინთება ხოლმე.

**რ.მ.მ. (რაც მართალია, მართალია) ...როგორც უკვე ვთქვით, ჭკვიანი კაცების ნაკლებობის პრობლემაც ქრონიკულია და ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ ერთი შეზღუდულის ადგილზე მეორე შეზღუდულმა მოიკალათოს. ასეთ შემთხვევაში მაღალი თანამდებობის პირებს ცნობილი ცოდვილის შენარჩუნება ურჩევნიათ, უცნობი ჭკვიანის დაწინაურებას, ამიტომ შეზღუდულისთვის რომელიმე სავარძლის დაკარგვა მხოლოდ სხვა, ხშირად, უმჯობესის მიღებას ნიშნავს.**

***(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)***

# ირინა ენუქიძისა და მერაბიშვილის ნათესავის მკვლელობის სკანდალური ვერსია



## სანდრო გირგვლიანის დედა და ბიზნესმენი ნოდარ საქუაშვილი ხელოვნური სიმსივნით გარდაიცვალნენ?!



ნიკა ჯანხოთელი

**რამდენიმე კვირის წინ, თბილისში ვანდალიზმის ფაქტი მოხდა — სანდრო გირგვლიანისა და დედამისის, ირინა ენუქიძის საფლავები გაძარცვეს. სამართალდამცავებმა ბოროტმოქმედები მალევე დააკავეს. „შსს-ს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიცვალებულისადმი უპატივცემლობის ბრალდებით, 1977 წელს დაბადებული ლალი დ. და 1985 წელს დაბადებული ალექსანდრე კ. დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა, თანამზრახველებთან ერთად, რამდენიმე საფლავი შეურაცხყვეს, მათ შორის, ვაკე-საბურთალოს სასაფლაოზე სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის საფლავიდან ფარზე დამაგრებული ბრინჯაოს ბოლნისის ჯვარი მოხსნეს. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 258-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად მიცვალებულისადმი უპატივცემულობას გულისხმობს და 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს“, — ნათქვამია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

ამასთან, შსს იუწყება, რომ დანაშაულში მხილებული სხვა პირების დასაკავებლად, სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს.

საფლავები თბილისში სხვა დროსაც გაუძარცვავთ, მაგრამ უცნაურია, რომ ბოროტმოქმედებმა იერიში მაინცდამაინც ნაციონალებისგან ნაწამებ დედა-შვილის ძვალშესალაგზე მიიტანეს. ყოველ შემთხვევაში, ძნელი დასაჯერებელია, რომ დამნაშავეებს სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის ტრაგედია ყურმოკვრით მაინც არ ჰქონოდათ გაგებული. სხვათა შორის, სწორედ გირგვლიანის მკვლელობით დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის შეტორტმანება... შეთქმულების თეორიები ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ჩნდება ლეგიტიმური შეკითხვა: ამხელა თბილისში ვიღაცამ მაინცდამაინც ნაწამები დედა-შვილის საფლავის გაქურდვა რატომ გადაწყვიტა, მით უმეტეს, რომ გირგვლიან-ენუქიძის საფლავზე მილიონჯერ „მდიდრული“ სამარხებიც არსებობს? ყოველივე აქედან გამომდინარე, ვიზენტალის ქართული ფონდის ხელმძღვანელი მირიან ყარაულაშვილი გამოდის ინიციატივით, რომ სანდროსა და ქალბატონ ირინას საფლავის რადიაციული ექსპერტიზა ჩატარდეს.

რა შუაშია რადიაციული ექსპერტიზა? — ეს, ერთი შეხედვით, რიტორიკული შეკითხვაა, მაგრამ მოდით, მოვლენების განვითარებას ქრონოლოგიურად მივყვეთ.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ შარდენზე შეკრებილი ნაციონალების (ვანო მერაბიშვილის ცოლი თაკო სალაყაია, დათა ახალაია, ვასილ სანოძე, გურამ დონაძე, ოლეგ მელნიკოვი) წაფითილებით, სანდრო გირგვლიანი ოქროყანის სასაფლაოზე აიყვანეს და წამებით მოკლეს, სანდროს დედამ, ქალბატონმა ირინამ სიმართლის საპოვნელად, როგორც იტყვიან, რკინის ქალამნები ჩაიცვა...

შვილი რომ მოუკლეს, ირინა ენუქიძე საღსალამათი ქალბატონი იყო. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არ ეტყობოდა, რომ რამეს უჩიოდა... 2007 წლის ზაფხულში, ანუ შვილის სადისტური მკვლელობიდან წელიწადნახევრის შემდეგ, ქალბატონი ირინა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციით, ირინა ენუქიძის გარდაცვალების მიზეზი პანკრიასი, ანუ კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო გახდა, თუმცა მაშინვე ითქვა, რომ სანდრო გირგვლიანის დედა მოწამლეს.

სხვათა შორის, ქალბატონი ირინას გარდაცვალების შემდეგ, მისმა მოძღვარმა დეკანოზმა გრიგოლმა (გოგიჩაძე) ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა:

> **„ირინა სულ მეუბნებოდა, მამაო, მომკლავენ, არ მაცოცხლებენო. როცა საპროტესტო აქციებს აწყობდა, ვეუბნებოდი, რომ დამშვიდებულიყო, მაგრამ მპასუხობდა, რა მაქვს დასაწყნარებელი, ვიცი, მომკლავენ და რაც მალე წავალ ჩემს შვილთან, მით უფრო ბედნიერი ვიქნებიო... მან მითხრა, რომ მოწამლეს, თუმცა მისი ოფიციალური დიაგნოზი პანკრეასის სიმსივნე იყო. საავადმყოფოში რაღაც პერიოდი გათიშული იყო, მერე, გამოკეთდა. რამდენჯერმე ვიყავი მის სანახავად და როცა უკანასკნელად ვნახე, მითხრა, მამაო, ამ ურჯულოებმა მეც მომკლეს, ჩემი და სანდროს სულებისთვის ილოცე... სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ჩემს მკვლელობას არავინ გამოიძიებს და როცა ხელისუფლება შეიცვლება, ახალ ხელისუფლებას სთხოვე, ჩემი მკვლელობის საქმეც გამოიძიოს. ესაა ჩემი უკანასკნელი სურვილიო... აი, ეს დამიტოვა ანდერძად.“**

ირინა ენუქიძის სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 2007 წლის მიწურულს, მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული კახელი ბიზნესმენი ნოდარ საქუაშვილი გარდაიცვალა. საქუაშვილიც, ირინა ენუქიძის მსგავსად, როგორც ამბობენ, ჯანმრთელი იყო, მაგრამ მოულოდნელად ავად გახდა, სამკურნალოდ, თურმე, საზღვარგარეთაც წავიდა, მაგრამ არაფერი ეშველა. უცნაურია, მაგრამ საქუაშვილის გარდაცვალების მიზეზიც, როგორც ამბობენ, პანკრეასის, ანუ კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო გახდა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: პანკრეასის კიბოთი, როგორც ამბობენ, ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს მოკლული ერთ-ერთი ქისტის მამაც იტანჯება. არადა, ისიც, ირინა ენუქიძისა და ნოდარ საქუაშვილის მსგავსად, მანამდე, ვიდრე გააქტიურდებოდა, ჯანმრთელი ყოფილა...

მაშ ასე, სკანდალური ვერსიისთვის საკმარისზე მეტი ეჭვი არსებობს — ირინა ენუქიძეს, ნოდარ საქუაშვილსა და ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს მოკლული ერთ-ერთი ქისტის მამას პანკრეასის კიბო „აერთიანებს“. აქვე, აღსანიშნავია, რომ სამივე ადამიანი ნაციონალური ხელისუფლებისთვის ზომაზე მეტად იყო საინტერესო, ანუ ირინა ენუქიძემ სააკაშვილის რეჟიმის კრიმინალური ბუნება, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოს გააგებინა. სტალინი ამბობდა, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა. მართალია, გირგვლიანის საქმემ სტრასბურგამდე მიაღწია, მაგრამ ქალბატონი ირინას მოცილებით, სანდროს მკვლელობას, შესაძლოა, აქტუალობა დაეკარგა — ირინა ენუქიძე, მკვლელების დასჯის მოთხოვნით, პროტესტის ყველა ფორმას მიმართავდა. სანდროს მკვლელობას აქტუალობა არც ქალბატონი ირინას გარდაცვალების შემდეგ დაუკარგავს, მაგრამ ის მუხტი, რომელიც დედამისის სიცოცხლეში არსებობდა, ერთგვარად მინავლდა... შესაბამისად, სტალინურმა ლოგიკამ — არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა — გაამართლა. აქედან გამომდინარე, ვერსიას, რომ ირინა ენუქიძე მოწამლეს, არსებობის უფლება, ცხადია, აქვს...

რაც შეეხება ნოდარ საქუაშვილს, რომლის ახლობლებიც, ასევე, ეჭვობდნენ, რომ ბიზნესმენი მოწამლეს.

ვინ იყო ნოდარ საქუაშვილი? — ლეგენდით, საქუაშვილი თავის დროზე, სატვირთო მანქანის მძღოლი გახლდათ. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ესე იგი, მაშინ, როცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „ბეზპრედელი“ მძვინვარებდა, საქუაშვილი ჩეჩნებმა დაიქირავეს და ტვირთი წაალებინეს. ეს ტვირთი, თურმე, ტომრებში ჩალაგებული ფული იყო, მაგრამ მძღოლს აზრადაც არ მოსვლია ტომრების გახსნა. ჰოდა, მადლიერ ჩეჩნებს საქუაშვილისთვის რამდენიმე ტომარა უჩუქებიათ. ასე უშოვია საქუაშვილს მილიონები, თუმცა აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის გამდიდრების შესახებ მეორე ვერსიაც არსებობს, რომელიც უფრო სარწმუნოა — საქუაშვილის მეორე ცოლი, როგორც ამბობენ, ვანო მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას ნათესავია.

ცნობილია, რომ ნაცმოძრაობის დატუსაღებულ გენმდივანს თავის დროზე არასამთავრობო ორგანიზაცია ჰქონდა, რომელიც მიწის მესაკუთრეების უფლებების დაცვაზე მუშაობდა. მოარული ინფორმაციით, მერაბიშვილის არასამთავრობო სოლიდურ გრანტებს იღებდა. ამასთან, მოსახლეობას, მთელი საქართველოს მასშტაბით, ფარატინა ქაღალდებს ურიგებდა, რომელსაც მიწის საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას ეძახდა. საქმეში ჩახედულნი ამბობენ, რომ ამ მაქინაციით სერიოზული ფული კეთდებოდა... ასევე, მოარული ხმით, მერაბიშვილის არასამთავრობომ იმდენი მოახერხა, რომ რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები გადაიფორმა. ერთ-ერთ სახელმწიფო ინსტიტუტს მიწა საქუაშვილის მშობლიურ სოფელ სანიორეშიც ჰქონია, რომელიც ასევე, მერაბიშვილის არასამთავრობოს საკუთრება გახდა... მოკლედ, როგორც ინფორმირებული წყარო ამბობს, ნაციონალები საქუაშვილს ფულის გასათეთრებლად იყენებდნენ, მაგრამ კახელი ბიზნესმენი ისე გათავხედდა, რომ ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა — ქალამნად. სანიორელ საქმოსანს ფრთები განსაკუთრებით მას შემდეგ გაუშლია, რაც სააკაშვილმა მასთან სტუმრად იულია ტიმოშენკო ჩაიყვანა. ამით „გაგულავებულ“ საქუაშვილს ვიღაც „განაბი“ დაუმეგობრებია, რომლის საშუალებითაც მთელი კახეთის გაკონტროლება დაუწყვია და ეს მაშინ, როცა მერაბიშვილი და, საერთოდ, ნაციონალური მთავრობა თავს იწონებდა, ქურდული სამყარო დავამარცხეო...

ერთი სიტყვით, კონფიდენციალური წყაროს ვერსიით, ნოდარ საქუაშვილისა და ვანო მერაბიშვილის გზები გაიყო. სწორედ ამ დროს საქუაშვილს შეუტყვია, რომ უკურნებელი სენი სჭირდა... საქუაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ყოფილმა მეუღლემ, ლია ელიზბარაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „...ჩემი მეუღლე 2007 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა. უცხოეთში ხელოვნური სიმსივნის დიაგნოზი დაუდგინეს... სიმსივნის ხელოვნურად გამოწვევის ტექნოლოგიებიც არსებობს, თურმე.“

ყოველივე ზემოთქმულის რეზიუმე ასეთია: ირინა ენუქიძე, როგორც მისი მოძღვარი განმარტავს, სიცოცხლეშივე ამბობდა, რომ მოწამლეს. კახელი ბიზნესმენის ყოფილი მეუღლეც ამბობს, რომ ნოდარ საქუაშვილს უცხოეთში ხელოვნური სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. თითქმის დადასტურებული ინფორმაციით, სიმსივნე აქვს ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპული ერთ-ერთი ქისტის მამასაც, ანუ გამოდის, ნაცმოძრაობის ზეობის დროს, ვიღაც არასასურველ ადამიანებს თავიდან იცილებდა.

ისე, გამორიცხული არაა, სამართლიანობის აღდგენის პირობებში, ირინა ენუქიძისა და ნოდარ საქუაშვილის გარდაცვალების გამოძიებაც დაიწყოს, მით უმეტეს, ქალბატონ ირინას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიკვდილის წინ მოძღვრისთვის უთქვამს, ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება რომ მოვა, ჩემი სიკვდილიც გამოიძიოსო...

# სკანდალი სახალხო კრებაში — თემურ შაშიაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს ნინო ბურჯანაძეს არ უჭერს?!



## ვის ამზადებენ „თეთრები“ ბურჯანაძის საპირწონედ და რა სამპუნქტიან ინიციატივას სთავაზობს „ოცნებას“ უცხოეთიდან დაბრუნებული შაშიაშვილი



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**რამდენიმე კვირის განმავლობაში, ქვეყნიდან გასული თემურ შაშიაშვილი საქართველოში შთაგონებული დაბრუნდა და ხელისუფლებას, ემიგრანტების განცხადებების საფუძველზე, ახალ სამპუნქტიან დოკუმენტს სთავაზობს. ამასთან, „თეთრების“ ლიდერმა „ვერსიას“ სახალხო კრებისა და ნინო ბურჯანაძის მიერ ახლახან ჩატარებული გაფართოებული სხდომის დეტალებიც გაუმხილა და იმაშიც გამოუტყდა, რომ მისმა პარტიამ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი ნინო ბურჯანაძეს, შესაძლოა, არ დაუჭიროს:**

— ასეთი მძიმე და საინტერესო შეხვედრები ჯერ არ მქონია — ქვეყნის გარეთ 4 000-მდე ქართველს შევხვდი და თუ ვინმემ იცის, რა მდგომარეობაა ემიგრანტებთან, ეს მე ვარ! უკრაინას გივი თარგამაძე მართავს... ყველგან, სადაც ჩავედი, სააკაშვილის ელჩის ბიზნესებსა და ფულზე მიამბეს და ამიტომაც ვეკითხები ბიძინა ივანიშვილს: ესაა მისი პოლიტიკა? ჩვენი მოქალაქეები ყველგან მონები არიან და ადამიანური უფლებები არ აქვთ. ივანიშვილის მოსვლის შემდეგ, ამ ხალხს იმედი გაუჩნდა, მაგრამ იმედი კოსმიური სიჩქარით უცრუვდებათ.

— **გინდათ თქვათ, რომ მინისტრი კოტე სურგულაძე ცუდად მუშაობს?**

— საბერძნეთში შეხვედრები გავმართე და კოტე სურგულაძე მხოლოდ ორი დღის შემდეგ ჩამოვიდა, თუმცა ბევრმა ადამიანმა სურგულაძესთან შეხვედრაზე უარი განაცხადა, არჩევნების წინ ალარავის შევხვდებითო! ყველაფერ ამის შემხედვარეებმა, ემიგრანტების შესახებ რამდენიმეპუნქტიანი დოკუმენტი შევქმენით, რომელსაც საზოგადოებას 17 ივნისს, სპეციალურ პრესკონფერენციაზე გავაცნობ. მანამდე კი, ექსკლუზიურად გეტყვით: 1. ქართველი, მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც უნდა დაიბადოს, დაბადების დღიდანვე საქართველოს მოქალაქე უნდა გახდეს. 2. უნდა შეიქმნას 400-მილიონიანი ფონდი, რომელიც მეცნიერებათა აკადემიისა და საპატრიარქოს პატრონაჟით, ემიგრანტებსა და საქართველოში მყოფ ქართველ ბიზნესმენებს ერთობლივი პროექტების წამოწყებაში დაეხმარება — ეს ეკონომიკურადაც მომგებიანია და, პლუს, ხალხთა შორის მჭიდრო ურთიერთობებსაც შეგვანარჩუნებინებს. 3. პრეზიდენტს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება-ჩამორთმევის უფლება აღარ უნდა ჰქონდეს. თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მივიღებ და კანონს დავარღვევ, არჩევანის წინაშე უნდა დავდგე — ან საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თავად უნდა ვთქვა, ან განაჩენი სასამართლომ უნდა გამოიტანოს!

— **ბატონო თემურ, სიტყვამ მოიტანა და, „ოცნების“ გადაწყვეტილებით, ჩვენი ქვეყნის სამი უმაღლესი პოსტის დაკავება ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირსაც შეეძლება. ეს კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებად ხომ არ გეჩვენებათ?**

— ეს სიმახინჯეა! ხელისუფლებაში მოსვლა ყველას თავში რატომ უვარდება და ჰგონია, თავზე უნდა დაგვაჯდეს, არ ვიცი?! ბატონებო, საქართველოში ბელადების პარლამენტები უნდა დასრულდეს! ასე იყო გამსახურდიასა და შევარდნაძის დროსაც. მერე ხალხმა და მისმა დღევანდელმა „მტრებმა“ სააკაშვილისგან ყალბი ბელადი შექმნეს და ახლა ისევ მას ებრძვიან?!

**დიდი წვლილი მიგიძღვის, ივანიშვილო, სააკაშვილის გაბელადებაში და მოინანიე! ბატონო პრემიერო, შეხედეთ, რა მოხდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე — სააკაშვილმა შეძლო და სასამართლოში მოსამართლეთა 80% ისევ მისი მხარდამჭერია. უმაღლეს სასწავლებლებსა და სასამართლოებში რაც უნდა არჩევნები ატარო, ყველა ისეა მოწამლული, კარგ ლექტორსა და მოსამართლეს ვეღარც აირჩევენ! რაც შეეხება პოლიტიკურ არჩევნებს, ემიგრანტები მეუბნებიან, ქვეყნის გარეთ 1,5 მილიონი ვართ და არჩევნებზე ხმა არ მიგვაცემინეს, ეგ რა ხალხის მთავრობააო!**

ემიგრანტებმა ისიც მითხრეს, რომ ევროპის ყველა ქვეყანას საზღვარგარეთ არჩეული დეპუტატები ჰყავს, მაგალითად, 30-40 კაცი ჰყავს საფრანგეთს, შვეიცარიას და ა.შ. ჰოდა, საქართველოს ამდენი მოქალაქე რომ ჰყავს საბერძნეთში ერთი დეპუტატი არ უნდა აერჩიათ?! ესეც ჩვენი ხალხის გამთლიანების ერთ-ერთი წინადადებაა.

— **მოკლედ, დაბრუნდით თუ არა ქვეყანაში, იმავე დღეს სახალხო კრების სპეციალური სხდომა დაინიშნა. რა საკითხებზე იმსჯელეთ?**

— პირველ რიგში, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება განვიხილეთ და, მინდა გითხრათ, პირადად დავაყენე საკითხი, ჩვენი შეხვედრის სრული ჩანაწერი გავუგზავნოთ ბიძინა ივანიშვილს. მინდია უგრეხელიძემ და რამდენიმე იურისტმა ისეთი ანალიზი გააკეთეს, შეშფოთებული ვარ! გამოდის, ბიძინა ივანიშვილი ყველა ძალას იგნორირებას უკეთებს, ოღონდ ნაციონალები გადაარჩინოს და მათ შორის კოჰაბიტაცია შედგეს. ეს ქვეყნის დაღუპვა და ივანიშვილის ფიგურისთვის წერტილის დასმაა! ასე რომ, თუ ამ გზით მიდის, თავის დროზე უნდა მივხვდეთ — კრების შეხვედრიდან ასეთი დასკვნა გამოვიტანე.

სხდომაზე ისიც განვაცხადე, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ივანიშვილის კანდიდატურის მხარდაჭერა სწორედ ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს — ის პირიც დაიღუპება, ვისაც აირჩევენ და ბიძინაც! კრება პირველი იყო, ვინც ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა, ივანიშვილი კი ამბობს, პრეზიდენტი ჩემი გუნდიდან არჩეული კაცი უნდა გახდესო, ე.ი. ჩვენ არ ვჭირდებით?!

— **აბა, რა გინდოდათ, ივანიშვილს საპრეზიდენტო კანდიდატი არ დაესახელებინა და მხარი ნინო ბურჯანაძისთვის დაეჭირა?**

— არა, ბატონო, უბრალოდ, პრემიერ-მინისტრი არ უნდა ამბობდეს, ჩემს კანდიდატურას გავიყვანო. შენ იმისთვის უნდა იყო, რომ მხარი იმას დაუჭირო, ვისაც ქართველი ხალხი აირჩევს. აი, ასეთი პრემიერ-მინისტრი გვინდა!

**ივანიშვილის მიერ დასახელებულ კანდიდატურას მხარს არ დავუჭერ — დავით ალმაშენებელი რომ წამოდგეს და ბიძინამ პრეზიდენტობის კანდიდატად დააყენოს, ხმას მაინც არ მივცემ! გარწმუნებთ, იმ შემადგენლობიდან, ვინც დასახელებულია, ბიძინა ივანიშვილისთვის ყველაზე უკეთესი კანდიდატურა, ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ისევ ნინო ბურჯანაძეა, რომელიც მის წინააღმდეგ არასოდეს წავა.**

— **ეს რას ნიშნავს, ივანიშვილს დაექვემდებარება?**

— არ ჩაუსაფრდება! აქ დაპირისპირებაზეა საუბარი და არა ოპოზიციაში ჩადგომაზე. შეკრებაზე ნონა გაფრინდაშვილმა თქვა და ნინო ბურჯანაძეც დაეთანხმა, ჩვენ ივანიშვილს არ ჩავუსაფრდებით, მაგრამ არც ფეხქვეშ გავეგებით!

— **თქვენი ფეხქვეშ გაგება უკვე ვნახეთ, როცა საპარლამენტო არჩევნებში არ მიიღეთ მონაწილეობა და „ოცნებას“ კრებიდან ხალხი გაუგზავნეთ. ახლა კი პარტიების დაფინანსების წესი გაუარესდა და პარლამენტში არშესული ოპოზიცია, თქვენიანად, ისევ ნულზე დარჩა!**

— ივანიშვილისთვის მთავარია, ამერიკელებმა თქვან, აი, ხომ გადაარჩინე ნაციონალური მოძრაობაო.

— **ამერიკელმა კონგრესმენებმა საპირისპირო განცხადება გააკეთეს!**

— ამ განცხადებაზე ჩემი შეფასება მაქვს — აშშ-ს ამერიკელი კონგრესმენები შეურაცხყოფენ! ასეთი ამერიკა კი საქართველოს თავს აძულებს და ხალხს ბიძინა ივანიშვილიც სძულდება, როცა მხარს აშშ-ს უჭერს! ხალხი ხედავს, ბიძინა ბევრ რამეს იმიტომ არ აკეთებს, რომ აშშ-ს არ ეწყინოს. სააკაშვილის იმპიჩმენტიც ამიტომ არ უხსენებია — ამერიკელებმა უთხრეს, არ გაბედოო! ახლა თუ ბიძინას საპრეზიდენტო კანდიდატსაც აირჩევენ, საქართველო საბოლოოდ დაიღუპება. ვისაც ამ კაცმა მისცა რეკომენდაცია, ის თავისუფლების ინსტიტუტიდან, სოროსის ფონდიდან მოდის.

— **ბოდიში, მაგრამ ეს „სოროსელი“ გიორგი მარგველაშვილი, თავის დროზე, ნინო ბურჯანაძის გუნდის წევრი იყო...**

— თავისთავად... მარგველაშვილი ნინო ბურჯანაძის ფონდის დირექტორი იყო და დღეს ამ თანამდებობიდან გათავისუფლებულიც არ არის, რომ იცოდეთ. საერთოდ, ივანიშვილის ადგილზე მე, თუნდაც ამ კანდიდატურის თაობაზე, ნონა გაფრინდაშვილს მოვეთათბირებოდი, თუმცა გიორგი მარგველაშვილისადმი პირად პატივისცემას ვადასტურებ.

**გაიხსენოს მარგველაშვილმა, როცა „ჯიპას“ რექტორი იყო, ერთადერთი გუბერნატორი ვიყავი, ვისაც კარგი სტუდენტების აღზრდა უნდოდა და „ჯიპას“ ფულს ბიუჯეტიდან ვუხდიდი! მარგველაშვილი ამით გაოცებული იყო. მას, როგორც რექტორს, ვაფასებდი, ახლა კი ისეთ ადგილზე მიძვრება, რაც მისი საქმე არ არის!**

— **ერთი სიტყვით, თქვენი პარტია კრებაშია, რომლის საპრეზიდენტო კანდიდატიც ნინო ბურჯანაძეა. მხარს თქვენც მას უჭერთ?**

— ჯერ ჩვენი პარტია არ შეკრებილა და საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

**პირველად, პარტიაში მე შემომთავაზეს, პრეზიდენტად კენჭი მეყარა. ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადე და ვთქვი, რომ თუ პრეზიდენტად არაპოლიტიკოსს ვირჩევთ, ეს მინდია უგრეხელიძე უნდა იყოს, ხოლო თუ უფრო ახალგაზრდა კაცს ვეძებთ — პაატა ცნობილაძე, მსოფლიო იურისტთა ვიცე-პრეზიდენტი-მეთქი. პარტიაში განიხილებოდა სოსო ცისკარიშვილის კანდიდატურაც. საბოლოო პასუხი კი, 10 დღეში გვექნება. ჩვენი პარტია მხარს პრეზიდენტობის იმ კანდიდატს დაუჭერს, ვინც ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს!**

— **ვერ გავიგე, ნინო ბურჯანაძეს მხარს უჭერთ თუ არა?**

— ჩვენი პარტია მონების პარტია არ არის, ამიტომ არ ვიცი, 10 დღის შემდეგ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ, თუმცა მე პირადად, ვითარების ანალიზს ასე ვაკეთებ — დღეს საუკეთესო კანდიდატი ნინო ბურჯანაძეა. არც ისაა გამორიცხული, პარტიაში თავისუფალი მხარდაჭერა გამოვაცხადოთ და ვისაც რომელი კანდიდატი სურს, მხარი იმას დაუჭიროს. არც იმას გამოვრიცხავ, პარტიის წევრები შევიკრიბოთ და კითხვების დასასმელად ნინო ბურჯანაძე მოვიწვიოთ. ერთს ვიტყვი: კრების ბოლო შეხვედრას 200-მდე ადამიანი ესწრებოდა და ვთქვით, რომ მისი სახელით მარტო ნინო ბურჯანაძე კი არა, მთელი კრების სათათბირო იყრის კენჭს და იღებს პასუხისმგებლობას. ასე რომ, ამ არჩევნებზე ნინოს კი არ ექნება საპრეზიდენტო პროგრამა, ერთობლივი პროგრამა გვექნება!

— **შეიძლება, სიურპრიზიც მოგვიწყოთ და ბოლოს თქვენ მოგვევლინოთ კრების საპრეზიდენტო კანდიდატად?**

— ჯერ იყო და, პრეზიდენტმა თქვა, გუბერნატორები ავირჩიოთო, მერე პრემიერმა თქვა იგივე, ახლა კი ორივე შეშინდა და თავისი სიტყვები უკან წაიღო... ჩაატარეთ არჩევნები იმერეთში და ვიყრი კენჭს!

# თინა ხიდაშელის აღიარებითი ჩვენება

## საგარეჯოელი ჩინოვნიკების საქმის უცნობი დეტალები

ნინო კომახიძე
599-95-33-16



**რამდენიმე დღის წინ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საგარეჯოს რაიონული მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი თანხების დიდი ოდენობით მითვისებისა და სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე, მისი მოადგილე ბესიკ მარტიაშვილი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თენგიზ ივანელაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით ხატიაშვილი, საკრებულოს მთავარი სპეციალისტი თეიმურაზ ჯინჯიხაძე, შპს „არსაკიძის“ დირექტორი რევაზ ბაჩოშვილი, შპს „პალაცოს“ დირექტორი ზაზა მაისურაძე და შპს „მშენებელი 2013“-ის დირექტორი გიორგი ადუაშვილი დააკავა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 300 000 ლარი საბავშვო ბაღებისა და საცხოვრებელი სახლების გადასახურად გამოეყო, თუმცა როგორც გამოძიებამ დაადგინა, ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების თანხა და მოცულობა ხელოვნურად გაიზარდა და დაკავებულმა პირებმა ზემოხსენებული 300 000-დან 80 000 ლარი მიითვისეს. გამოძიება 182-ე და 332-ე მუხლებით დაიწყო და ეჭვმიტანილებს, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.**

**ხიდაშელი აცხადებს, რომ 300 000 ლარიდან, თითოეული ლარისა და თეთრის მოძრაობას აკონტროლებდა. იმ შემთხვევაში, თუკი დაკავებულებს დანაშაული დაუმტკიცდათ, მაშინ გამოვა, რომ ხიდაშელი, მინიმუმ, დანაშაულს ფარავდა და საგარეჯოს გამგებელს, მის მოადგილესა და სხვებს ხელს აფარებდა და სამსახურეობრივ გულგრილობას იჩენდა. იმ შემთხვევაში კი, თუ დანაშაული არ დამტკიცდა, გამოვა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მოიტყუა და ხიდაშელის დისკრედიტაციას შეეცადა. აქვე, აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარის რაიონის გამგეობის ხარჯებში ჩარევა კანონით მკაცრად რეგულირდება, ამიტომ ჩნდება შეკითხვა: რა ხელი აქვს დეპუტატს რაიონში მიმდინარე პროექტების ხარჯვით ნაწილთან?!**

საგარეჯოელ მაღალჩინოსნებთან ერთად, საგარეჯოს მაჟორიტარ დეპუტატ თინა ხიდაშელს, მინიმუმ, პოლიტიკური დისკრედიტაცია ემუქრება. აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა თინამ, პრაქტიკულად, აღიარებითი ჩვენება მისცა, როცა განაცხადა: **„სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: ამ პროექტის შესახებ აბსოლუტურად ყველა დეტალი ვიცი. პირადად ვამოწმებდი ყველა თეთრის ხარჯვას, რომელიც დაკავშირებული იყო ამ პროექტთან. ეს იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პირველი ღონისძიება, რომელიც რაიონში განვახორციელე — დავეხმარეთ განსაკუთრებულად გაჭირვებულ ადამიანებს სახლების გადახურვაში, ამიტომ მივმართავ ფინანსურ პოლიციას, თუ აქვს შეკითხვები, მეც დამკითხოს. ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას ამ კონტრაქტზე, თავიდან ბოლომდე, რადგან ეს პროექტი ჩემი ინიციატივით დაიწყო. თავდებში ვუდგები ამ ადამიანებს, რათა ისინი გაათავისუფლონ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, გამოძიება პოზიტიურად დასრულდება და არაფერი დადასტურდება იმ ბრალდებებიდან, რაც მათ წაუყენეს“.**

**„პოლიტიკური დისკრედიტირებისთვის ერთი განცხადებაც საკმარისია... მტკიცებულებების შეკრების შემდეგ კი შეიძლება, ხიდაშელის პასუხისმგებლობის საკითხზეც ვიმსჯელოთ!“**

საგარეჯოელი მაღალჩინოსნების დაკავებას პოლიტიკური ელფერი დეპუტატმა „რესპუბლიკელებმა“ მისცეს — განათლების სამინისტროს ინიციატივას, რომ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორები პრემიერმა დანიშნოს, მხარი არ დაუჭირეს. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით, ყველაზე მწვავე პოზიცია სწორედ „რესპუბლიკელმა“ თინა ხიდაშელმა და ლევან ბერძენიშვილმა დააფიქსირეს. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ეს კანონპროექტი სწორედ მათი თანაპარტიელის, მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილის მიერაა ინიცირებული. ასე რომ, საქმე ან რესპუბლიკური პარტიის შიდაომთან გვაქვს, რაც ნაკლებსავარაუდოა, ან პარტიამ მმართველ გუნდსა და ივანიშვილს დაჭერებზე პროტესტით უპასუხა.

ვის ვის და, პრემიერთან ურთიერთობის გაფუჭება ყველაზე ნაკლებად მის ფავორიტს, ან ყოფილ ფავორიტს არ აწყობს — თინა ხიდაშელს დაკითხვაზე, დიდი ალბათობით, ორი საგამოძიებო ორგანო დაიბარებს და ამაზე „ვერსიას“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტისა და პროკურატურის წარმომადგენლებიც ესაუბრნენ. როგორც **ნათია სუხიაშვილმა** განაცხადა: **„საქმე ახლა ძიებაშია, იგი პროკურატურას გადაეცა და, სავარაუდოდ, შუამდგომლობები სასამართლო პროცესის გამართვის თაობაზე უკვე დაყენებულია. გადაჭრით ვერ გეტყვით, რომ თინა ხიდაშელს დავკითხავთ, თუმცა ვადასტურებ, იგი შეიძლება დაიკითხოს“.** პროკურატურის პრესსამსახურის უფროსის, **ხათუნა პაიჭაძის** თქმით კი, დეპუტატის დაკითხვის საკითხზე პროკურატურა უკვე მსჯელობს: **„თუ საქმის არსი მოითხოვს, თინა ხიდაშელი დაიკითხება. ეს საქმე ჩვენთანაა შემოსული, საერთოდ, ყველა მიმდინარე გამოძიება პროკურატურის ზედამხედველობის ქვეშაა, ასე რომ, თუ თინა ხიდაშელმა იცის დამატებითი გარემოებების შესახებ ან საინტერესო მასალები აქვს მოსაწოდებელი, მაშინ დავკითხავთ!“**

ისე, საგულისხმოა, რომ თინა ხიდაშელი, რომელიც სააკაშვილსა და მის თანაგუნდელებს სასამართლოზე ზეწოლაში ადანაშაულებს, „აბსოლუტურად დარწმუნებული“, იმპერატიული ტონით აცხადებდეს, რომ დაკავებულებს წაყენებული ბრალდებებიდან ერთიც არ დაუმტკიცდებათ.

„ვერსია“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე **კახაბერ კოჟორიძეს** დაუკავშირდა: **„ამ თემას მხოლოდ მედიასაშუალებებიდან ვიცნობ. არც დაკავებული პირების ახლობლებსა და ოჯახის წევრებს, არც თინა ხიდაშელს და არც სხვა რომელიმე დაინტერესებულ მხარეს ჩვენთან განცხადება არ შემოუტანია, ამიტომ საქმის მასალებს დეტალურად არ ვიცნობ, ამ მასალების გარეშე, შეფასება ძნელი იქნება. თინა ხიდაშელი ამბობს, ვიცი, რაღაც პროექტი კეთდებოდაო, რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მან ბიუჯეტის ფულის მითვისების შესახებაც იცოდა. თუ სხვა გარემოებებიც გამოიკვეთება, საქმე რაც უნდა გავლენიან დეპუტატს ეხებოდეს, ის მაინც დაიკითხება, თუმცა თინა ხიდაშელი ის ადამიანია, ვინც კანონში კარგად ერკვევა, შესაბამისად, არ მგონია, კანონდარღვევის შესახებ სცოდნოდა და ასეთ პროექტზე განეცხადებინა, მას დეტალურად ვიცნობდიო“.**

**ლევან ალაფიშვილი**, „მომავლის ინიციატივების ცენტრის“ ხელმძღვანელი, იურისტი: **„ამ შემთხვევაში, თინა ხიდაშელმა, როგორც პოლიტიკოსმა, პოლიტიკური განცხადება გააკეთა. კარგი იქნება, გამოძიებამ ამას ყურადღება მიაქციოს და ხიდაშელი, მინიმუმ, დაკითხოს, რაც მან თავად მოითხოვა. შეიძლება, თინა სრულად არ იყოს ამ პროექტის საქმის კურსში, მაგრამ საკუთარ განცხადებაში ამის შესახებ დაბეჯითებით საუბრობს. მეტიც, დეპუტატია და კონსტიტუციით გარანტირებული აქვს, რომ დაკითხვის დროს, კონკრეტულ საკითხზე კონკრეტული მონაცემი არც კი გაამჟღავნოს, მაგრამ თუკი გამოძიებამ დაკავებულ პირებს ბრალი დაუდასტურა, ამ შემთხვევაში, თინა საკუთარი განცხადების მძევალი იქნება! დაუკვირდით იმასაც, რომ ემოციურ ფონზე გაკეთებული ამ განცხადების შემდეგ, მას მეტი განცხადება აღარც გაუკეთებია.**

**კი ბატონო, თავდებში ჩადგომა ყველას უფლებაა, თუმცა განცხადების ის ნაწილი, სადაც ხიდაშელი ამბობს, ეს ჩემი პროექტი იყოო, საკმაოდ საფრთხილოა. ასევე, ამ განცხადებაში იკვეთება არაფორმალური ჩარევა თვითმმართველობის საქმეში, რაც დეპუტატის კი არა, პრეზიდენტის უფლებამოსილებაც არ არის! ალბათ, ხიდაშელის ეს სიტყვები კიდევ ერთი კარგი ინდიკატორია, რომ თვითმმართველობის რეფორმა აუცილებელი და დასაჩქარებელია. პოლიტიკურად რომ ვთქვათ, ეს რაიონის არაფორმალური მართვის მაგალითია. სხვა საკითხია, პროექტის დასრულების შემდეგ გამოითხოვო ინფორმაცია, რისი უფლებაც ყველას გვაქვს, მაგრამ ოპერატიულ ხარჯვასა და გამგეობის გადაწყვეტილებებში ჩარევა არაფორმალური მართვის კლასიკური ნიშანია და, შესაბამისად, დეპუტატისთვის საკმაოდ მძიმე პასუხისმგებლობის მატარებელია! ხიდაშელის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება თუ არა, ეს საგამოძიებო მოქმედებებით გამოიკვეთება, მაგრამ მისი პოლიტიკური დისკრედიტირებისთვის მხოლოდ ეს ერთი განცხადება საკმარისია... მტკიცებულებების შეკრების შემდეგ კი შეიძლება, ხიდაშელის პასუხისმგებლობის საკითხზეც ვიმსჯელოთ!“**




### შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა 1971 წელს დაბადებული, თბილისში მცხოვრები დავით ყ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის ბინის ჩხრეკისას: „მაკაროვი“-ს ტიპის პისტოლეტი 7 საბრძოლო ვაზნით, „ბლოუ მინი“-ს მოდელის პისტოლეტი და ქარხნული წესით დამზადებული „აკარ სილაჰ სან“-ის მოდელის გლუვლულიანი სანადირო თოფი ამოიღეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).



### ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას შს მინისტრი უხელმძღვანელებს

შს სამინისტროში ფარული ჩანაწერების განადგურებასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე დასახელდა სპეციალური კომისიის შემადგენლობა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არიან: გენერალური პროკურორი არჩილ კბილაშვილი, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური, საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დირექტორი კახი კახიშვილი, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში. კომისიას უხელმძღვანელებს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

შეხვედრაზე იმსჯელეს შექმნილი კომისიის საქმიანობისა და კომპეტენციის განსაზღვრაზე. საუბარი ასევე შეეხო ფარული ჩანაწერების არქივის განადგურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.



### შსს სისხლის უანგარო დონაციისთვის დააჯილდოვეს

დონაციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, იმ უწყებების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული აქციაში „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“.

შს მინისტრის ინიციატივით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის, მთელი წლის განმავლობაში, უანგაროდ აბარებდნენ სისხლს. აღნიშნულ აქციაში სამინისტროს მონაწილეობის მიზანია, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ცინარიძე და მისი მოადგილე ლევან მაჭავარიანი. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ შინაგან საქმეთა მინისტრს უანგარო დონაციისთვის დაუსწრებლად გადასცა სიგელი და მადლობა გადაუხადა აქციაში მონაწილეობისთვის. დონაციის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის და სამეგრელოს სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აქციაში — „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“.

***„ვერსიანიუსი“***

# მალე შაქარი 2 ლარამდე გაძვირდება?!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე, შაქარი გაიაფდა — 1 კგ. შაქრის ფასი 50 თეთრით შემცირდა და ქვეყნის შიდა ბაზარზე 1,20 თეთრი გახდა. საერთოდ, საქართველოში შაქარს პოლიტიკური ფასი აქვს — ახალმა ხელისუფლებამ ბაზარი იმპორტიორებს გაუხსნა, ერთადერთი ადგილობრივი მწარმოებელი აგარის შაქრის ქარხანა კი, აშკარად დისკრიმინაციულ პირობებში ჩააყენა. ახალ ხელისუფლებას ადგილობრივ მწარმოებელზე ზრუნვაზე მეტად, მოსახლეობის გულის მოგება უნდოდა, ამიტომაც იმპორტირებული შაქარი საბაჟო გადასახადისგან გაათავისუფლა, რამაც იმპორტიორებს ხელ-ფეხი გაუხსნა და საქართველოში ამ პროდუქტის თვითღირებულებაზე ბევრად ნაკლებ ფასად შემოტანის საშუალება მისცა. შესაბამისად, აგარის შაქრის ქარხნის მენეჯმენტი, იმპორტსა და ექსპორტს შორის ბალანსის დაცვის მიზნით, იძულებული გახდა, პროდუქტი გაეიაფებინა.**

### შაქრის იმპორტის ოფიციალური სტატისტიკა

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის — „საქსტატის“ ოფიციალური ინფორმაციით, 2012 წლის ნოემბერში, საქართველოში 4 514 ტონა შაქრის იმპორტი განხორციელდა, რაც 2 496 აშშ დოლარი, დეკემბერში კი — 7 737 ტონა, რაც 4 273 აშშ დოლარი დაჯდა. 2013 წლის იანვარში, საქართველოში 6 527 ტონა შაქრის იმპორტი განხორციელდა (3 471 აშშ დოლარი), თებერვალში — 13 731 ტონა (7 314 აშშ დოლარი), მარტში — 3 754 ტონა (2 236 აშშ დოლარი), აპრილში — 11 993 ტონა (6 156 აშშ დოლარი). 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის აპრილის ჩათვლით, ჯამში, საქართველოში 48 257 ტონა იმპორტირებული შაქარი შემოვიდა, რაც, მთლიანობაში, 25 949 აშშ დოლარი დაჯდა.

არაოფიციალური ინფორმაციით, იმპორტირებული შაქრის, დაახლოებით, 80% უკრაინაზე მოდის, უკრაინის შემდეგ, საქართველოში „თეთრი ოქროს“ იმპორტი ბრაზილიიდან, ინდოეთიდან, ბელორუსსა და რუსეთიდან ხორციელდება. საქართველოში შაქარი 5-6 იმპორტიორ კომპანიას შემოაქვს.

„აგარა შუგარ კომპანის“ მენეჯმენტის ინფორმაციით, 2013

## „თეთრი ოქროს“ პოლიტიკური თამაშები




წლის იანვრის დასაწყისიდან, საქართველოში იმპორტირებული შაქარი დემპინგურ (დემპინგი — უცხოეთის ბაზარზე საქონლის გაყიდვა ადგილობრივი ბაზრის ფასზე იაფად, ზოგჯერ — თვითღირებულებაზე ნაკლებადაც, — ავტ.) ფასში შემოდის, ამიტომ კომპანიის გაყიდვები შემცირდა და, იანვრიდან დღემდე, თითქმის 1 000 000 ლარი იზარალა.

უკრაინიდან შაქარი წელს 550 აშშ დოლარად შემოდის, ადრე კი, 800 აშშ დოლარად შემოჰქონდათ. მეორე წელია, უკრაინაში შაქრის ჭარბი წარმოება აღინიშნება — იქ „თეთრი ოქროს“ მოხმარება, წელიწადში, 1 800 000-1 900 000 ტონას შეადგენს, 2011-2012 წელს კი, წარმოების მოცულობამ 2 300 000 ტონას მიაღწია და შედეგად, ფასი განახევრდა. მნიშვნელოვანია, რომ უკრაინაში შაქრის ქარხნებს, ძირითადად, სახელმწიფო კომპანიები ფლობენ და, შესაბამისად, პროდუქტს იმ ფასად ყიდიან, რაც აწყობთ.

საინტერესოა, რა ვითარებაა შაქრის საერთაშორისო ბაზრებზე. მაგალითად, 2013 წლის მარტში, ლონდონის ბირჟაზე, 1 ტონა შაქრის ფასი 499 აშშ დოლარი იყო, არადა 2011-2012 წლებში, 1 ტონა შაქარი, თითქმის 100 აშშ დოლარით მეტი ღირდა. რაც შეეხება უკრაინას, დაფასოებული 1 კგ. შაქარი 5,80 გრივნა ღირს, რაც შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით, 12%-ით ნაკლებია. შაქრის საბითუმო ფასი 4,90 გრივნაა, თუმცა იმპორტირებული შაქარი უკრაინაში ბევრად დაბალ ფასად იყიდება.

### რა ხდება აგარის შაქრის ქარხანაში

ბოლო წლებში, ქარელის რაიონის სოფელ აგარაში მდებარე შაქრის ქარხანამ, პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, მფლობელიც არაერთხელ შეიცვალა. ბოლოს ქარხნის მფლობელი ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი იყო, რომელმაც საქართველო 2008 წელს დატოვა — ნაციონალურმა მოძრაობამ ბიზნესმენს ბრალი ფულის გათეთრებაში დასდო და მისი კუთვნილი ქონება, მათ შორის, აგარის შაქრის ქარხანაც დააყადაღა... გოჩა ძასოხოვისა და, შესაბამისად, აგარის შაქრის ქარხნის თემა ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ გააქტიურდა — „ქართუ ბანკის“ გაკოტრების სქემაში აგარის ქარხანა ირიბად დასახელდა.

შეგახსენებთ: გოჩა ძასოხოვი და ბადრი პატარკაციშვილის ნათესავი ჯოზეფ ქეი პარტნიორები იყვნენ, რომლებიც მთლიანი ქონების 50-50%-ს ფლობდნენ. ბოლოს ეს ქონება პარტნიორებმა გაიყვეს, ამ პროცესში სამი უმსხვილესი ბანკი იყო ჩართული, მათ შორის — „ქართუც“. საბოლოო ჯამში, გოჩა ძასოხოვმა და ჯოზეფ ქეიმ, დაახლოებით, 14 კომპანია გადაინაწილეს. მათ შორის იყო სამი გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც სხვადასხვა სახეობის ხილსა და ბოსტნეულს ამუშავებდნენ, ამ ქონებაში შედიოდა ვაშლისა და მანდარინის კონცენტრატების დამამზადებელი ქარხნები, ასევე სასტუმრო „ივერია“ ქობულეთში; გარდა ამისა, საჩოგბურთო კორტები თბილისში, სადაც დღეს იუსტიციის სახლია აშენებული.

*დასასრული მე-7 გვერდზე*



# ქუთაისელი ბიზნესმენი საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს

ნათია ვასაძე
555-98-61-65

**ქუთაისელი ბიზნესმენი ბუბა ჩივაძე, რომელიც 2010 წლიდან პროკურატურას მისი ბიზნესის თაღლითურად მითვისების გამოძიებას უშედეგოდ სთხოვს, საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს — ჩივაძემ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის წინ, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტი დახია.**

## რატომ დახია დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის წინ პასპორტი და რომელ ქვეყნებს სთხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს ბუბა ჩივაძე



**„არ მინდა, იმ ქვეყნის მოქალაქე ვიყო, სადაც ჩემი კანონიერი უფლებების დაცვა ვერ ხორციელდება“,** — აცხადებს ბიზნესმენი. ჩივაძის თქმით, საქმე 8-მილიონიან ბიზნესს ეხება, რომელიც პარტნიორებმა წაართვეს. დასავლეთ საქართველოს პროკურატურამ, ჩივაძის განცხადების საფუძველზე, სააქციო საზოგადოება „სარკმლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 2010 წელს აღძრა, თუმცა ძიება დღემდე არ დასრულებულა.

**„2010 წლიდან დღემდე, პროკურატურას აღნიშნულ საქმეზე არაერთხელ მივმართე — ვითხოვდი ეპასუხა, რა ეტაპზე იყო გამოძიება. პროკურატურა ოფიციალურად მპასუხობდა, რომ საქმეზე მიმდინარეობდა გადაუდებელი ოპერატიული ღონისძიებები და საპროკურორო ზედამხედველობა. რადგან საქმე სახელმწიფოს კუთვნილი ტექნიკისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების მითვისება-გაფლანგვას ეხებოდა, საქმეში ჩაერთო მეორე მხარე — ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის რაჭა-ლეჩხუმის მთავარი სამმართველო. ჩემთან ერთად, სახელმწიფოცაა დაზარალებული — საუბარია დიდი რაოდენობის ტექნიკაზე, დაახლოებით, 15 ჰექტარ მიწაზე და ა.შ. დაუდევრად რომ ვიანგარიშოთ, დაახლოებით, 8 მილიონ ლარზეა ლაპარაკი. ჩემთვის მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ გახდა ცნობილი, რომ ამ ხნის განმავლობაში არათუ საპროკურორო ზედამხედველობა, საქმესთან დაკავშირებით, ერთი მოწმეც კი არ დაუკითხავს პროკურატურას... იმ პროკურორს, რომელიც ადამიანებს ავიწროებდა და ქონებას ართმევდა, ჩემი საქმის გამოძიება როგორ ვთხოვო? მხედველობაში მყავს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორი ილია ჯალაღანია, რომელსაც ოზურგეთის პროკურორობისას, ისეთები აქვს ნაკეთები, სიტყვით ვერ აღვწერ. ჩემს საქმესთან დაკავშირებით, სამძებრო სამუშაოები სწორედ მისი და მისი ხელქვეითების დაუდევრობით არ გატარდა და პასუხისმგებლობასაც, უშუალოდ, მას ვაკისრებ“,** — აღნიშნავს ბუბა ჩივაძე, რომელიც აპირებს, უახლოეს მომავალში, რამდენიმე ქვეყანას თავშესაფარი სთხოვოს:

**„შიმშილობის დაწყებას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე — ამ ეტაპზე, ვფიქრობ, უშედეგო იქნებოდა... როგორც კი იმ საწარმოებს გავყიდი, სადაც მე და ჩემს ოჯახს წილი გვაქვს, თავშესაფრის მოთხოვნით, გერმანიის, შვეიცარიისა და პოლონეთის საელჩოებს მივმართავ“.**



## ჯანდაცვის სამინისტროს მედიაციის სამსახურის უფროსი თანამდებობას ტოვებს

**როგორც „ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, ჯანდაცვის სამინისტროს მედიაციის სამსახურის უფროსი სოფო ლებანიძე 28 ივნისიდან თანამდებობას დატოვებს.**

**სოფო ლებანიძე:** — მედიაციის სამსახური, რომელიც 2012 წლის პირველი ივნისიდან ფუნქციონირებს, სამედიცინო დაწესებულებას, სადაზღვევო კომპანიასა და დაზღვეული პაციენტს შორის წარმოშობილ ნებისმიერ დავას განიხილავს, ასევე, პაციენტისა თუ დაზღვეული ფიზიკური პირების უფლებებს იცავს. გარდა ამისა, მოსახლეობას კონსულტაციებს ვუწევთ — როგორ ისარგებლოს დაზღვევით; რა არის სადაზღვევო კომპანიის ვალდებულება, როგორ უნდა მიიღოს მომსახურება სამედიცინო დაწესებულებაში...

**— მას შემდეგ, რაც მედიაციის სამსახური ფუნქციონირებს, დარღვევის რამდენი ფაქტი გამოვლინდა?**

— 2012 წლის 1 ივნისიდან 2013 წლის 1 ივნისამდე მედიაციის სამსახური 12 000-მდე ფიზიკურ პირს მოემსახურა, 13 მილიონამდე ოდენობის ფინანსური დავა განიხილა...

**— გამოდის, სამსახური წარმატებით მუშაობს. აბა, თანამდებობას რატომღა ტოვებთ?**

— დამატებითი განათლების მისაღებად აშშ-ში მივემგზავრები — ნიუ იორკის შტატში, მაქსელის სკოლაში ჯანდაცვის სისტემის მართვისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა უნდა გავიარო. ეს საკმაოდ პრესტიჟული უნივერსიტეტია.

**— სწავლას ჯანდაცვის სამინისტრო გიფინანსებთ?**

— არა, მონაწილეობა საგრანტო პროგრამაში მივიღე და დაფინანსება მოვიპოვე.

**— თქვენი შემცვლელი ვინ იქნება?**

— პირველ ეტაპზე, მოვალეობას ჩემი მოადგილე გიული მარღიშვილი შეასრულებს...

*ნინო ხარშილაძე*



# ნაციონალთა ელექტრონული ტენდერების კორუფციული სქემები

## რა ხარვეზები აღმოაჩინა „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ ელექტრონულ ტენდერებში, როგორ ქრება პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან მილიონები და რატომ არაა ეფექტური „შავი სია“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**გასული კვირის მთავარი სკანდალი თავდაცვის სამინისტროს კვების ტენდერში გამოვლენილი დარღვევები იყო — რამდენიმე ჯარისკაცი საჭმლით მოიწამლა, რის გამოც, თავდაცვის მინისტრმა ჯარისკაცთა კვების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები გაათავისუფლა და კვების ტენდერი (სულ 4 ლოტი) გააუქმა. ირაკლი ალასანიას საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი გივი თარგამაძე გამოეხმაურა და საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ თავდაცვის სამინისტროს კვების ტენდერის ერთ-ერთი უმსხვილესი ლოტის გამარჯვებული კომპანიის მფლობელი საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის, ირინა იმერლიშვილის მეუღლეა... საქართველოში სამთავრობო ტენდერები ცენტრალურად, ერთ ვებ-გვერდზე ცხადდება და კომპანიებიც ელექტრონულ აუქციონებში მონაწილეობენ. იმარჯვებს ის, ვინც მთავრობას ყველაზე დაბალ ფასს სთავაზობს და, ამასთან, ყველა სატენდერო მოთხოვნას აკმაყოფილებს. სატენდერო დოკუმენტაცია — ხელმოწერილი ხელშეკრულებები და განხორციელებული ცვლილებები კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს მიერ 2010 წელს შექმნილ ინოვაციურ და მუდმივად განახლებად ელექტრონულ სისტემაშია ხელმისაწვდომი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ახალი ვებგვერდი – tendermonitor.ge, რომელიც 14 ივნისიდან ამოქმედდა, საზოგადოებას საჯარო შესყიდვების ძიების, დაკვირვებისა და მონიტორინგის საშუალებას აძლევს. ეს ვებგვერდი საქართველოს კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული შესყიდვების სისტემიდან მიღებულ მონაცემებს ემყარება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, ვებგვერდის პრეზენტაციასთან ერთად, ელექტრონულ შესყიდვებთან დაკავშირებით, ახალი კვლევის ანგარიშიც გამოაქვეყნა, სადაც გასული კვირის სკანდალურ თემაზე — თავდაცვის სამინისტროს კვების ტენდერში გამოვლენილ დარღვევებსა და, ზოგადად, ელექტრონული ტენდერების ხარვეზებზეა საუბარი.**

მართალია, ელექტრონული შესყიდვების ოფიციალური სისტემა სახელმწიფო კონტრაქტების გაფორმების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც მსოფლიოში ყველაზე უფრო ეფექტურ და გამჭვირვალე მოდელად მიიჩნევა, მაგრამ გარკვეული ხარვეზები ამ სისტემასაც აქვს. ზემოხსენებული, დაახლოებით, 50-გვერდიანი კვლევა ელექტრონული ტენდერების დეტალური ანალიზია, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარები ყურადღებას ამ სისტემის ხარვეზებზეც ამახვილებენ და მთავრობას გარკვეულ რეკომენდაციებსაც აძლევენ.

**„ახალი კვლევით დადგინდა, რომ ელექტრონული შესყიდვების ოფიციალური ვებგვერდი ინოვაციური და გამჭვირვალე სისტემაა — ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა ტენდერის გასაჩივრების საშუალება, რაზეც დავების განხილვის საბჭო მსჯელობს. ეს პროცესი ხელს უწყობს შესყიდვების პროცესის სამართლიანობისა და კონკურენტული გარემოს ხარისხის ზრდას. ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი დაბალი ფასია. სასურველია, შესყიდვების სისტემა პროდუქტის ხარისხისა და მიმწოდებლის გამოცდილების გათვალისწინების უკეთეს შესაძლებლობას იძლეოდეს, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს გადასახადის გადამხდელთა ფულით მიღებული სარგებელი. საქართველოს კანონი „შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ გარკვეულ ორგანიზაციებს („საქართველოს რკინიგზა“, „საქართველოს ლატარიის კომპანია“, „საპარტნიორო ფონდი“), ასევე პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებსა და თავდაცვის სამინისტროს საშუალებას აძლევს, შესყიდვები ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით განახორციელოს. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ამ სამართლებრივი ხვრელების აღმოფხვრა. 2012 წელს, პრეზიდენტისა და მთავრობის თანხმობით, შესყიდვების პროცედურების გვერდის ავლითა და ბუნდოვან ვითარებაში, 800 000 000 ლარის ღირებულების კონტრაქტები გაფორმდა. ხელშეკრულებების 45%, რომლის ღირებულებაც 1 200 000 000 ლარს უტოლდება, არაკონკურენტული, გამარტივებული შესყიდვების პირობებში გაფორმდა, ხოლო დარჩენილი 55%-ის (1 500 000 000 ლარის ღირებულებით) შესყიდვა ელექტრონულად განხორციელდა“,** — აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევაში.

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# მალე შაქარი 2 ლარამდე გაძვირდება?!

*მე-6 გვერდიდან*

იმხანად განხორციელდა „დინამოს“ რეკონსტრუქციაც, რაც 20 000 000 ლარამდე დაჯდა, ამან კი სხვა ბიზნესკომპანიებზე, მათ შორის, „აგარის შაქარზე“ უარყოფითად იმოქმედა და ფინანსური პრობლემები შექმნა. ამჟამად აგარის შაქრის ქარხანას უმსხვილესი აზერბაიჯანული კორპორაცია მართავს, რომელიც აგარის გარდა, მსოფლიოს 4 უმსხვილეს შაქრის ქარხანასაც ფლობს.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც ახალმა მთავრობამ შაქრის იმპორტიორები უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენა, აგარის შაქრის ქარხანას ფინანსური პრობლემები შეექმნა. მეტიც, „ვერსიის“ კარგად ინფორმირებული წყაროს ინფორმაციით, იმის გამო, რომ ადგილობრივ მწარმოებელს იმპორტიორების კონკურენციისთვის გაეძლო, შაქრის ფასი ხელოვნურად გააიაფა და შედეგად, აგარის ქარხანა მიმდინარე წელს ზარალით დაასრულებს.

მძიმე პირობების მიუხედავად, აგარის შაქრის ქარხანა არ გაჩერებულა და „აგარა შუგარ კომპანი“, რომელიც სამი კვირის წინ სრული დატვირთვით ამუშავდა, დღე-ღამის განმავლობაში, 600 ტონა სუფთა შაქარს აწარმოებს. საქართველოში შაქრის მწარმოებელი ერთადერთი ქარხანა „თეთრ ოქროს“ შაქრის ლერწმის ნედლეულისგან ამზადებს, რაც საბირჟო პროდუქტია ანუ შაქრის ლერწამს საერთაშორისო ბირჟის გარდა, ქარხანა ვერსად შეიძენს. აგარის ქარხანას წელიწადში 160 000-180 000 ტონა შაქრის წარმოება შეუძლია, მაგრამ იმის გამო, რომ წლის განმავლობაში, საქართველო მხოლოდ 120 000 ტონა შაქარს მოიხმარს, ქარხანა საშუალოდ, 100 000 ტონა შაქარს უშვებს, საქართველოს შაქრის ბაზრის 20-30% კი იმპორტს უჭირავს.

როგორც აღვნიშნეთ, აგარის შაქრის ქარხანას პრობლემები იმპორტის გამო შეექმნა. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ერთ-ერთი პირველი პროდუქტი, რომელიც ქვეყნის შიდა ბაზარზე გაიაფდა, შაქარი იყო — თუ არჩევნებამდე 1 კგ. შაქარი 2 ლარი ღირდა, არჩევნების შემდეგ, მისი ფასი 1,20 ლარამდე შემცირდა, ეს კი იმპორტირებული შაქრის დემპინგურმა ფასმა განაპირობა.

იმპორტირებული შაქრის დემპინგური ფასი რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, უკრაინაში შაქრის ჭარბი წარმოებაა, შესაბამისად, ქვეყანამ ექსპორტი გაზარდა, მაგრამ ეს არაა მთავარი, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შაქრის ბაზარი ცალმხრივად გახსნა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმპორტირებულ შაქარზე, 12%-იანი საბაჟო გადასახადი მოხსნა და უკრაინელ იმპორტიორებს შესაძლებლობა მისცა, პროდუქტი გაცილებით იაფად შემოეტანათ. შედეგად, საქართველოს ბაზარზე შაქრის ფასი დაეცა და ამ პროდუქტის მწარმოებელი ერთადერთი ქარხანა იძულებული გახდა, პროდუქტის ფასი შეემცირებინა. საქართველოს ხელისუფლების ამ ტიპის გადაწყვეტილება აშკარად ცალ კარში თამაშია, რამაც ადგილობრივი მწარმოებელი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

აგარის შაქრის ქარხანა იმპორტიორებს კონკურენციას ვერ უწევს, რადგან ადგილობრივი პროდუქცია დაცული არ არის. რაც მთავარია, ქვეყანაში ენერგომატარებლები ძვირია, რაც ადგილობრივ პროდუქციას აძვირებს. მეტიც, ქართული კომპანია საკუთარ პროდუქციას ექსპორტზე ვერასდროს გაიტანს. „აგარა შუგარ კომპანიში“, დაახლოებით, 540 თანამშრომელია დასაქმებული, რომელთა მინიმალური ხელფასი 300-დან 350 ლარამდეა.

**რაც შეეხება 1 კილოგრამი შაქრის მკვეთრად დაბალ ფასს, „ვერსიის“ წყაროს მტკიცებით, ეს ფასი პირობითი და კონიუნქტურულია. მართალია, ლონდონის ბირჟაზე 1 ტონა შაქარი 100 აშშ დოლარით გაიაფდა, მაგრამ გამორიცხული არაა, საერთაშორისო ბირჟაზე ფასი შეიცვალოს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ერთი დეტალი: საქართველოში შაქარი, რეალურად, 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის მაისის ჩათვლით გაიაფდა, ეს ის პერიოდია, როდესაც შაქრის სეზონი არ არის. ახლა ზაფხულია, შესაბამისად, შაქრის მოხმარება გაიზრდება, რადგან მოსახლეობა სხვადასხვა ხილის წვენებისა და მურაბების მომზადებას დაიწყებს. შაქრის მოხმარების ზრდა კი, ავტომატურად, გამოიწვევს ამ პროდუქტის გაძვირებას და არაა გამორიცხული, სეზონზე 1 კგ. შაქარი ისევ 2 ლარი გახდეს.**

რაც შეეხება შაქრის დეფიციტს, წყაროს ინფორმაციით, ასეთი რამ გამორიცხულია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, აგარის ქარხანა წელიწადში 100 000 ტონა შაქარს აწარმოებს, თან ქვეყანას, იმპორტის ხარჯზე, ამ პროდუქტის მარაგი აქვს.

სხვათა შორის, წელან ბადრი პატარკაციშვილი ვახსენეთ და, 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს, ანუ მაშინ, როცა ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია ქუჩაში გამოვიდა, პოლიტიკურ კულუარებში ითქვა, რომ შაქრის ფასი, შესაძლოა, ხელოვნურად გაძვირებულიყო, რაც ფასების მატებას, ავტომატურად, სხვა საკვებ პროდუქტებზეც გამოიწვევდა. ყველაფერ ამის შედეგად კი მოსახლეობაში უარყოფითი განწყობა ერთი-ორად მოიმატებდა... შაქრის 2 ლარამდე გაძვირება ახალი ხელისუფლებისთვისაც ერთგვარი თავის ტკივილი იქნება. შესაბამისად, ივანიშვილის მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ „თეთრი ოქროს“ არსებული ფასი შენარჩუნდეს...



### მერაბიშვილი სანიმუშოდ იქცევა, მაგრამ საკანში ტელევიზორს მაინც არ უდგამენ

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი საკანში ტელევიზორის დადგმას ამ დრომდე უშედეგოდ ითხოვს. როგორც „პირველს“ მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა განუცხადა, ყოფილი პრემიერ-მინისტრისთვის ჯერ არ მიუციათ ნებართვა, საკანში ტელევიზორი შეიტანოს.

ჩივიაშვილის თქმით, ადვოკატებმა აღნიშნული მოთხოვნით განცხადებების უფლებამოსილი პირების სახელზე უკვე არაერთხელ დაწერეს, თუმცა ციხის ადმინისტრაცია არც უარს აცხადებს და არც თანხმობას.

მერაბიშვილისთვის ტელევიზორის მიცემის საკითხზე კომენტარი 4 ივნისს, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა და განაცხადა, რომ პატიმრობის კოდექსის თანახმად, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ნაციონალური მოძრაობის მიერაა შემუშავებული, სანიმუშო ყოფა-ქცევის შემთხვევაში, მერაბიშვილს წახალისების მიზნით, ტელევიზორი და რადიომიმღებიც გადაეცემა.

**„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონი ვანო სანიმუშაოდ იქცევა“,** — დასძინა მინისტრმა.

*„პირველი“*



## ილია II: „საზოგადოებას წერა-კითხვის კულტურა აკლია“

საკვირაო ქადაგებისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სრულიად საქართველოს წმინდა მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ხსენების დღე მიულოცა; ასევე დეკანოზი დავით გოცირიძე გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. პატრიარქმა ტრადიციულად დალოცა რამდენიმე გვარი, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბი და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი. უწმინდესმა, აგრეთვე იქადაგა წიგნის მნიშვნელობასა და ძალაზე. როგორც პატრიარქმა აღნიშნა, წიგნს ძალიან დიდი ძალა აქვს და ადამიანმა ის არ უნდა დაივიწყოს.

**„წიგნი უნდა იყოს თქვენი მუდმივი თანამგზავრი და პირველი მეგობარი. ათი უმაღლესი სასწავლებელი რომ დაამთავროს ადამიანმა და წიგნის კითხვა არ იცოდეს, ეს სასწავლებლები ვერაფერს მოუტანს, ამიტომ ამ საკითხს უნდა მიხედოთ. შაბათს განსაკუთრებით უნდა ვილოცოთ და ვიკითხოთ, თუმცა, როცა თავისუფალი დრო გვაქვს, ყოველთვის უნდა ჩავხედოთ წიგნს და ამოვწეროთ ბრძნული გამონათქვამები. ტელევიზორმა და ინტერნეტმა დღეს ძალიან გაიტაცა ჩვენი ახალგაზრდობა. ბევრი ვიცით, მაგრამ არა სიღრმისეულად. როგორც პეპელა დაფრინავს ერთი ყვავილიდან მეორეზე, ისე ვართ“,** — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, საზოგადოებას წერა-კითხვის კულტურა აკლია და არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი უმაღლესს ამთავრებს, თუმცა არ იცის, სად დასვას სასვენი ნიშნები ან როგორ გამოიყენოს ციტირება.

**„ხშირია, როდესაც ადამიანი იწერს სხვა წიგნიდან და თავის ნათქვამად მიიწერს, რაც დაუშვებელია. შესაძლოა გაგიჩნდეთ კითხვა, რომელი წიგნებიდან უნდა დაიწყოთ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბიბლია. იქ არის დიდი სიღრმე, სიბრძნე, სულიერება და ცხოვრების წესები. დღეში თითო თავი უნდა წაიკითხოთ. ჩვენი დიდი წინაპრები — გრიგოლ ღვთისმეტყველი, ბასილი დიდი და იოანე ოქროპირი სწავლობდნენ და კითხულობდნენ ფილოსოფიურ წიგნებს და ამან დიდი შედეგი გამოიღო. ვისაც არ დაუწყია კითხვა, დღეიდან დაიწყეთ“,** — მიმართა მრევლს უწმინდესმა.

*„ინტერპრესნიუსი“*



## სააკაშვილი პატრიოტთა ბანაკების განახლებას მიესალმება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პატრიოტთა ბანაკების განახლებას მიესალმება. როგორც მიხეილ სააკაშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მთავრობამ შეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება, თუმცა სამწუხარო ტენდენციაა, რომ ანადგურებენ პატრიოტთა სიმბოლიკას.

**„მივესალმები პატრიოტთა ბანაკების განახლებას. როგორც ვხვდები, მთავრობამ შეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება ანაკლიის ბანაკთან დაკავშირებით, თუმცა შეუცვალეს სახელწოდება და „პატრიოტების“ ნაცვლად, ახლა „იმედის ბავშვები“ ჰქვია. წინა წლებში ამ ბანაკებში 20-22 წლის ახალგაზრდები დაგვყავდა და, როგორ ვუწოდებთ მათ ბავშვებს, არ ვიცი. ადგილობრივ მცხოვრებლებს პატრიოტთა მაისურები და კეპები უთხოვიათ, რაზეც ცივი უარი უთხრეს და გაანადგურეს. გაანადგურეს პატრიოტთა სიმბოლიკა, როგორც იდეოლოგიურად მავნე მასალა. ე.ი ქვეყნის გარეთ გვაქვს იზოლაციის საფრთხე, ხოლო ქვეყნის შიგნით სიტყვა „პატრიოტიც“ არ გვინდა ვახსენოთ... სამწუხაროა, სიმბოლიკასთან ბრძოლა. სიტყვა „პატრიოტი“ არ არის რომელიმე პარტიის საკუთრება — ეს არის ზოგადი ეროვნული ტერმინი“,** — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.

*„მედიანიუსი“*

# ირაკლი წერეთელი გამაფრთხილებელ შიმშილობას იწყებს



რუსუდან შელია
557-100-768

**ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნულ-დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი 18 ივნისს შიმშილობას იწყებს. მისი განცხადებით, პროტესტის ამ რადიკალური ფორმისკენ საქართველოში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა და მორალურმა მდგომარეობამ უბიძგა:**

**„ცხადად ვხედავ ქართველი ერის მიერ ბრძოლებითა და სისხლით მოპოვებული და დაბრუნებული ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკნინების, დაკარგვის, საქართველოს რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროსა და სტრატეგიულ სივრცეში დაბრუნების, აშშ-სა და დასავლეთთან დაცილების რეალურ საშიშროებას. სახეზეა მშიშარა, კაპიტულანტურ-რენეგატული პოლიტიკა, ქვეყანაში კოლაბორაციონისტულ, მარიონეტულ და აგენტურულ პოლიტიკურ ძალთა მომძლავრება. რეალურია საფრთხე საქართველოს დსთ-ში დაბრუნებისა და ევრაზიის კავშირში შესვლის, აგრეთვე, სუვერენული ქართული სახელმწიფოს სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და ფიზიკური დაუძლურებისა და დაცემის. ამას ემატება ჯანსაღი ეროვნულ-პოლიტიკური აქტიურობის მკვეთრი ნაკლებობა და დემოკრატიული ცნობიერებისა და აზროვნების მოდუნება. სწორედ ამიტომ გამაფრთხილებელ და გრძელვადიან შიმშილობას ვიწყებ“.**

როგორც „ვერსიას“ ირაკლი წერეთელმა განუცხადა, შიმშილობის „ადრესატები“ საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, ასევე ქართველ ერთად ერთად, დასავლელი პარტნიორებიც არიან, რომლებსაც აქციის მიმდინარეობისა და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია ინგლისურად ნათარგმნი გადაეგზავნებათ:

**„ამ ეტაპზე, აქციას არა უვადო, არამედ გამაფრთხილებელი ხასიათი აქვს, თუმცა გარდაუვალ შემთხვევაში, შესაძლოა, უვადო შიმშილობაშიც გადაიზარდოს“.**

წერეთელი აცხადებს, რომ შიმშილობის დაწყებიდან სამედიცინო კონტროლის ქვეშ იქნება, თანაც გამაფრთხილებელი აქცია ერთ კონკრეტულად განსაზღვრულ ადგილას არ ჩატარდება. შიმშილობა პერიოდულად საქართველოს პარლამენტის ძველი შენობის, აშშ-სა და ბრიტანეთის საელჩოებს წინ, დღეში რამდენიმე საათით გაიმართება.

**„ყოველდღიური სამედიცინო შემოწმება იმისთვისაა აუცილებელი, რომ ჩემი მხრიდან ყოველგვარი ტყუილი და არაკეთილსინდისიერება გამოირიცხოს. ამ ეტაპზე საშიმშილოდ მხოლოდ მე ვჯდები, თუმცა სოლიდარობას შიმშილობის გარეშე, მეგობრები და მოკავშირეები გამომიცხადებენ“,** — აცხადებს ირაკლი წერეთელი.



# ნაციონალთა ელექტრონული ტენდერების კორუფციული სქემები

*მე-11 გვერდიდან*

მართალია, ელექტრონული ტენდერების სისტემა ევროკავშირის რეგულაციებთან სრულ თანხვედრაშია, მაგრამ გარკვეული ხარვეზიც ახასიათებს — ზოგიერთი ტენდერის ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

**„მნიშვნელოვანია, მთავრობამ არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე იმუშაოს, რათა შესყიდვების ელექტრონულმა სისტემამ საჯარო სახსრების მაქსიმალურად გამჭვირვალედ და კონკურენტულ გარემოში ხარჯვა უზრუნველყოს. თავის მხრივ, ეს შეამცირებს კორუფციისა და ნეპოტიზმის რისკებს“,** – მითითებულია კვლევაში.

შესყიდვების ვებ-გვერდის მეშვეობით, ტენდერში კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, გასაჩივრების შესაძლებლობა ნებისმიერ ადამიანს აქვს. საჩივრები დავების განხილვის საბჭოში 10 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილება, რომლის ერთ-ერთი წევრიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელიცაა. გასაჩივრების აღნიშნული მექანიზმი მეტად ინოვაციურია და საზოგადოებას, სახელმწიფო შესყიდვებზე თვალის მიდევნებისა და კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, პროცესის შეჩერების საშუალებას აძლევს.

ელექტრონული შესყიდვების ძლიერ მხარედ კონკურენცია და თანაბარი პირობები, გამჭვირვალობა, ეფექტურობა და ხარისხის გარანტია ითვლება, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარები ამ სისტემის სუსტ მხარეებზეც ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის განსაზღვრებიდან გამომდინარე, ყველა ის ტენდერი, რომელიც მთავრობისა და პრეზიდენტის თანხმობით დგება, ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ შედის და არც ფასის შეზღუდვას ითვალისწინებს. მეტიც, ეს ხარჯები თავისუფლდება საჯაროობისა და კონკურენციის პირობების დაცვისგან.

2012 წელს, გამარტივებული ტენდერების 2/3 პრეზიდენტისა და მთავრობის თანხმობის საფუძველზე ჩატარდა და 800 000 000 ლარი შეადგინა. ამ პერიოდში ჩატარებული ტენდერების უმეტესობა, 1-დან დაწყებული 40 000 000 ლარით დამთავრებული, იფრასტრუქტურული პროექტებია. აღმოჩნდა, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, სხვადასხვა ფორმით, სახელისუფლებო წრეებს უკავშირდებოდნენ. ამ სახის კორუფცია კი აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას.

ელექტრონული შესყიდვების სუსტ მხარედ ითვლება 3 სამუშაო დღე, როგორც მინიმალური ვადა, მოკლე ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად. კვლევის მიხედვით, 3-დღიანი ვადა ბევრად ნაკლებია, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებშია დადგენილი. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მოკლე ვადა საფრთხეს უქმნის ტენდერის კონკურენტულ გარემოში ჩატარებას და კომპანიებსაც აფერხებს, რათა გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღონ.

პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდებია და თითოეული ფონდის ბიუჯეტი 50 000 000 ლარია. არც ერთი ფონდი შესყიდვების კანონს არ ექვემდებარება და, შესაბამისად, შესყიდვებს ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით ახორციელებს. სამოქალაქო სექტორის მხრიდან კონტროლის ნაკლებობისა და ანგარიშვალდებულების არარსებობის გამო, უცნობია, სარეზერვო ფონდებიდან მილიონობით ლარი რაში იხარჯება.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — ბრიტანეთმა“ სახელმწიფო თავდაცვის „ანტიკორუფციული ინდექსი 2013“ გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, სადაც თავდაცვის სფეროში კორუფციის რისკი მაღალია — არ არსებობს საჯარო ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროს ხარჯების შესახებ და არც ამ ხარჯების მონიტორინგი მიმდინარეობს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარები ბრიტანელი კოლეგების დასკვნას სრულიად იზიარებენ და მიიჩნევენ, რომ თავდაცვის სფეროს ფინანსები უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს, მაგრამ ამავდროულად, რისკი არც ქვეყნის უსაფრთხოებას უნდა მიადგეს.**

ელექტრონული შესყიდვების სუსტ მხარედ მიიჩნევა ისიც, რომ შესყიდვების სააგენტო ყველა ტენდერის მონიტორინგს ვერ აწარმოებს: რადგან სააგენტოს სათანადო ფინანსები და ადმინისტრაციული რესურსი არ გააჩნია, ელექტრონული ტენდერების მხოლოდ 20%-ს აფასებს, დარჩენილი 80% კი შემთხვევითობის პრინციპით ფასდება.

საქართველოს შესყიდვების სააგენტოში მოქმედებს „შავი სია“, რომელიც მარტივი ინსტრუმენტია, რათა შესყიდვების სისტემაში არაკეთილსინდისიერი მონაწილეები არ დაუშვან, თუმცა „შავ სიას“ გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვს, რაც რეალურად, აფერხებს მის ფუნქციონირებას. მაგალითად, ძალიან მარტივია ახალი კომპანიის დაარსება, შესყიდვების სისტემაში დარეგისტრირება და ტენდერში მონაწილეობა, რადგან „შავ სიაში“ შესული კომპანიების შესახებ არსებული ინფორმაცია, ამ კომპანიების ბენეფიციარებზე არაფერს ამბობს. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია, „შავ სიაში“ შესული კომპანიების შესახებ არსებულ ინფორმაციაში მითითებული იყოს ამ კომპანიების დირექტორები, მფლობელები ან, თუნდაც ბენეფიციარი მფლობელები. ასეთ შემთხვევაში, ერთხელ „გაშავებული“ პიროვნება სხვა კომპანიის დაფუძნებას ველარ შეძლებს. ზოგიერთი კომპანიის წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ „შავი სია“, შესაძლოა, მის წინააღმდეგ იყოს მიმართული, ამიტომ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარები მიიჩნევენ, რომ „შავი სიის“ კრიტერიუმები გამჭვირვალე უნდა იყოს, რათა ზუსტად ვიცოდეთ, ესა თუ ის კომპანია როგორ და რის საფუძველზე „გაშავდა“.

# „არასაპარლამენტო ოპოზიციას დეკორაციის სახე აქვს!“

## რატომ არ აქტიურობენ პარლამენტსგარეთ დარჩენილი პოლიტიკოსები

ანა ქევხიშვილი
557-10-44-22

**მართალია, ქვეყანაში, ნაცმოძრაობის გარდა, სხვა ოპოზიციური პარტიებიც არსებობენ, მაგრამ როგორც ექსპერტები ამბობენ, „ოცნებისა“ და ყოფილი მმართველი გუნდის კოჰაბიტაციის ფონზე, სხვა ოპოზიციური ძალების მიმართ მოსახლეობას ინტერესი აქვს დაკარგული.**

**„ვერსიასთან“ საუბრისას ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი აღნიშნავს, რომ ორხელისუფლებიანობის პირობებში, კონსტრუქციული ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბება შეუძლებელია:**

„განვლილი წლების განმავლობაში, არაერთი ტრადიციული ცნება გავაყალბეთ და დღეს არაადეკვატური შინაარსით ვიყენებთ. როცა ნაცმოძრაობა იჩემებს, რომ ოპოზიციური პარტიაა, ეს ტერმინი „ოპოზიციის“ შეურაცხყოფაა. დედამიწაზე არ არსებობს ოპოზიციური ძალა, რომელიც საკუთარ ხელმძღვანელად აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირს ანუ ქვეყნის პრეზიდენტს მიიჩნევს. დღევანდელი საპარლამენტო ოპოზიცია ქვეყანაში მთელ რიგ სასიცოცხლო ინსტიტუტებს სრულად აკონტროლებს — მერწმუნეთ, ასეთი ბერკეტები ბევრ სახელმწიფოში ხელისუფლებასაც არ აქვს. ნაცმოძრაობამ, რომელიც, რეალურად, მეორე ხელისუფლებაა, რატომღაც ოპოზიციის მანტია მოირგო და შედეგიც სახეზეა — ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა. პარლამენტს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით: საკანონმდებლო ორგანო ორი ხელისუფლებისგან შედგება — პარლამენტის წევრები ან ხელისუფლების პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენენ ან მეორის.





**— ბატონო სოსო, იმ ვითარებაში, როცა წინა და ახალი ხელისუფლება კოჰაბიტაციობს და თან ნაციონალებს იჭერენ, არასაპარლამენტო ოპოზიციას რა როლი ეკისრება?**

— ეს შეკითხვა უდავოდ აქტუალურია. ოპოზიცია კონსტრუქციულად შეიძლება მაშინ ჩამოყალიბდეს, როცა ხელისუფლებას გარკვეულ პარტნიორად ევლინება. ორხელისუფლებიანობის პირობებში კი, პრაქტიკულად, გამორიცხულია, კონსტრუქციული ოპოზიციური ძალა ორივე დაპირისპირებული მხარის მიერ იყოს აღიარებული, თუმცა ქვეყანაში არსებობს პოტენციალი, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციურ სპექტრს უფრო მეტი პრეტენზია გაუჩნდეს. თუ არასაპარლამენტო პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს პოლიტიკაში საკუთარი თავის შენარჩუნება სურთ, უნდა გააქტიურდნენ და თუ დარწმუნდებიან, რომ მათ მიმართ ინტერესი ერთი პროცენტის ფარგლებშია, სასურველია, ხელი სხვა საქმეს მოკიდონ. საერთოდ, თუ ოპოზიცია უფრო ძლიერი და სანდო იქნება, მოსახლეობის პოლიტიკური კულტურაც უფრო დაიხვეწება.

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე კი მიიჩნევს, რომ რეალურმა ოპოზიციურმა ძალამ მმართველ გუნდს ალტერნატივა უნდა შესთავაზოს. ცინცაძის თქმითვე, პარლამენტსგარეთ დარჩენილ ძალებს შიდარეფორმებისთვის დიდი დრო სჭირდებათ:**

— ცივილურ სამყაროში ოქროს პრინციპი მუშაობს — პარტია, თუკი მას საზოგადოებრივ აზრზე გავლენა აქვს ან მყარი ელექტორატი ჰყავს, პარლამენტშია წარმოდგენილი. იქ მრავალპარტიულობის წახალისება არ ხდება — პარლამენტსგარეთ პარტიების არსებობა ე.წ. განვითარებული სამყაროს სტილია. საქართველოში კი, სადაც პოლიტიკური გაერთიანებები ნაწვიმარზე სოკოებივით მრავლდებიან, პარლამენტსგარეთ დარჩენილი პოლიტიკოსები უმეტესად, მხოლოდ პარტიის ლიდერები არიან და მოსახლეობას საკუთარ არსებობას ტელევიზიით ახსენებენ.

**— ამას წინათ, ბიძინა ივანიშვილმა გარკვეულ ძალებს მოუწოდა, გააქტიურდით და ოპოზიცია გახდითო. ამ მოწოდებას გარკვეული კრიტიკა მოჰყვა...**

— გავლენიანი პარტიები მხოლოდ მოწოდებებით არ იქმნება. პარტიას, უპირველესად, დიდი ორგანიზაციული ბირთვი და უფრო მნიშვნელოვანი — დიდი ფული სჭირდება. საქართველოში პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიებიდან რაღაც პერსპექტივა შეიძლება სამ-ოთხს აქვს. მაგალითად ასეთი, სხვებთან შედარებით, კუკავას პარტიაა.

**— სხვათა შორის, 27 აპრილის შუალედური არჩევნების შემდეგ გაჩნდა მოსაზრება, რომ კუკავას პარტია, შესაძლოა, ხელისუფლებისთვის მისაღებ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდეს.**

**— ხელისუფლებისთვის მისაღები, ნაცმოძრაობის გარდა, მგონი, ყველა პოლიტიკური ძალაა. ისე, მაგალითად, ქრისტიან-დემოკრატებს და ედპ-ს ძალიან დიდი დრო და შიდარეფორმა დასჭირდებათ, რეალურ ოპოზიციურ ძალად რომ იქცნენ. მილიონი წელი რომ გავიდეს, ჩახვაძეს პარლამენტში მომხდარ ინციდენტს ყველა წამოაძახებს — მან საკუთარი პარტიის ბედი იმ დღეს გადაწყვიტა. ოპოზიციური ძალისათვის კონსტრუქციული ოპოზიციური პრინციპულობა აკლია ბურჯანაძესაც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი თავისი პოზიციების ხმამაღლა დაფიქსირებაში მთლად თავისუფალი ვერაა — ქალბატონი ნინოსადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, ვერ ვხედავ, რომ ხელისუფლებას პრინციპულ საკითხში უპირისპირდება.**

მოკლედ, დღეს არასაპარლამენტო ოპოზიციას, პრაქტიკულად, დეკორაციის სახე აქვს.



### მიკაელ კადიევსა და რიზვან ომაროვს 50-დღიანი პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს — მიკაელ კადიევსა და რიზვან ომაროვს, აღკვეთის ღონისძიების სახით, 50-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ მათ ბრალი არა ტერაქტის მცდელობისთვის, არამედ იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ შეძენა-შენახვის გამო წაუყენა.

როგორც „პირველს“ საქალაქო სასამართლოში განუცხადეს, დაცვის მხარე, სახაზინო ადვოკატი ირმა ინასარიძე დაკავებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახის გამოყენებას ითხოვდა.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სამართალდამცველებმა ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობა თბილისში მიმდინარე წლის 13 ივნისს აღკვეთეს. დაკავებულნი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიკაელ კადიევი და რიზვან ომაროვი, რომელთა დროებითი საცხოვრისიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით ძლიერმოქმედი ასაფეთქებელი ნივთიერება, სავარაუდოდ, პლასტიდი და ელექტროდეტონატორები, აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაცია.

*„პირველი“*



### იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე გახდა

ლევან მურუსიძის კანდიდატურას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობაზე, ფარული კენჭისყრის შედეგად, 224 მოსამართლიდან მხარი 205-მა დაუჭირა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი 2008 წლის 8 ოქტომბრიდან ვალერი ცერცვაძე გახლდათ.

*„პირველი“*

## ვერსიანიუსი

### ირანის პრეზიდენტი ლიბერალი ჰასან რუჰანი გახდა




ირანის ისლამური რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვებულად ღვთისმსახური, ადგილობრივი საზომით ლიბერალი, 64 წლის ჰასან რუჰანი დასახელდა. ირანის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუჰანმა 18 მილიონზე მეტი ხმა მიიღო, რამაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი შეადგინა.

უკვე 27 მილიონზე მეტი ბიულეტენის დათვლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ჰასან რუჰანი დიდი უპირატესობით დაამარცხებდა მთავარ კონკურენტს, თეირანის მერს ბაგერა გალიბაფას. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აქტიურობა არჩევნებზე საკმაოდ მაღალი იყო და 80% შეადგინა. ირანში საარჩევნო ხმის უფლებით, დაახლოებით, 50 მილიონი ადამიანი სარგებლობს.

პირველივე ტურში გამარჯვებისთვის კანდიდატს 50% და პლუს, ერთი ხმა უნდა დაეგროვებინა, ასე რომ, შეიძლება ითქვას, არჩევნები შედგა. არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლები არ იყვნენ წარმოდგენილნი. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ არჩევნების გაშუქება მკაცრად იზღუდებოდა — ლიბერალური გაზეთები იკეტებოდნენ, წვდომა ინტერნეტსა და საერთაშორისო მედიასთან გაუქმებული იყო და ჟურნალისტებს მასობრივად იჭერდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ არჩევნებზეც, 2009 წელს, წინასწარი მონაცემებით, გამარჯვებულად ოპოზიციონერი მირ ჰოსეინ მუსავი გამოცხადდა, თუმცა მოგვიანებით, როდესაც ოფიციალური და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდა, გამარჯვებული მაჰმუდ აჰმადინეჯადი გახდა. მაშინ მისმა მოწინააღმდეგეებმა განაცხადეს, რომ არჩევნების შედეგები მასობრივად გაყალბდა, ხოლო მომხრეებმა აღნიშნული ფაქტი იმით ახსნეს, რომ წინასწარი შედეგები მხოლოდ რამდენიმე დიდი ქალაქის შედეგებზე იყო დაყრდნობილი.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სტუდენტები ავღანეთში ქართული კონტინგენტის შემცირებას ითხოვენ

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**თსუ-ს სტუდენტები თავდაცვის სამინისტროს მიმართავენ და ავღანეთში ქართული კონტინგენტისთვის უსაფრთხოების ზომების გაზრდას, ასევე სამხედროთა რაოდენობის ეტაპობრივ შემცირებას სთხოვენ. „თავის დროზე, ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ქართული კონტინგენტის 1 600 ჯარისკაცამდე გაზრდით, სააკაშვილმა დასავლეთის თვალში თავისი ავტორიტარული მმართველობის გადაფარვა სცადა“, — მიიჩნევენ სტუდენტები.**



**ნიკოლოზ მეტრეველი, თსუ-ს „თავისუფალ სტუდენტთა კავშირის“ ხელმძღვანელი:** — ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვამ თსუ-ს სტუდენტები შეგვძრა... ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ დასავლელ მეგობრებთან თანამშრომლობა და პარტნიორობა უნდა გავაგრძელოთ, მაგრამ დაჩაგრულ მდგომარეობაში არ უნდა ვიყოთ — ჰელმანდის პროვინცია ავღანეთში ყველაზე ცხელი წერტილია და, კარგი იქნება, თუ ქართველი სამხედროების დისლოკაციის ადგილი გადაიხედება. ასევე, ჩვენი კონტინგენტი ერთ-ერთი უმსხვილესია. არადა, ჯარისკაცების რაოდენობა თავად ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა შეამცირეს. მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში ქართული სამხედრო კონტინგენტი ყველაზე დიდი რაოდენობით რომაა წარმოდგენილი, სააკაშვილის გაუაზრებელი და ავანტიურული ნაბიჯის შედეგია — მას, ალბათ, იმედი ჰქონდა, ამ ნაბიჯით თავის ავტორიტარულ მმართველობასა და იმ უამრავ დანაშაულს გადაფარავდა, რასაც მისი რეჟიმი სჩადიოდა, თან დასავლეთს და, პირველ რიგში, აშშ-ს ერთგულებას დაუმტკიცებდა.

**— დღევანდელი მთავრობა ამბობს, ამ ეტაპზე, კონტინგენტის შემცირება ვერ მოხერხდება, 2014 წლიდან კი, ავღანური ოპერაცია სამშვიდობო რელსებზე ისედაც გადადისო...**

— ავღანეთიდან 1 600 ჯარისკაცის ერთბაშად გამოყვანა პარტნიორებისა და მეგობრებისთვის, თავისთავად, დამანგრეველი იქნება. რაც შეეხება 2014 წელს ოპერაციის სამხედრო კომპონენტის დასრულებას, ავღანეთში უმძიმესი ვითარებაა და, არა მგონია, 2014 წლიდან სამშვიდობო მისია შეწყდეს, ამიტომ თავდაცვის სამინისტროს მივმართეთ, რათა ქართველ ჯარისკაცებს დისლოკაციის ადგილი შეუცვალოს.

**— ეს რას მოგვცემს?**

— პირველ რიგში, დიდი დანაკარგი აღარ გვექნება. საერთოდ, პლანეტის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფოს ვალია, მაგრამ როცა ნატო-ს ყველა წევრი ქვეყანა ავღანეთში კონტინგენტს ამცირებს, ამ კუთხით გარკვეული ზომები ჩვენც უნდა მივიღოთ. ისე, ნატო-ში შესვლა მხოლოდ ავღანურ მისიაში მონაწილეობაზე კი არა, იმაზეცაა დამოკიდებული, ქვეყანაში პროცესები როგორ განვითარდება...





# „თქვენც განათლდით, ბატონო პრემიერო!“




## რატომ არ შეუერთდა თსუ-ს პროფესურა სტუდენტების აქციას და ვის ამზადებს „ოცნება“ „ჯავახიშვილის“ რექტორად

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**უმაღლესი განათლების კანონპროექტის გამო ვნებათაღელვა არ ცხრება — მხოლოდ ნაციონალები კი არა, სტუდენტები და პროფესორები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტების ავტონომია დაცული უნდა იყოს და ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი არც რექტორს უნდა ნიშნავდეს და არც უნივერსიტეტების შიდასაქმეებში ერეოდეს. ამ მოთხოვნით, ილიაუნისა და თსუ-ს სტუდენტებმა ჭავჭავაძის გამზირზე ჯერ ცოცხალი ჯაჭვი „გაჭიმეს“, შემდეგ კი, განათლების სამინისტროსთან გადაინაცვლეს. „ნუ ახდენ სწავლის ოკუპაციას!“, „თქვენც განათლდით, ბატონო პრემიერო!“, „არ მიიღო კანონი უჩვენოდ!“, „სწავლა დაგვაცადეთ!“, „არ გვსურს, უნივერსიტეტში პოლიტიკური ძალები ჩაერიონ!“, „აკადემიური კოლექტივის გარეშე, არ მიიღონ ცვლილებები!“, „ახალგაზრდა პროფესორებს განვითარების საშუალება მისცენ!“ — სკანდირებდნენ აქციის მონაწილეები.**

**ცირა ბარბაქაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:** „ამ კანონით, უნივერსიტეტის რექტორი პრემიერმა უნდა დანიშნოს, რაც უნივერსიტეტის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის მოკვლას ნიშნავს“.

**დავით თარხნიშვილი, ბიოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:** „ამ კანონპროექტის დამტკიცება უნივერსიტეტებზე უარყოფითად აისახება, რადგან უნივერსიტეტებისა და აკადემიური საბჭოების ძალიან ბევრი უფლება მთავრობას გადაეცემა, რამაც ზოგიერთი სასწავლო პროგრამა შეიძლება, საერთოდ მოშალოს“.

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ნინი გოგიბერიძე კი აცხადებს, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ უნივერსიტეტში ვეღარ იმუშავებს:** „კანონპროექტის საჯარო განხილვა არ მომხდარა. არადა, ახალი ხელისუფლება წინას სწორედ იმას საყვედურობს, რომ მნიშვნელოვან ცვლილებებზე დებატებს არ მართავდა და ეს მანკიერი პრაქტიკა ახლაც გრძელდება. განათლების კანონპროექტი მავნებლობაა, რადგან უნივერსიტეტებს შესაძლებლობა აღარ ექნება, ახალგაზრდა პროფესორები დაიქირაოს და კვლევებში ჩართოს.“

**გიორგი მელაძე, ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი, პროფესორი:** „ის, რაც ხდება, უნივერსიტეტებზე შურისძიებაა! ვერავინ გვაგებინებს, რა რეფორმა დაიწყო და რისთვის. ამ საკითხებზე პასუხს არავინ გვცემს... პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ვანო კილურაძე კი თვლის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა თანამდებობაზე დანიშვნა მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია. დეპუტატმა გია ჟორჟოლიანმაც გააკეთა რაღაც განმარტება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის ერთ-ერთი კანდიდატია. ყველაფერი ეს თავისუფალ ინსტიტუციებზე შეტევა და ტირანიაა, რომელიც სწორედ ასე მყარდება: ჯერ თავისუფალ სივრცეს კლავს, სადაც შეიძლება, თავისუფლება დაიბადოს, მერე კი ეს ტირანია ნებისმიერ ოჯახს შეეხება. ადამიანები, რომლებმაც დასავლურ უნივერსიტეტებში საკუთარი სასწავლო პროგრამები შექმნეს და აქ ჩამოიტანეს, უკან წავლენ და მივიღებთ იმას, რაც 20 წლის წინ გვქონდა — ახალგაზრდებს საშუალება აღარ ექნებათ, პრესტიჟულ ფაკულტეტზე მხოლოდ ცოდნით ჩააბარონ!“

**უმაღლესი განათლების კანონპროექტს, პროფესორების მსგავსად, სტუდენტებიც რევანშად მიიჩნევენ.**

**გიორგი გერმანოზაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი:** „ყველაზე ცუდი ისაა, რომ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა დაიწყო და უნივერსიტეტებს არ შეატყობინეს, რომ მართვაში ცვლილება შედის. კანონპროექტით, უნივერსიტეტი პროფესორს მხოლოდ სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებს, რაც პროფესორების გრძელვადიან კვლევებს საფრთხეს უქმნის; ისიც პრობლემაა, რომ ახალგაზრდა დოქტორანტებს უნივერსიტეტში მუშაობის უფლება აღარ ეძლევათ. ეს კანონი ჩემზე, როგორც სტუდენტზე უარყოფითად იმოქმედებს — ბევრი ლექცია ვეღარ ჩატარდება, რადგან ასისტენტ-პროფესორებს ლექციის წაკითხვის უფლება აღარ ექნებათ. მოვითხოვთ, მთავრობამ, საპარლამენტო უმრავლესობამ მოგვისმინოს და კანონი ისე მიიღონ.“

**გურამ ლომიძე, „სტუდენტური ზონის“ წარმომადგენელი:** „უნივერსიტეტის ცხოვრებაში პოლიტიკური პარტიები არ უნდა ერეოდნენ, მისი ავტონომიურობა დაცული უნდა იყოს და ახალგაზრდა პროფესორებს განვითარების შესაძლებლობა ჰქონდეთ. ახალი კანონი კი ყველაფერ ამას სპობს... სხვა თუ არაფერი, ფაკულტეტები დაიხურება, რადგან ლექტორები, ძირითადად, ასისტენტ-პროფესორები არიან“.

**განათლების სამინისტროსთან მიმდინარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორების აქციას, თავდაპირველი ინფორმაციით, თსუ-ც უნდა შეერთებოდა, თუმცა გეგმა შეიცვალა — „ჯავახიშვილის“ სტუდენტებმა აქცია უნივერსიტეტის კიბეებზე პროფესორ-მასწავლებლების გარეშე გამართეს. „ლექტორები არ უჭერენ მხარს სტუდენტებს!“, „ჩვენი უფლები იწყება ქვევიდან!“, „უნივერსიტეტი სტუდენტებსა და ლექტორებს!“, „არა, გარედან დანიშნულ პარტიულებს!“, „ავტონომია უნივერსიტეტს!“ — სკანდირებდნენ უნივერსიტეტის კიბეზე შეკრებილი სტუდენტები.**

**ანამარია ბრეგვაძე, თსუ-ს სტუდენტი:** „არ ვიცი, ლექტორები რატომ არ შემოგვიერთდნენ. არადა, ამ პრობლემას ყველაზე კარგად სწორედ პროფესორები უნდა ხვდებოდნენ... მოვითხოვთ, უნივერსიტეტს რეალური ავტონომია ჰქონდეს და რექტორის დანიშვნა ერთი ადამიანის მიერ არ ხდებოდეს!“

**ოთო კობახიძე, თსუ-ს სტუდენტი:** „წინა ხელისუფლების დროს გარკვეულ კანონებს პოსტფაქტუმ ვეცნობოდით და ამ პრაქტიკას ახალი ხელისუფლებაც აგრძელებს. არც აკადემიური პერსონალისთვის უკითხავთ და არც ჩვენთვის, როგორ ან რა უნდა შეცვლილიყო. სპორტსმენებისა და მომღერლების მიერ მიღებული კანონები არ გვჭირდება! უნივერსიტეტებში ცვლილებები უფრო ღრმად და საფუძვლიანად უნდა დაიწყოს. სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ ცდილობს, უნივერსიტეტზე ის გავლენა მოიპოვოს, რომელიც დღეს ისევ ნაცმოძრაობას აქვს. უნივერსიტეტებიდან პარტიები უნდა წავიდნენ და უნივერსიტეტებს ავტონომია დაუბრუნდეს!“

**განათლების სამინისტროდან მომიტინგეებს არავინ გამოხმაურებია, რაც შეეხება თსუ-ს რექტორად უმრავლესობის წევრის, „სოციალ-დემოკრატ“ გია ჟორჟოლიანის შესაძლო დანიშვნას, დეპუტატი „ვერსიასთან“ საუბრისას ამ ინფორმაციას უარყოფს...**

# განათლების სამინისტრომ ივანიშვილის ფავორიტ გია დვალთან კომუნიკაცია გაწყვიტა?

რუსუდან შელია
557-100-768

**უმაღლესი განათლების კანონში მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებების ირგვლივ აჟიოტაჟი გრძელდება. პასუხი კითხვაზე — უნდა ნიშნავდეს თუ არა პრემიერი სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორის მოვალეობის შემსრულებლებს — მმართველ გუნდსაც არ აქვს. მეტიც — ამ საკითხზე საპარლამენტო უმრავლესობის აზრი ორად გაიყო: კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღებისას პარლამენტის თავმჯდომარემ სხდომათა დარბაზი დატოვა, უმრავლესობის წევრებმა — ელისო ჩაფიძემ, ლევან და დავით ბერძენიშვილებმა, ვახტანგ ხმალაძემ, გედევან ფოფხაძემ, დავით ონოფრიშვილმა, ირაკლი ჩიქოვანმა, ვიქტორ დოლიძემ, ნინო გოგუაძემ, ანი მიროტაძემ და თამარ კორძაიამ კი განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებულ ცვლილებებს ხმა არ მისცეს. „სამწუხაროდ, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი კანონპროექტში არ ცვლის იმ ძირითად პუნქტებს, რომელსაც ვეწინააღმდეგები, კერძოდ, მიმაჩნია, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს პრემიერ-მინისტრი არ უნდა ნიშნავდეს“, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა, რომელსაც პრემიერის მრჩეველი გია ხუხაშვილი გამოეხმაურა და „რესპუბლიკელის“ განცხადებას წარმოუდგენელი უწოდა: „ვერ გავიგე, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ამ კანონპროექტს ეწინააღმდეგებიან თუ სხვა მიზეზი აქვთ, თუმცა ფაქტია: მათ, ვინც განათლების შესახებ კანონში ცვლილებებს მხარი არ დაუჭირა, ხმა გიგი თევზაძისა და გადამდგარი კვიტაშვილის უნივერსიტეტში დარჩენას მისცეს“. მთელ ამ ბაკქანალიაში ყველაზე დიდი პარადოქსი ისაა, რომ ზემოხსენებული ცვლილებები განათლების სამინისტროში მომზადდა, განათლების მინისტრის მოადგილე კი, მოგეხსენებათ, „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილია, ანუ ძმები ბერძენიშვილები, დავით უსუფაშვილი მეუღლითურთ და ვახტანგ ხმალაძე, პრაქტიკულად, თანაპარტიელს დაუპირისპირდნენ.**

**„დათო ზურაბიშვილი იტყვის თუ ქიბროწაშვილი, ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მხარს არასოდეს დავუჭერ, უნივერსიტეტის რექტორი პრემიერმა დანიშნოს... პარტიაში განსხვავებული აზრი ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის ნაწილია. რაც შეეხება ხუხაშვილს, როგორც ვიცი, იგი პრემიერის მრჩეველი ეკონომიკის ნაწილშია და არა განათლების, ამიტომ, კარგი იქნება, თუ საკუთარ კომპეტენციას არავინ გასცდება“,** — აცხადებს „ვერსიასთან საუბრისას **ლევან ბერძენიშვილი**.

თანაპარტიელთა კრიტიკა დიდად არც **დავით ზურაბიშვილს** აწუხებს და აცხადებს, რომ პოლიტიკურად ჭრელ კოალიციაში განსხვავებული აზრის მოსმენა არავის უნდა გაუკვირდეს: **„თუ „რესპუბლიკელებმა“ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს, ეს ჩვენ შორის დაპირისპირებას სულაც არ ნიშნავს, ის გუნდი არ ვართ, რომელიც, ნაციონალების მსგავსად, ორი-სამი ადამიანის გადაწყვეტილების მიხედვით მოქმედებს. კოალიციაში რამდენიმე პოლიტიკური ძალაა, ამიტომ შესაძლოა, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრიც გვაქვს. მთავარია, კოალიციაში შემავალ პარტიებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით საერთო პოზიცია გვაქვს. რაც შეეხება კანონპროექტს, ეს მხოლოდ დროებითი ინტერვენციაა, რომელიც განათლების სამინისტროს ინიციატივით, პარლამენტს გადაეგზავნა. დიახ, კარგი იქნებოდა, ამ საკითხზე გუნდში აზრი თავიდანვე შეგვეთანხმებინა, თუმცა შენიშვნების მოსასმენად არც ახლაა გვიან. მზად ვართ, ყველა საკითხი, რომელიც უნივერსიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირიდან საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე გადაცვლას ეხება, ოპონენტებთან ერთად განვიხილოთ, რადგან, საერთო ჯამში, ცვლილებების მთავარი მიზანი უნივერსიტეტებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭებაა. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, რექტორის არჩევნებამდე, მოვალეობის შემსრულებელს, განათლების მინისტრის წარდგენით, პრემიერი დანიშნავს, არჩევნებში მონაწილეობის უფლება კი ყველა მსურველს ექნება“.**

იმის შესახებ, რეალურად, რა საფრთხეს შეიცავს „უმაღლესი განათლების შესახებ კანონში“ შესატანი ცვლილებები, „ვერსია“ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტ **მარიამ ცაცანაშვილს** ესაუბრა:

— მოვითხოვ, მარგველაშვილის უწყებამ განგვიმარტოს, რა სისტემური ცვლილებები დგას „უმაღლესი განათლების შესახებ კანონში“ დაგეგმილი ჩასწორებების უკან და რატომ არ გადავდივართ გია დვალის მიერ შემუშავებულ კონცეფციაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრმა მოიწონა. როცა გვეუბნებიან, გარდამავალ ეტაპზე ვართ და ამიტომ აუცილებელია, რექტორი პრემიერმა დანიშნოსო, გაურკვეველი რჩება — საიდან სად



## მარიამ ცაცანაშვილი: „ეს პოლიტიკური აჟიოტაჟი საგანმანათლებლო სივრცის დისკრედიტაციასა და შიდა განხეთქილების ორგანიზებას ემსახურება!“

გადავდივართ? ფაქტია, რომ ეს ცვლილებები კვიტაშვილის წინააღმდეგ დაიგეგმა, რომელიც უნივერსიტეტში, თავის დროზე, მხოლოდ ბაბუის ავტორიტეტით მოვიდა და თურმე მხოლოდ მენეჯერის ფუნქციას ასრულებდა. არ მესმის, რატომ გახდა ხელისუფლებისთვის ეს ადამიანი პრიორიტეტი მაშინ, როცა მთავარი საკითხი კონკრეტული პიროვნება კი არა, სისტემის შეცვლა უნდა იყოს.

**— ისე, ქალბატონო მარიამ, ალექსანდრე კვიტაშვილმა განათლების სამინისტროს გეგმები ჩაუშალა — კანონპროექტის დამტკიცებამდე გადადგა და ახალ რექტორს ის 12-კაციანი საბჭო აირჩევს, რომელიც ნაციონალების მხარდამჭერად ითვლება. ეს განათლების სამინისტროს მიერ გაუთვლელი ნაბიჯია თუ ცვლილებების მიზანი, უბრალოდ, პრემიერისთვის განუსაზღვრელი ძალაუფლების მინიჭებაა?**

— კვიტაშვილი, მოგვწონს თუ არა, ამ შემთხვევაში, აბსოლუტურად სწორად მოიქცა. როცა კანონპროექტში მხოლოდ დანიშვნაზეა საუბარი, ბუნებრივია, მსგავსი ტენდენცია გარკვეულ საფრთხეებზე მიანიშნებს, მაგრამ განათლების სამინისტროს თავიდანვე გასაგებად რომ აეხსნა, ამ ცვლილების შეტანა რისთვის დასჭირდა, პრემიერისთვის რექტორის დანიშვნის უფლების მინიჭება, შესაძლოა, გასაგებიც გამხდარიყო.

**— თუ გვეტყვიან, რომ სისტემურ ცვლილებებს მას შემდეგ განახორციელებენ, რაც ბიძინა ივანიშვილი რექტორს საკუთარი შეხედულებისამებრ დანიშნავს, ეს არგუმენტი თქვენთვის მისაღები იქნება? სხვათა შორის, უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატებად მარინა მუსხელიშვილი და ლადო პაპავა დასახელდნენ, რომლებიც კოალიციის მხარდამჭერებად მიიჩნევიან...**

— მარილი კერძის მოსამზადებლად აუცილებელი პროდუქტია, მაგრამ თუ ქვაბში ჯერ მარილს ჩავყრით და შემდეგ დანარჩენ პროდუქტს დავამატებთ, სასურველ კერძს ვერ მოვამზადებთ. განათლების სამინისტროს, პირველ რიგში, გარერეფერირების საფუძველზე, პროფესორ-მასწავლებელთა გადარჩევაზე უნდა ეზრუნა, შემდეგ კი, კანდიდატებზე ეფიქრა, მაგრამ რატომღაც, საქმე სწორი მიმართულებით არ მიდის.

**რაც შეეხება მარინა მუსხელიშვილსა და ლადო პაპავას, არ მესმის, ამ ადამიანებს რა უნდათ და იციან თუ არა, უნივერსიტეტში რისთვის მიდიან. შე დალოცვილო, რექტორის უფლებამოსილება შეზღუდულია, განათლების სამინისტროს სტრატეგიაც გაურკვეველია და რომ აცხადებ, არჩევნებში მონაწილეობას მივიღებო, იცი, იქ რა უნდა გააკეთო? მოვითხოვ, მარინა მუსხელიშვილმა და ლადო პაპავამ მათ მიერ შედგენილი და არა სხვისგან გადაწერილი კონცეფცია წარმოგვიდგინონ.**

**— განათლების კანონში დაგეგმილი ცვლილებები უმრავლესობაში დაპირისპირების მაპროვოცირებელიც გახდა — 11-მა დეპუტატმა, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა. რატომ ვერ შეჯერდა კოალიცია საერთო პოზიციაზე?**

— ბევრმა კანონპროექტი თავიდანვე პოლიტიკურ ჭრილში აღიქვა.

**ძმებ ბერძენიშვილებს მივმართავ, რომლებსაც უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო სფეროზე გული, თურმე, ძალიან შესტკივათ: პოლიტიკურ განცხადებებს თავი დაანებეთ, ერთპროცენტიანო „რესპუბლიკელებო“, ხალხმა ხმა იმისთვის კი არ მოგცათ, პარლამენტში არხეინად დამსხდარიყავით და მხოლოდ უსაგნო განცხადებები გეკეთებინათ. გვაჩვენეთ კონცეპტუალური დებულებები, როგორი უმაღლესი და სამეცნიერო სისტემა მოგწონთ. თუ ძმები ბერძენიშვილები, რეალურად, ქვეყნის გულშემატკივრები არიან, რატომ არ იმსჯელეს ამ საკითხებზე გუნდის შიგნით? თუ ახლა გახდა ბიძინა ივანიშვილი ფეოდალი, როცა რექტორი უნდა დანიშნოს და მაშინ კარგი იყო, როცა ურეიტინგო „რესპუბლიკელები“ პარლამენტში მოიყვანა? პარლამენტში მსგავსი განხეთქილება უნიჭო პოლიტიკისა და „რესპუბლიკელებისთვის“ დამახასიათებელი ინტრიგების ნაწილია.**

**— განათლების მინისტრის თანაპარტიელ მოადგილე დავით ზურაბიშვილთან დაპირისპირებასაც „რესპუბლიკელების“ პოლიტიკურ ინტრიგად მიიჩნევთ?**

— უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მსგავსი დაპირისპირება სწორედ განათლებისა და მეცნიერების ნგრევისკენაა მიმართული და რეანიმატორული ჩარევით, სისტემის სწორ გზაზე გადაყვანას არ ემსახურება. „რესპუბლიკელები“ საქმის გამკეთებლები რომ ყოფილიყვნენ, საპარლამენტო ბერკეტი მათ ხელთაა და კანონპროექტის შესაცვლელად რეალურ გზებს დაგვანახებდნენ. მოკლედ, ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ეს პოლიტიკური აჟიოტაჟი საგანმანათლებლო სივრცის დისკრედიტაციასა და შიდა განხეთქილების ორგანიზებას არ ემსახურება. ორივე მხარეს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც განხეთქილების პროვოცირება მოახდინა, მივმართავ: ბატონებო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხარჯზე პოლიტიკური დივიდენდების ჩაწერა ცუდად მოგიბრუნდებათ და ბინძური ხრიკებით ვერ იხეირებთ.

**— სამაგიეროდ, კოალიციაში არსებული დაპირისპირებით ნაციონალურმა მოძრაობამ იხეირა და რამდენიმე დღეა, პრეზიდენტი საკუთარ გამოსვლებს სწორედ განათლების კანონპროექტს უძღვნის...**

— როცა სააკაშვილმა თქვა, ქართველი პროფესორები დისერტაციას ხუთი ბოთლი კონიაკის ნაცვლად იცავდნენო, ბაბუამისი ნიკუშა წერეთელი, რომელიც იურისპრუდენციას მასწავლიდა, ალბათ, საფლავში ამოტრიალდა. პრეზიდენტის დედამ და ბაბუამაც დისერტაცია სწორედ რუსეთში დაიცვეს. მიშამ გია ხუბუა გერმანიიდან ჩამოიყვანა, რომელიც თვითონვე კინწისკვრით გამოაგდო, ანუ იმასაც ხუთ ბოთლ კონიაკზე ჰქონდა დისერტაცია დაცული? ამ აჟიოტაჟის ნაცვლად, კარგი იქნება, თუ განათლების სამინისტრო, რომელმაც, როგორც შევიტყვე, გია დვალთან კომუნიკაცია შეწყვიტა, ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინებს, რა უნდა და განათლების სისტემა საით მიჰყავს.

## ვერსიანიუსი



### თეა წულუკიანს ვენეციის კომისიის დასკვნა მოსწონს

**„მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიამ დადებითი დასკვნა დადო“,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა. მისივე განმარტებით, კომისია ქართულ მხარეს რამდენიმე რეკომენდაციასაც სთავაზობს, თუმცა წულუკიანი განმარტავს, რომ **„ზოგიერთს გაითვალისწინებენ, ზოგიერთს — არა“.**

**„ხარვეზების დამდგენი კომისია არის ძალიან მნიშვნელოვანი. ვენეციის კომისიის სხდომაზე ალექსანდრე ბარამიძემ წარმოადგინა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შესახებ ჩვენს მიერ მომზადებული კანონპროექტი. ვენეციის კომისიამ დადებითი დასკვნა დადო, თუმცა შემოგვთავაზა რამდენიმე გაუმჯობესება, ამ გაუმჯობესებებიდან რამდენიმეს გავითვალისწინებთ, ზოგიერთს — ვერა“,** — აღნიშნა თეა წულუკიანმა. მისივე განმარტებით, ვენეციის კომისიის პოზიციაა, რომ საკითხი ქართულ საზოგადოებაში მისი საჭიროების მიხედვით გადაწყდეს. **„ვენეციის კომისიამ თქვა, რომ თუკი საზოგადოებაში ამის საჭიროება არსებობს, ეს არ არის მისი განხილვის თემა და ეს თავად ქვეყნის შიგნით უნდა გადაწყდეს. ქვეყნის შიგნით კი, მიგვაჩნია, რომ ამგვარი კომისიის არსებობა აუცილებელია, რათა სასამართლომ თავიდან გახსნას სისხლის სამართლის უსამართლოდ განხილული საქმეები და ახალი განაჩენები დაადგინოს“.**

***„ინტერპრესნიუსი“***



# „დიახ, განზე გავდექი, ამის მიზეზი გულგატეხილობაა!“

## რას არ პატიობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

**18 ივნისს ცნობილ ქართველ რეჟისორს გიგა ლორთქიფანიძეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალავენ. ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუ ბატონმა გიგამ „ვერსიას“ მისცა და ქართველი პოლიტიკოსებისა და, საერთოდ, საზოგადოების შეცდომებზე ისაუბრა, საკუთარი პასიურობა კი ერთადერთი სიტყვით — გულგატეხილობა — ახსნა. „ვერსია“ რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძესთან ინტერვიუს განმეორებით გთავაზობთ.**

— ვერ ვიმუშავებ იქ, სადაც მიშა ანთაძეა, კაცი, რომელიც ნამდვილ ლიტერატურასა და მაკულატურას შორის განსხვავებას ვერ ხედავს. მან 15 პროფესიონალი გაათავისუფლა თეატრიდან და ისეთი ხალხი დატოვა, ვისაც თეატრთან საერთო არაფერი აქვს. სამწუხაროდ, დღეს თეატრის მმართველს დიდი უფლებები აქვს, ის ერთმმართველია და ნამდვილად ვერ ვიმუშავებ იქ, სადაც ანთაძე იმას გააკეთებს, რაც მოესურვება.

...საერთოდ, ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურება ეს ყველაფერი თეატრშიც და ქართულ პოლიტიკაშიც. ნათქვამია, ჩხუბის მერე მუშტებს აღარ იქნევენო, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დიდი პროტესტის განცდას ვერც ვხედავ. კი, გასაგებია, ვიცოდით, ამ არჩევნებში პოზიცია დამარცხდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში, პროფესიულად ატარებდა წინასაარჩევნო კამპანიას და ეს ყოველთვის ფასდება. გარდა ამისა, არ იყო პრინციპული დაპირისპირება პროგრამებში, შენ კი არა, მე უნდა ვიყო — ეს არ არის საკმარისი არგუმენტი იმისთვის, რომ მხარი დაგიჭიროს ხალხმა. უმთავრესი კი ისაა, რომ მოსახლეობამ ოპოზიციის რწმენა დაკარგა. მათ ვერ შეძლეს ერთიანი კანდიდატის გარშემო გაერთიანება და ამან თავისი უარყოფითი შედეგიც გამოიღო. ამას მხოლოდ გულისტკივილი მალაპარაკებს. მოგეხსენებათ, რაც უფრო ძლიერია ოპოზიცია, ძლიერია სახელმწიფო და ხელისუფლებაც გამოფხიზლებულია, მაგრამ დღეს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ყველაფერი გადაიქცა მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულ დაპირისპირებად...

**— იმის თქმა გინდათ, რომ ეს არჩევნები მხოლოდ შურისძიება იყო?**

— ... მათ გამოცდილებაში არ შემაქვს ეჭვი, მაგრამ თუკი ხელისუფლებამ შეძლო ერთი კანდიდატურის წამოყენება, გაუგებარია, რატომ ვერ მოახერხა ეს ოპოზიციამ? მათ მერი გადააქციეს პოლიტიკურ ფიგურად, რაც არასწორია.

**— და ამ ვითარებაში ძალიან გასაკვირია ქართული ინტელიგენციის პასიურობა, ბატონო გიგა, განზე დგომა რატომ ამჯობინეთ?**

— დიახ, ნამდვილად განზე გავდექით. მიზეზი? — გულგატეხილობა... ან როგორ შეიძლება, ქართული ინტელიგენცია ერთი თუ მეორე მხარით იყოს კმაყოფილი, როდესაც სიტყვა — კულტურა, საერთოდ, არც კი უხსენებიათ. სამწუხაროდ, კულტურა და მეცნიერება არ აინტერესებთ, დღეს ისინი ავადსახსენებელ სიტყვებად იქცა.

**— სამაგიეროდ, ცნობილი სახეები, გიორგი გურგულია, მიშა გომიაშვილი... აპირებდნენ პოლიტიკაში მოსვლას ერთადერთი მიზეზით — უნდა დახმარებოდნენ ქართულ კულტურას.**

— მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროს კარგად ვიცნობ, მაპატიეთ, მაგრამ გურგულია, არ ვიცი ვინაა... რაც შეეხება გომიაშვილს, იგი ჩემთვის ძალიან საყვარელი ადამიანია, კარგი მსახიობი და ვურჩევ, სისულელეებს თავი დაანებოს. თავის საქმეს მიხედოს, პოლიტიკა მისი საქმე არაა ისევე, როგორც ჩვენ, ბევრმა, თავი უნდა დავანებოთ პოლიტიკას იმიტომ, რომ ყველაზე დიდი უბედურება, რაც ახლა საქართველოში ხდება, ეს არის საოცარი დაცემა ქართული კულტურისა და მეცნიერების. როცა ახალგაზრდებმა არ იციან, ვინ დაწერა „ჩემო კარგო ქვეყანა“, ეს შემზარავია. არ იციან, ვინ არის ჭაბუა ამირეჯიბი, კახი კავსაძე...

გაბედულად ვიტყვი, მთელი ჩემი ცხოვრება შევწირე ქართულ კინოს, თეატრს, კულტურას და როდესაც ასეთ დაკნინებას ვხედავ, ჩემთვის ეს ტრაგიკულია...

**— იქნებ ეს, გარკვეულწილად, თქვენი ბრალიცაა, როდესაც პოლიტიკა უფრო წინ დააყენეთ, ვიდრე თუნდაც, ქართული კინო?**

— ალბათ, ნაწილობრივ, ამის ბრალიცაა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ეს ხელისუფლების ინდიფერენტულობამ გამოიწვია. მე მთელი ცხოვრება განვვლე საბჭოთა იმპერიის დროს, თუმცა მაშინ, ბრძოლის ჟინი გვქონდა. იდგმებოდა სპექტაკლები, ვიღებდით ფილმებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ქართული კულტურა აქტიურად იბრძოდა, რათა გადაეწყვიტა ეროვნული საკითხები... წარმოუდგენელია, მაგრამ თენგიზ აბულაძის „მონანიება“ ხომ გაუშვეს? „თუთაშხიაც“ გავიტანეთ. ვიბრძოდით და გაგვქონდა.



**— დღეს ბრძოლისუნარიანი აღარ არის ქართული კულტურა?**

— ახლა თითქოს მიღწეულია დამოუკიდებლობა, მაგრამ ხელოვნებას ნამდვილად აღარ აქვს ბრძოლის უნარი... დღეს ქართულ კინოში შორენიზაციაა. სხვათა შორის, სიშიშვლე „თუთაშხიაშიც“ არის... მაგრამ იქ კიკუ ძალადობის მსხვერპლია. საერთოდ კი, არანაირი გაშიშვლება არ ვარგა, ის ყოველთვის იაფფასიანი იყო და ასეთად დარჩება.

**— თუმცა, ეს კომერციულად მომგებიანია.**

— ალბათ... არც კი ვიცი, ეს ფილმები მოსწონს საზოგადოებას? არა მგონია. გასართობად მიდიან, თორემ ნამდვილ შემოქმედებით სიხარულს ამაში ვერ დაინახავენ. იცით, რა არის მთავარი? ადამიანმა საკუთარ თავში უნდა მოძებნოს თავისუფლება. ასეთ გმირს ყოველთვის პატივს სცემს საზოგადოება. დღეს კი, ჩვენ იქამდე დავედით, რომ „ჯარისკაცის მამას“ აგინებენ პრესაში. ეს ფილმი ჩემზე ახლაც ფანტასტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი მასშტაბურობით, მაღალი იდეით... სხვათა შორის, მაშინ ერთი საინტერესო რამ მოხდა. რადგან ფილმი ომის თემაზე იყო, ის აუცილებლად უნდა ენახა საბჭოთა არმიის პოლიტსამმართველოს. როდესაც ის სცენა ნახეს, სადაც გიორგი მახარაშვილი ოფიცერს სცემს, სამხედროები აღშფოთდნენ, ეს წარმოუდგენელია, ჯარისკაცმა ზემდგომი სცემოსო. მაგრამ სამმართველოს უფროსმა ასეთი, გენიალური ფრაზა თქვა — ჯარისკაცმა ოფიცერი კი არა, მამამ გალახა შვილიო... და დღეს ამ ფილმს ლანძღავენ, თუმცა სანამ ხელისუფლების პატივისცემა არ იქნება კულტურისა და მეცნიერების მიმართ, ჩათვალეთ, რომ ქვეყანას განვითარება არ უწერია. მით უმეტეს, ამ ვითარებაში, როდესაც ერთის მონობიდან, მეორის მონობაში გადავდივართ, ეს კი დამოუკიდებლობას ნამდვილად არ ნიშნავს. ჩვენ ძალიან ბევრი დავკარგეთ, როდესაც არ გავმიჯნეთ რუსული სამხედრო მანქანა და რუსული ინტელიგენცია, რომელიც ყოველთვის პროგრესული იყო...

**— და რომელსაც ერთი სახელი — წითელი ინტელიგენცია ჰქვია...**

— რა არის ეს წითელი ინტელიგენცია? — ხალხი, რომელიც მუშაობდა კომუნისტური რეჟიმის დროს? მუშაობას ხომ არ დავანებებდით თავს? ვიბრძოდით და ვცდილობდით, ჩვენი სპექტაკლებითა თუ ფილმებით, ეროვნული საქმე გვეკეთებინა. წარმოუდგენელია, რომ 32 წლის წინ, საკავშირო ეკრანზე გადიოდა „დათა თუთაშხია“. რთული იყო ამ ფილმის გატანა, მაგრამ ეს მოვახერხეთ, ფილმმა წარმატებასაც მიაღწია და საკავშირო პრემიაც მოგვცეს. მაშინ არ იყო ასე ხელჩამოყრილი ქართული ინტელიგენცია. ახლა კი, თითქოს დამოუკიდებლები ვართ, მაგრამ ეს ის არ არის, რაზეც ვოცნებობდით. მე ვერასოდეს გავიზიარებ აზრს, თითქოს ამერიკა ის ქვეყანაა, რომელიც დამოუკიდებლობას თესავს. ის იმპერიაა, რომელიც დღესაც იბრძვის და ანადგურებს ავღანეთსა და ერაყს... ჰუსეინი ცუდი კაცია თუ კარგი, უკაცრავად, მაგრამ, ეს რა ამერიკის საქმეა?! და ახლა, დავიჯერო, რომ ის თავისუფლების სიმბოლოა? არა, ისეთივე იმპერიალისტია, როგორიც რუსეთი.

სწორედ ამიტომ უნდა მივაქციოთ ყურადღება ქართულ კულტურასა და მეცნიერებას. საქართველო პატარა ქვეყანაა და ჩვენ ვერასოდეს ვქმნიდით ამინდს მსოფლიო პოლიტიკაში. სამაგიეროდ, გვყავდა რუსთაველი, ჭავჭავაძე, ბარათაშვილი, ტაბიძე, ახმეტელი, ძმები შენგელაიები, სტურუა, აბულაძე და მეც მათ შორის... ჩვენ გარკვეული პოზიციები გვეკავა, ანგარიშსაც გვიწევდნენ და ამის იოლად გაწირვა, არ შემიძლია ვინმეს ვაპატიო.

**— სხვათა შორის, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს ხელისუფლებაო და სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, თქვენ ხომ ყოველთვის რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში იყავით?**

— ასე იყო, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ მე პოლიტიკური ამბიციები მაწუხებდა. არც მაშინ მიფიქრია თანამდებობაზე და ახლა, მით უმეტეს... რაც შეეხება რევოლუციას, ვნახეთ, რომ კარგი არაფერი მოაქვს. საერთოდ, ძალადობის გზით მოპოვებული დემოკრატია არ არსებობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ დემოკრატიული პრინციპებისგან და არც ვართ მზად ამისთვის. ჩემზე საზარელი შთაბეჭდილება დატოვეს იმ ქალბატონებმა, რომლებიც დარბოდნენ ამ არჩევნებზე... გასაგებია, რომ იმ ქალისთვის მთავარია, შვილებს საჭმელი მიუტანოს და ამისთვის ყველაფერზე წავა, მაგრამ ამის გამოყენება დიდი დანაშაულია.

**— სხვებისთვის კი დანაშაული რუსეთთან დიალოგია...**

— საერთოდ, რომელი პოლიტიკაა სწორი — რუსეთთან მტრის მდგომარეობაში ყოფნა თუ შეთანხმება? შეიძლება, ამხელა მეზობელთან ბუტიაობა ვითამაშოთ? ჩვენ რომ ძალით ვერ მოვერევით მათ, ეს ცხადია — დღენახევარში წავაგეთ ომი იმიტომ, რომ უაზრო, აბსოლუტურად უთანასწორო ომი იყო. რუსეთი არ არის მართალი ჩვენთან, თუმცა ვიცი, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხის მოგვარება, ომის მდგომარეობაში მყოფ რუსეთთან, წარმოუდგენელია... ერთ მაგალითს გეტყვით — ამდენი წელია გმირულად იბრძვის ჩეჩენი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ, ვინმემ ხმა ამოიღო მსოფლიოში?! ერი ფიზიკურად განადგურებულია... იგივე ხდება ჩვენთანაც. არავის უნდა რუსეთის მონობა, მაგრამ როგორ შეიძლება ნორმალური ურთიერთობის მომხრე არ იყო, მით უმეტეს, თუკი ეს ოდნავ მაინც შეამსუბუქებს შენი ქვეყნის ბედს?

**— თუმცა, ასეთ პოზიციას დღეს ჩვენთან ღალატს უწოდებენ...**

— წაკითხული მაქვს ქართველი მეფეების წერილები სულთნებისა და შაჰების მიმართ მიწერილი, რომელსაც ბოლოს აწერდნენ — ყმა შენი თეიმურაზი, გიორგი... ისინი კი არ ემონებოდნენ, მაგრამ სიტუაციას ასე სჭირდებოდა. ლუარსაბი, ქეთევანი, დემეტრე. ჩავიდნენ იქ და თავი გაწირეს, ჩვენ კი, ავდგეთ ახლა და მათაც მოღალატეები ვუწოდოთ?! ან რადგან ასე ვფიქრობ, ვინ უნდა თქვას, რომ გიგა ლორთქიფანიძეს საქართველო არ უყვარს და თავისი ქვეყანა არ სტკივა?! შევარცხვინე მაგის მთქმელი! ერთი პერიოდი, ჩვენი სიბნელე იქამდე იყო მისული, რომ ლამის, ერეკლე მეფე გამოაცხადეს მოღალატედ. არადა, გეორგიევსკის ტრაქტატამდე, 1783 წელს, ერეკლეს უფროსმა შვილმა გიორგიმ ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერა ჩაატარა და გაირკვა, რომ ქართლში 15 ათასი, ხოლო კახეთში 17 ათასი კომლი იყო... საერთო ჯამში კი, ქართლ-კახეთის მოსახლეობა 150 ათასი კაცი იყო. ერი ფიზიკური განადგურების წინაშე იდგა, თუმცა ტრაქტატის მერე, 1801 წელს მოსახლეობა იყო მილიონზე მეტი იმიტომ, რომ ქართველმა გლეხმა თოხი დაიჭირა, ოჯახი შექმნა, შვილები გააჩინა... და ახლა რა გვინდა, ჩვენი უგნური პოლიტიკით, ისევ დავაყენოთ ქართველები გაჟლეტის საშიშროების წინაშე? რუსეთს ვერ მოვერევით და საკუთარი ძალა ობიექტურად უნდა შევაფასოთ. კი ჩაატარეს აღლუმი და აქ დაბრახუნებენ, მაგრამ იქ რატომ არ იბრახუნეს, აგვისტოში? ადვილია აღლუმის მოწყობა... არა, სხვათა შორის, სიამაყის განცდა ნამდვილად დამეუფლა, როცა ამ ბიჭებს ვუყურებდი. გვყავს ჯარი, მაგრამ ჩვენ არ გვყავს ჯარი, რომელიც რუსეთს მოერევა. ტყუილია ეგ!




# „ტრაგედიის ფონზე, საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები აღიარებულ უნდა იქნას!“



Foreign Policy Research Institute

**„ტრაგედიის ფონზე, საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებები აღიარებულ უნდა იქნას“, — ამ სათაურით აქვეყნებს მაიკლ ჩეჩირეს სტატიას საქართველოს შესახებ Foreign Policy Research Institute.**

**„რამდენიმე დღის წინ, ჰელმანდის პროვინციაში აფეთქების შედეგად, კოალიციის 7 ჯარისკაცი დაიღუპა, ცხრა კი დაშავდა, თუმცა ისინი არ იყვნენ კოალიციის ტიპური სამხედროები, ისინი ნატო-ს წევრი ქვეყნის წარმომადგენლებიც კი არ იყვნენ. ყველა მათგანი ქართველი იყო, რომელთა ქვეყანაც რიგით მეექვსეა ავღანეთში წარმოდგენილი საბრძოლო კონტინგენტს შორის, რაც 4,5 მილიონიანი ქვეყნისთვის ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნატო-ს საბრძოლო კონტინგენტის სიდიდით. ჰელმანდში მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულ ქართველთა რაოდენობა 29-მდე გაიზარდა“,** — აღნიშნავს მაიკლ ჩეჩირე.

როგორც სტატიის ავტორი წერს, დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობისთვის ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი აფეთქება კიდევ ერთი ცუდი ამბავი იყო ავღანეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს შემდეგ ეს კოალიციისთვის ყველაზე დიდი დანაკარგია, ეს არ ყოფილა მოვლენების მოულოდნელი განვითარება.

**„ნიუ იორკ ტაიმსი“ ამ ინციდენტს საეჭვო სარედაქციო გადაწყვეტილებით, ქართველი ჯარისკაცების მიმართ ადგილობრივების ძირითადად უსაფუძვლო ბრალდებებით გამოეხმაურა. როგორც გაზეთი წერდა, ზოგიერთი ადგილობრივი ავღანელის განცხადებით, ქართველი სამხედროები იქ დიდად არ მოსწონთ“,** — წერს მაიკლ ჩეჩირე.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, სტატიაში ქართველი სამხედროების მიმართ გამოთქმული ბრალდებები მართალიც რომ ყოფილიყო, მაინც გამოცანად რჩება, როგორ მოხვდა ეს საკითხები სტატიაში, რომელიც 13-ის მისიაში მონაწილე ქართველი ჯარისკაცების დაღუპვას ეხებოდა.

„ამერიკულ გაზეთში გამოქვეყნებული არასერიოზული სტატია და ის სიზანტე, რაც ავღანეთიდან მოსულ ამბებს ახლდა ამ დღეებში, რადიკალურად განსხვავება იმ რეაქციისგან, რაც საქართველოში იყო, სადაც ქვეყანა ისევ შოკშია და ისევ გლოვობს მომხდარს, თუმცა საქმე ის არ არის, რომ დასავლური საზოგადოება ძალადობას მგრძნობელობით ველარ აღიქვამს და ეს არცაა გასაკვირი, განსაკუთრებით აშშ-ში, სადაც ერაყსა და ავღანეთში დაღუპულთა შესახებ ამბავს რეგულარულად იგებენ. ამისგან განსხვავებით, საქართველოში დანაკარგი სხვანაირად აღიქმება, რადგან თბილისის მონაწილეობა ავღანეთში ერთობ უჩვეულოა“, — წერს ავტორი და დასძენს, რომ ავღანეთში საქართველო 1 561 ჯარისკაცითაა წარმოდგენილი, რაც გაკვირვებას იწვევს რამდენიმე მიზეზის გამო.

**„გარდა იმისა, რომ საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი კონტრიბუტორია ნატო-ს ავღანურ მისიაში, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში 37 ათასი აქტიური სამხედრო ირიცხება, რისი თანაფარდობაც 1:23-ია, ეს კი საგანგაშო მაჩვენებელია ISAF-ის მისიაში მონაწილე ტოპ ხუთ ქვეყანას შორის. აშშ-ისთვის ეს თანაფარდობა 1:21-ია, დიდი ბრიტანეთისთვის 1:25, გერმანიისთვის — 1:42, პოლონეთისთვის 1:68 და იტალიისთვის 1:34. განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, საქართველო უსაფრთხოების რეალურ რისკებს უპირისპირდება ქვეყანაში. ქვეყნის სადავო ტერიტორიები — აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთის ჯარებს აქვთ ოკუპირებული“,** — ნათქვამია სტატიაში.

მაიკლ ჩეჩერის თქმით, საქართველო იმედოვნებს, რომ ავღანურ მისიაში მონაწილეობით დასავლეთთან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გრძელვადიანი სურვილით ივაჭრებს.

**„საქართველოს სულ უფრო პროდუქტიული როლი ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში აღიარებული უნდა იქნას მისთვის ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიცემით.**

**საქართველოსთვის -ის მიცემა არა მხოლოდ თანხმობა იქნება საქართველოს მცდელობაზე იყოს დასავლეთის მეგობარი და პარტნიორი, არამედ, ქვეყანას პოლიტიკური განვითარების განმტკიცებაშიც დაეხმარება. საქართველოს დემოკრატია ჯერაც მშენებლობის პროცესშია, ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა კი ამ პროცესის განვითარებას შეუწობს ხელს“,** — წერს მაიკლ ჩეჩირე.

*„ფორ.გე“*



## ოკუპანტებმა სოფელ ორსანტიაში ადგილობრივი მკვიდრი დააკავეს

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში რუსმა ოკუპანტებმა ადგილობრივი მკვიდრი თენგიზ ყურუა დააკავეს. ყურუა მეზობელ მურმან ალფენიძესთან ერთად, მდინარე ენგურის ნაპირთან ფიჩხის შესაგროვებლად იყო წასული, როდესაც მათთან ორი რუსი ჯარისკაცი მივიდა და ცხენიანი ოთხთვალით გასეირნება მოსთხოვა.

ყურუას თანმხლებმა პირმა გაქცევა მოახერხა. ალფენიძის განცხადებით, მათ ე.წ. სასაზღვრო პერიმეტრი არ დაურღვევიათ. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიასა და გალის რაიონის სოფელ ოტობაიას შორის გავლებულია ე.წ. სასაზღვრო თხრილი, თუმცა ისინი თხრილს იქით არ გადასულან. დაკავება სოფელ ორსანტიაში მოხდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მოსახლეობამ, სოფლის მეურნეობის ვაუჩერების მოთხოვნით, გზა გადაკეტა

სენაკის რაიონის სოფელ ზემო კოტიანეთის მოსახლეობამ გზა გადაკეტა. აქციის მონაწილეების განცხადებით, სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 80%-სთვის სოფლის მეურნეობის ვაუჩერები არ დაურიგებიათ. ისინი ვაუჩერების დროულად გაცემას ითხოვენ.

საპროტესტო აქციის მონაწილეებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სენაკის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი შეხვდა. მისი განცხადებით, ხელნაწერ სიებში ამ ადამიანების მონაცემები შეყვანილი იყო, თუმცა, ელექტრონულ სიაში მათი შეყვანა არ მომხდარა და ამ შემთხვევაში აუცილებელია ცენტრალური ხელისუფლების დახმარება.

*„ინტერპრესნიუსი“*

## საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ესტონეთში გაემგზავრა



საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ესტონეთში გაემგზავრა. ვიზიტი, რომელიც გაერო-ს განვითარების ფონდის ხელშეწყობით განხორციელდა, მიზნად ისახავს საქართველოსა და ესტონეთის მთავრობებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას, ასევე, თვითმმართველობის რეფორმისა და რეგიონული განვითარების სფეროში ესტონური გამოცდილების გაზიარებას.

ვიზიტის ფარგლებში საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრები შეხვედრებს ესტონეთის პარლამენტისა და საპარლამენტო კომიტეტების ხელმძღვანელებთან გამართავენ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

ვერსიანიუსი

## აშშ-მ, საიდუმლო პროგრამით, ათობით ტერაქტი აიცილა




აშშ-მა ათობით ტერაქტის თავიდან აცილება შეძლო, — იუწყება „ბი-ბი-სი“. წყაროს ცნობით, ეს მონაცემთა შეგროვების საიდუმლო პროგრამის — „რისმ“ — მეშვეობით გახდა შესაძლებელი. როგორც ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორმა კიტ ალექსანდრმა განაცხადა, ამ პროგრამით ათობით ტერორისტული შეთანხმება გაიშიფრა. ამერიკულ დაზვერვას ინტერნეტმონაცემებსა და სატელეფონო საუბრებზე ხელი სწორედ ამ პროგრამით მიუწვდება.

**„პროგრამის წყალობით ტერორისტული ხასიათის ათობით ფაქტი ავიცილეთ თავიდან“,** — აღნიშნა კიტ ალექსანდრმა.

მან ხაზი იმასაც გაუსვა, რომ გარკვეული დეტალები ამ პროგრამის მუშაობისა გასაიდუმლოებული დარჩება.

**„თუკი ტერორისტებს დაწვრილებით მოვუყვებით, თუ როგორ ვუთვალთვალებთ მათ, ისინი ჩვენთან შემოაღწევენ და ამერიკელები დაიღუპებიან“,** — აღნიშნა კიტ ალექსანდრმა.

*„მედიანიუსი“*

## ბოევიკები საავადმყოფოს თავს დაესხნენ



პაკისტანის ქალაქ კვეტაში ტერორისტებმა ჯერ ავტობუსი ააფეთქეს, რომლითაც სტუდენტი გოგონები გადაადგილდებოდნენ. შემდეგ კი, იერიში მიიტანეს ქალაქის მთავარ საავადმყოფოზე. ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს. მას შემდეგ, რაც ავტობუსის აფეთქების შედეგად დაზარალებულები საავადმყოფოში მიიყვანეს, შენობაში აფეთქება მოხდა. გარდა ამისა, ბოევიკებმა შენობის მიმართულებით გარედანაც გახსნეს ცეცხლი.

ადგილობრივი სამართალდამცავების ინფორმაციით, სროლის შედეგად ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გარდაიცვალა. უსაფრთხოების სამსახურმა შენობა ალყაში მოაქცია.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ბელუჯისტანის პროვინციაში ძალადობის ზრდა შესამჩნევი გახდა. მშვიდობიან მოსახლეობას იერიშებს ახორციელებენ როგორც სეპარატისტები, ასევე ისლამისტი ექსტრემისტები.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

ქვათა მატიანე

# ღრმად მხედველნი და კანონმდებელნი

## დასავლეთ ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი



გვიანდელი წუნდის ტაძრის საერთო ხედი, მისი ბარელიეფი, კარიბჭე და იჩქით გურგენის ძის წარწერა







**ვაჰანის ჩაყოლებაზე, მტკვრის, მარჯვენა სანაპიროზე არის ახალი, მოზრდილი სოფელი თმოგვი. ეს ტოპონიმი ძველი თმოგვიდან გადმოსახლებულმა ადამიანებმა მოიყოლეს. ამ ტერიტორიაზე ადრეც ყოფილა სოფელი, რომელსაც მარგასტანი რქმევია. ბუნებრივია, მარასტანიც არ იქნება მთლად ძველი დასახელება და იგი XVI საუკუნის შემდეგ, ანუ მას მერე უნდა იყოს შერქმეული, რაც სამცხე-ჯავახეთს ოსმალო დაეპატრონა.**

სახელწოდება **მარგასტანი** ამჟამად პარეხთა იმ ჯგუფს შემორჩა, რომელიც სოფელ **თმოგვს** ჩრდილოეთიდან დასცქერის. ეს არის ერთმანეთის მიყოლებით სიგრძეში ჩამწკრივებული ქვაბების ჯაჭვი. მასში ყველაზე დიდია დარბაზული ეკლესია. ტაძრის აფსიდის მოყვანილობა ნალისებრია. ჩრდილოეთის კედელში გაჭრილი მცირე კარაპნით ეკლესია ერთ მოზრდილ ქვაბს უერთდება, რომელსაც სამლოცველოს ფორმები აღარ აქვს. დაახლოებით ასეთივე, არასწორი მართკუთხედის ფორმები აქვს დანარჩენ 7 ქვაბს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯავახეთის კლდის კომპლექსებიდან უაღრესად დახვეწილი ფორმებით მხოლოდ ვარძია გამოირჩევა. სწავლულთა ერთი ჯგუფი ფიქრობს, რომ კაბადოკიურ კლდის ქალაქებს მხოლოდ ვარძია ჰგავს, ხოლო სხვა კომპლექსები და მათთან ერთად უფლისციხეც, ვანის ტბის (დღევანდელი თურქეთი) მიდამოების ძეგლებთან პოულობს სიახლოვეს.

... გადამღები ჯგუფის წევრები მარგასტანის ქვაბების წინ ვსხედვართ და ვისვენებთ, ქვევით კი მტკვარი მიედინება, მტკვარი, რომელიც სწორედ წინა აზიაში იღებს სათავეს. გავცქერი მას და წარმოსახვით გაცილებით ძველ დროში ვმოგზაურობ, ვიდრე ელინისტური და ადრეფეოდალური ეპოქებია. ათასწლეულთა მიღმა, დამწერლობამდელ, პრეისტორიულ ხანებშიც ასე მოედინებოდა, ალბათ, **ქურა — შუმერული გააზრებით, იდუმალ მთათა და ქვესკნელხეობათა მდინარე. ქურა — იგივე მტკუარი...**

კლდის უძველესი მონასტრები თუ უბრალო სამლოცველოები თავიანთი არქაულ-მისტიკური შესახედაობით ღრმა ფიქრებში გძირავს. აი, თუნდაც: **რა საფუძველი უნდა ჰქონოდა ბერთა მიერ პარეხების ათვისებას და იქ მოღვაწეობას?**

ცნობილი მკვლევარი, ეზოთერისტი რენე გენონი ერთ-ერთ ნაშრომში „საკრალური მეცნიერების ფუნდამენტური სიმბოლოები“ შემდეგს ამბობს: **მთის თხემსა და მის გულს, ანუ მწვერვალსა და გამოქვაბულს ანუ „ზეს“ და „ქვეს“ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. პირველ ხანებში, როცა ადამიანი გაცილებით წმინდა იყო ვნებათაგან, თვალნათლივ ხედავდა ჭეშმარიტებას, რომელიც მთის თხემზე „იდო“, მერე კი, როცა იგი ცოდვათა გამო დამძიმდა, ჭეშმარიტება მთის თხემიდან ჩამოვიდა და გამოქვაბულში (პარეხში) დაიმალა, ანუ მისთვის გასაიდუმლოვდა. ამდენად, კაცობრიობის ისტორიაში „ზემხედველების“ ეპოქა „ღრმად მხედველთა“ ეპოქით შეიცვალა.** ამასთან დაკავშირებით, ზურაბ კიკნაძე რუსთველს იხსენებს, რომელიც „მაღლად მხედს“ და „ღრმად მხედველს“ ცალ-ცალკე მოიხსენიებს. ერთი სიტყვით, თუ ადრე მთის თხემზე არსებული ჭეშმარიტება ყველასთვის საცნაური იყო, შემდგომში პარეხში შესული ეს ჭეშმარიტება მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულისთვის იყო მისაწვდომი. გავიხსენოთ, რას ამბობდა ეფრემ ასური სამოთხიდან გამოძევებულ ადამზე, რომელიც უფალმა თავის სახედ შექმნა, — იგი სამოთხის ქვეშ მდებარე გამოქვაბულში დაასახლა. **გავიხსენოთ ისიც, რომ მოსემ უფალი — სინას მთის თხემზე იხილა, ხოლო მაცხოვარი იშვა და იგი ნახეს მღვიმეში!** მაცხოვრის შობით რჩეულთათვის სწორედ გამოქვაბულში გაცხადდა ჭეშმარიტება.

აი, რატომ დაფუძნდა პირველი მონასტრები პარეხებში!

... მარგასტანის ქვაბები კლდეში მხოლოდ ერთ იარუსზეა გამოკვეთილი, გაცილებით ზევით, მიუდგომელ კლდეში გამოკვეთილი ბერთაყანა კი სამსართულიანია. მისი ქვაბები ოვალური ყოფილა და ერთმანეთს გვირაბებითა და ლუკებით უკავშირდება. იქ მოხვედრა ახლა მხოლოდ მთასვლელებს თუ ძალუძთ, ადრე კი ასე არ ყოფილა... ერთ-ერთ პარეხში XI საუკუნეში მოღვაწე ეპისკოპოსის — ზოსიმე კუმურდოელის წარწერაა.

...ჩვენ განვითარებული შუასაუკუნეების იმ ძეგლისკენ მივეშურებით, რომელსაც ახლა **წუნდის ეკლესია** ჰქვია, ხოლო სოფელს **ნაქალაქარი.** მიუხედავად იმისა, რომ სოფელმა სახელწოდება აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძველი ნამოსახლარის გამო მიიღო, ვფიქრობ, ეს მაინც არ უნდა იყოს იმ უძველესი წუნდის ნაფუძარი, რომელიც ჯავახეთის თავდაპირველ ცენტრს წარმოადგენდა. ამის თაობაზე ჩვენ მაშინაც ვსაუბრობდით, როცა ცხეკნელა, კვარშა და კუმურდო მოვიარეთ.

ძველი წუნდა რომ ერთი მცირე ადგილის სახელწოდება არ უნდა ყოფილიყო და საერისთავოს ცენტრალური ტერიტორია, ვერცელი დასახელება გახლდათ, ამას „ქართლის ცოვრების“ ის ცნობა ადასტურებს, რომელიც მეფე გიორგი ბრწყინვალის მიერ არტაანისა და წუნის ერისთავთა დანიშვნას შეეხება. როგორც ვთქვით, დღეს წუნდა ჰქვია არტაანის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ხერთვისიდან სამხრეთით, ნაქალაქარსა და მარგასტანს შორის მდებარე ალაგს, სადაც XII-XIII საუკუნეების უვნებლად შემორჩენილი (ნაწილობრივ აღდგენილი) ლამაზი ტაძარი დგას. მას აღმოსავლეთიდან, ხრამის თავზე მდებარე დახვანდას და კუმურდოს ტაძრები დაჰყურებს, სამხრეთით კი მარგასტანის ბაღები აკრავს. ჯავახეთში მტკვრის მარჯვენა სანაპირო ზოლი აქ ყველაზე განიერია. **ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ XI საუკუნეში, ახალქალაქის დაარსების შემდეგ, ზეგანის მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ აქ, დიდი წუნდის ბაღ-ვენახებიან, მწვანე ზოლშიც დაეშვა საცხოვრებლად და — ახალი წუნდა შექმნა.**

ახალი წუნდის დარბაზული ეკლესია თავისი კარიბჭით დგას ბუნებრივ კვარცხლბეკზე, რომელიც სიმტკიცისათვის ქვის მძლავრი კედლის არტახებში მოუქცევიათ. მშვენიერია ტაძრის კარიბჭე, რომელსაც ნატიფი ჩუქურთმებით შემკული დიდი თაღი აქვს. სამკაულები აკრავს სარკმლებსა და დასავლეთის ამოქოლილ კარსაც, რომელზეც ასომთავრული წარწერაა: **„სახელითა ღმრთისაითა, მე იჩქითმან გურგენის ძემან აღვაშენე ეკლესიაი ესე, მამული ჩვენი სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისა სალოცველად ჩემთვის და მშობელთა ჩემთათვის“.**





ჭოლდის ქვაბები და შიგნით ჩამავალი კიბის უჯრედი

ეს წარწერა ნ. ბერძენიშვილს აფიქრებინებდა, რომ **ნათლისმცემლის ეკლესია ფეოდალის კარის ტაძარია და არა საეპარქიო-საკათედრო ტაძარი. ეს რომ მართლაც ასეა, ამას მინიშნებით ადასტურებს შემდეგი ფაქტი: იჩქით გურგენის ძე, წუნდის გარდა, როგორც ვიცით, მოხსენიებულია ვაჰანის ქვაბთა ქტიტორულ წარწერაშიც, მაგრამ უკვე თამარ მეფესთან ერთად. ეს თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ამ მიდამოებში ვაჰანის ქვაბთა მონასტრის წმინდა გიორგის ეკლესია უფრო მნიშვნელოვანი სასულიერო ცენტრი და ტაძარი იყო, ვიდრე სადღეისოდ ცნობილი წუნდა.**

ნაქალაქარს მტკვრის გაღმიდან თმოგვის მრისხანე ციხესიმაგრე შემოსცქერის და ამიტომ უახლოესი ხიდით მდინარის მარცხენა ნაპირზე უნდა გადავიდეთ. ასეც ვიქცევით, მაგრამ მტკვარზე გადასულები ვატყობთ, რომ დროში ვერ ჩავეტევით, ციხესიმაგრეზე ასულებს ბინდი მოგვეწევა და უზარმაზარი ძეგლის დათვალიერებას, მით უმეტეს, გადაღებას ველარ მოვახერხებთ. ამიტომ სხვა გეგმას ვსახავთ — დარჩენილ დროში, იმავე, მარცხენა სანაპიროზე, მდინარესთან ახლოს მდებარე ჭოლდას ნახვა აჯობებს. მტკვარსა და **ჭოლდას** კომპლექსს შორის, მცირე ჭალაში, ძეძვებითა და დვირეებით შემოფარგლული ყანები და ბაღებია. ჭოლდა ძალიან ჰგავს მარგასტანს, ისიც ერთ იარუსადაა კლდეში გამოკვეთილი და VII-IX საუკუნეების ძეგლია. განსხვავება ისაა, რომ ჭოლდას ქვაბებს უფრო ოვალური ფორმები აქვს. გამონაკლისია მხოლოდ ზედა ნაწილში ნაკვეთი ორდარბაზიანი ეკლესია. ტაძარში აღმოსავლეთიდან შევდივართ და კიბეებით თავდაპირველად სამხრეთ დარბაზში ვხვდებით. მის სამხრეთ კედელთან რამდენიმე ღია სამარხია. ამ დარბაზიდან შევდივართ მთავარ დარბაზში, რომელშიც ასევე, რამდენიმე სამარხია გახსნილი. საკურთხევლის კედელი სწორკუთხაა. მასში გამოკვეთილია ტრაპეზის ქვა და მასშივეა გაჭრილი ერთადერთი სარკმელი.

ჭოლდა იმით არის აღსანიშნავი, რომ აქ დაიწერა ცნობილი „ბექასა და აღბუღას სამართალი“, რომლის გავრცობილი სახელწოდება ასეთია: **„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“**. ეს არის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კანონები. ბექა XIII-XIV საუკუნეების ცნობილი მოღვაწე, საქართველოს სამეფოს მანდატურთუხუცესი და ამ დროისათვის სანახევროდ დამოუკიდებელი სამცხე-საათაბაგოს მმართველი ბექა ჯაყელია. მან თავისი კანონები 1295-1304 წლების პერიოდში შექმნა. აღბუღა ამირსპასალარიც ჯაყელი იყო — ბექას შვილიშვილი. აღბუღას თავისი კანონები 1331-1386 წლებში შეუქმნია. აღსანიშნავია, რომ ბექასა და აღბუღას სამართალი 98 მუხლისგან შედგება. აქედან 66 მუხლი ბექას შექმნილია, 32 — აღბუღასი და ისინი ერთმანეთს ავსებენ.

მიუხედავად იმისა, რომ XIV საუკუნის გაერთიანებული საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალე ჯაყელთა კარზე იყო აღზრდილი, სამართლის წიგნში არც გიორგი ბრწყინვალის მამა დემეტრე თავდადებულის და არც სხვა ბაგრატიონი მეფეების ხსენება არ არის. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი ათაბაგთა სეპარატიზმის პირველი ნიშანია, არადა იგი თავის საფუძვლებით, ზოგადქართულ სამართლებრივ ნიადაგს ეყრდნობა. უფრო მეტიც — იგი ბაგრატ კუროპალატის კანონებს ენათესავება. ეს ბაგრატ კუროპალატი კი, მკვლევართა დაკვირვებით ,ან გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III-ა ან ბაგრატ IV. ამ კანონების წაკითხვა, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში შეიძლება.

*ავტორის ფოტოები*



# ჰოროსკოპი
## 17 ივნისი

**ვერძი** — დღეს შესაძლებლობა მოგეცემათ, გარშემომყოფები საკუთარი დამოუკიდებლობითა და ხასიათის სიმტკიცით გააოცოთ, მართალია, თქვენი ნატურიდან გამომდინარე, გუნდური პრინციპით მოქმედება გირჩევნიათ, მაგრამ დღეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ინდივიდუალიზმი უნდა გამოავლინოთ. კარგი დღეა საქმიან პარტნიორებთან კონტაქტების დამყარებისთვის.

**კურო** — მთელ დღეს საკუთარ ბედზე წუწუნში გაატარებთ და შესაძლოა, თქვენმა არასწორმა ნაბიჯებმა გააფუჭოს წამოწყებული საქმე. აუცილებელია, უფრო სერიოზულად მიუდგეთ თქვენს სამსახურებრივ მოვალეობას. დღის მეორე ნახევარი კი, სჯობს, ახლობლების წრეში გაატაროთ.

**ტყუპები** — ოჯახში სიმყუდროვესა და სითბოს შეიქმნით. დღის მეორე ნახევარში შეიძლება უსიამოვნო ცვლილებებიც გაჩნდეს. პირად ცხოვრებაში ერთგვარი სიფრთხილე გმართებთ. წარმატების მიღწევას ძალის გამოყენებით ნუ შეეცდებით, რადგან დასახულ მიზნებს თანდათანობით მიაღწევთ.

**კირჩხიბი** — დღეს ნათქვამ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მიაქციეთ ყურადღება, რას ლაპარაკობთ. კვლავ წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თემაც აქტუალური გახდება.

**ლომი** — დღე წარმატებას გიქადით სიყვარულში. კარგი დროა ასევე კულტურულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე წასასვლელად. ბევრმა ლომმა, შესაძლოა, პრემია ან ჰონორარი მიიღოს. დღეს რომანტიკულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება ძალიან გეზარებათ.

**ქალწული** — ქალწულებისთვის დღე, შესაძლოა, უსიამოვნებებით დაიწყოს, ამიტომ მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტს ახლობლებსა და ხელქვეითებთან. დღეს შეგიძლიათ ბევრი იფანტაზიოროთ, ეს ხელს ვერ შეგიშლით, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში.

**სასწორი** — დღეს დროსა და ენერგიას ფუჭად ნუ გაფლანგავთ. თქვენს ცხოვრებაში „სტატიკური პერიოდი“ დადგა. თქვენს ნიჭს წვრილმანებს ნუ შეალევთ, თავის წარმოჩენისთვის ბევრად ხელსაყრელი პირობები შეგექმნებათ.

**ღრიანკალი** — დღის დასაწყისში თავს დათრგუნვილად იგრძნობთ, მაგრამ იცოდეთ — აქტიური მოქმედების დრო დადგა. თქვენი ინიციატივები მხარდაჭერას მოიპოვებს კოლეგებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან, თუმცა ნუ იქნებით ეგოისტი, ეცადეთ, უფრო მეტი სინაზე გამოავლინოთ.

**მშვილდოსანი** — დღეს ნაკლებად ხართ განწყობილი მუშაობისთვის. იმდენად დიდია დასვენების სურვილი, რომ სამსახურის გახსენებაც კი გზარავთ, მაგრამ ფრთხილად იყავით, ამ სიზარმაცით, სამომავლოდ, საქმე არ გაიფუჭოთ. მიუხედავად ამისა, დღეს მაინც ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებთ.

**თხის რქა** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები დღეს სულიერი სიმშვიდის მიღწევას ჰპირდებიან. პლანეტების მოქმედება ნეიტრალურია — შეგიძლიათ, მიხედოთ საკუთარ ჯანმრთელობასა და საშინაო საქმეებს.

**მერწყული** — ნუ ინერვიულებთ, ყველაფერი ბრწყინვალედ იქნება, მხოლოდ კარგი განწყობა შეინარჩუნეთ და სიმხნევით შეუდექით დაგროვილი საქმეების მოწესრიგებას.

**თევზები** — დღეს შესანიშნავი პირობები შეგექმნებათ მატერიალური ბაზის შექმნისა და გამყარებისთვის. ფულის ხარჯვასთან დაკავშირებით გარკვეული თავშეკავება გამოიჩინეთ, თანმიმდევრული იყავით და ყველაფერი კარგად იქნება.




# ყველაზე ჭკვიანი ვარსკვლავები დაასახელეს

უმსხვილესმა საერთაშორისო ორგანიზაციამ Mensa International, რომელიც მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებს აერთიანებს, ყველაზე ჭკვიანი ვარსკვლავები დაასახელა. ორგანიზაცია 1946 წელს შეიქმნა და დღეს ის გამორჩეულად ნიჭიერ 110 ათას ადამიანს აერთიანებს მსოფლიოს 100 ქვეყნიდან. პირველი ადგილი ცნობილ მსახიობს, ჯეიმს ვუდს ერგო, რომლის ინტელექტის კოეფიციენტიც წარმოუდგენლად მაღალი — 180 ქულაა. ვუდსი უკვე რამდენიმე წელია, ტესტებით ამტკიცებს, რომ Mensa-ს ღირსეული წევრია. ამ კლუბში მხოლოდ ის ადამიანები შედიან, რომელთა ინტელექტის დონის მაჩვენებელიც 139-ს აღემატება. ასეთი ადამიანები კი პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს შეადგენენ. საშუალოდ კი, 90-დან 110 ქულამდე მიიჩნევა. ვუდსის გარდა, ჭკვიანი ვარსკვლავების სიაში მოხვდა ასევე ოდიოზური ჰოლივუდელი რეჟისორი და ერუდიტი კვენტინ ტარანტინო, მან 160 ქულით, მეორე ადგილი დოლფ ლუნდგრენთან ერთად გაიყო. შვედური წარმოშობის ეს ცნობილი მსახიობი მალე ქიმიის სფეროში მეცნიერებათა დოქტორი გახდება. 150 ქულა მოაგროვა ახალგაზრდა მსახიობმა, 14 წლის ნოლან გოულდმა, რომელიც ტელესერიალში „ამერიკული ოჯახი“ მონაწილეობს. მასზე 10 ქულით ნაკლები ინტელექტის მქონენი აღმოჩნდნენ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, მომღერლები მადონა და შაკირა. ჭკვიანი ცნობილი სახეების სიაში მოხვდნენ ასევე, სტივ მარტინი — მას კალიფორნიის უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხი აქვს ფილოსოფიაში, შერონ სტოუნი — 154 ქულით, „პლეიბოის“ ექსმოდელი ჯული პეტერსონი და ჯონ მალკოვიჩის ყოფილი მეუღლე, ტელევარსკვლავი გლენ ჰედლი.

# 97 წლისას კბილები ამოსდის



97 წლის იტალიელი ქალის, ელენა ნოველას კბილებმა ლამის მსოფლიო გააოცა. საუკუნეს მიღწეულ ქალბატონს შარშან არც ერთი კბილი აღარ ჰქონდა და ოჯახის წევრები იძულებულნი იყვნენ, ის რბილი საკვებით, ფაფებით გამოეკვებათ, ახლა კი, ნოველას ნებისმიერი კერძის მირთმევა შეუძლია. როგორც თავად აცხადებს, ერთ მშვენიერ დილას აღმოაჩინა, რომ ცარიელ პირში ერთი კბილი ჰქონდა, მეორე დღეს — მეორე და ასე, რამდენიმე დღეში მოხუცს უკვე ხუთი კბილი ამოუვიდა. უცნაურია, მაგრამ უკბილობას შეჩვეული ქალბატონი ამბობს, რომ კბილების არსებობა ახლა დისკომფორტს უქმნის.



# საშინელებათა ფილმები ახდუნებს

დამწვარი კალორიების რაოდენობის მიხედვით, ტრილერის ნახვა შეიძლება ფეხით ნახევარსაათიან გასეირნებას ან 10-წუთიან სირბილს შევადაროთ, — ამტკიცებენ სწავლულები ვესტმინსტერის უნივერსიტეტიდან. მათ ათი მოხალისე ეკრანის წინ დასვეს, სადაც საშინელებათა კლასიკურ ფილმებს უჩვენებდნენ და მათ პულსაციას, სუნთქვის სიხშირეს, გამოყოფილი ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის რაოდენობას ზომავდნენ. აღმოჩნდა, რომ საშინელებათა ფილმების ყურებისას, სამჯერ მეტი კალორია იწვის, ვიდრე მელოდრამით ტკბობისას.

# მოდაში ფერადი საპატარძლო კაბები შემოდის

საქორწინო ცერემონიისთვის ცისფერ, ვარდისფერ ან წითელ კაბას სულ უფრო მეტი პატარძალი ანიჭებს უპირატესობას. ამას ვარსკვლავების მაგალითიც ადასტურებს: ჰოლივუდელი მსახიობები — რიზ უიზერსპუნი, ენ ჰეტუვეი და გვინეტ პელტროუ ვარდისფერ კაბაში გამოწყობილები მივიდნენ საკურთხეველთან; ვარდისფერი კაბა ეცვა ქორწილში ჯასტინ ტიმბერლეიკის მეუღლეს, მსახიობ ჯესიკა ბილს. სპეციალისტებმა ამ თემასთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩაატარეს, რომელშიც 18-დან 24 წლამდე ასაკის გოგონებმა მიიღეს მონაწილეობა. შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 27% ქორწილში უპირატესობას ფერად კაბას ანიჭებს, ხოლო ყოველ მეათეს კი სურს, წითელ სამოსში გამოწყობილი გათხოვდეს. აღსანიშნავია, რომ ფერად საქორწინო კაბებს განსაკუთრებით ახალგაზრდა მანდილოსნები ირჩევენ, 35-45 წლის ქალბატონები კი მიიჩნევენ, რომ ამ დღეს აუცილებლად თეთრი კაბა უნდა ეცვათ. კვლევების მიხედვით გაირკვა, რომ საქორწინო კაბის ფერს სიმბოლური დატვირთვაც აქვს. მაგალითად, წითელი სიხარულის გამოხატულებად მიიჩნევა, ყვითელი კაბა კი ბედნიერებასთან ასოცირდება. აღსანიშნავია, რომ აზრი მამაკაცებსაც ჰკითხეს, რომელთა უმრავლესობამაც პარტნიორის საქორწინო კაბის ფერად საყვარელი საფეხბურთო გუნდის ფერები დაასახელა.





# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | | 7 | | | | | |
| | | 4 | | | | 6 | 7 | |
| 1 | | | | | 6 | | | 3 |
| 5 | 1 | | | | | 3 | | |
| 4 | | | | 3 | | | | 2 |
| | | 2 | | | | | 9 | 4 |
| 6 | | | 5 | | | | | 1 |
| | 4 | 3 | | | | 5 | | |
| | | | | | 9 | | 6 | 7 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | | | | 9 | 8 | | |
| 7 | 5 | | | | 4 | | | 1 |
| | | | | 3 | | | 6 | |
| | | 7 | | | | | 1 | 6 |
| | | | 6 | | 2 | | | |
| 9 | 8 | | | | | 5 | | |
| | 2 | | | 9 | | | | |
| 4 | | | 5 | | | | 2 | 3 |
| | | 3 | 1 | | | | 5 | 9 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | 8 | 5 | | 4 |
| | 1 | | | | | | 7 | |
| 9 | | 5 | 2 | | 4 | | | |
| 5 | | 8 | | | | | 4 | 9 |
| | | 2 | | | | 8 | | |
| 3 | 9 | | | | | 7 | | 5 |
| | | | 7 | | 6 | 3 | | 1 |
| | 3 | | | | | | 5 | |
| 1 | | 7 | 3 | 4 | | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | | | | 6 | |
| 9 | | | | | 6 | | | 7 |
| | | 1 | | 7 | 8 | 9 | | |
| 4 | | | 2 | 6 | | | 1 | |
| | | | | 4 | | | | |
| | 6 | | | 5 | 7 | | | 8 |
| | | 3 | 6 | 9 | | 8 | | |
| 2 | | | 5 | | | | | 3 |
| | 8 | | | | | | 4 | |



1. ერთკუზიანი აქლემი
2. თვე, რომლის ქართული ხალხური სახელწოდებაა ენკენისთვე
3. ბურთის ოსტატური ტარება ფეხბურთში
4. ტბა ჩრდილო ამერიკაში
5. ძველი საბუთების საცავი
6. ძველი ფრანგული ოქროს ფული
7. (ძვ.) იგივეა, რაც ჯალათი
8. მკურნალობის ღმ. რომ. მითოლოგ.
9. დათვის ნაშიერი
10. ვარდი - რუსულად
11. გრამატიკის ნაწილი
12. ფრანგი პოეტი
13. საქსოვი მანქანის გამომგონებელი
14. რძის ნაწარმი
15. რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი
16. სოფელი ონის რაიონში
17. განხეთქილება ეკლესიაში
18. ძველბერძენი მეიგავე
19. ილია ჭავჭავაძის მშობლიური ქალაქი
20. გასეირნება ბავშვის ენაზე
21. ჩხიკვი ქეთევანის სატრფო
22. ავრორას ბერძენი „კოლეგა“
23. კავკასიის მთიელთა სოფელი
24. ძველბერძნული ენა
25. ედვარდ მუნკის ცნობილი ნახატი
26. დახრილი კოშკით ცნობილი ქალაქი
27. ვენესუელას ექს-პრეზიდენტი ... ჩავესი
28. „ფისტაშკის“ ქართული სახელწოდ.
29. პაპინიას უმცროსი შვილიშვილი
30. შხამიანი გველი
31. ენაჩლუნგი
32. ავტომატ. ელექტროხელსაწყო
33. ძველი ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო
34. ხმელეთის უდიდესი ცხოველი
35. პოპულარული ბრაზილიური ცეკვა
36. მდ. ვოლგის ძვ. სახელწოდება
37. ამირანის ერთ-ერთი ძმა
38. ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია
39. ძველებური თოფი
40. თიხის ჭურჭელი წყლისათვის
41. გერმან. ნაკრების ყოფილი მეკარე
42. იანვრის ძველი სახელწოდება
43. ისტორიის მუზა
44. ბასკეთის ქვეყნის უდიდესი ქალაქი
45. ნაბიჯი ბალეტში
46. საიდუმ. რელიგიური წესების შესრულება
47. უკუზო აქლემი
48. ბურთის გასვლა მოედნიდან
49. მსახიობი ... რიშარი
50. ინდიელთა ტომი
51. „რეშკას“ მოპირდაპირე მხარე
52. ქართული მითოლოგიის პერსონაჟი
53. სოფელი გორის რაიონში
54. იაპონელი მწერალი
55. აშშ-ის მეგაპოლისი ...-იორკი
56. სასტუმროს მსახური ბიჭი
57. სამი წერტილი კამათელზე
58. დიდი ესპანელი ფერმწერი
59. ღობეზე გადასასვლელი ადგილი
60. ფრანგი ოკეანოგრაფი
61. პარკოსანი მცენარე
62. პოლიგრაფიული საწარმო
63. მარნის პატრონი „ღვინის ქუდებში“
64. რუმინელი ფეხბურთელი

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 8 | 2 | 4 | 7 | 3 | 6 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 1 | 9 | 2 | 4 | 8 |
| 4 | 3 | 2 | 8 | 6 | 5 | 1 | 9 | 7 |
| 6 | 7 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 | 5 | 4 |
| 8 | 4 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 3 | 2 |
| 2 | 5 | 9 | 4 | 3 | 8 | 7 | 1 | 6 |
| 5 | 2 | 4 | 1 | 7 | 3 | 6 | 8 | 9 |
| 9 | 1 | 7 | 6 | 8 | 4 | 5 | 2 | 3 |
| 3 | 8 | 6 | 5 | 9 | 2 | 4 | 7 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 9 | 7 | 5 | 4 | 8 | 3 | 2 |
| 4 | 8 | 7 | 3 | 6 | 2 | 5 | 1 | 9 |
| 5 | 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 6 |
| 3 | 7 | 8 | 2 | 4 | 6 | 1 | 9 | 5 |
| 6 | 5 | 2 | 9 | 1 | 3 | 7 | 8 | 4 |
| 9 | 4 | 1 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 |
| 2 | 3 | 4 | 6 | 8 | 1 | 9 | 5 | 7 |
| 8 | 9 | 6 | 5 | 3 | 7 | 2 | 4 | 1 |
| 7 | 1 | 5 | 4 | 2 | 9 | 3 | 6 | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 9 |
| 9 | 4 | 5 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 3 | 2 | 1 | 7 | 9 | 6 | 8 | 5 | 4 |
| 4 | 3 | 2 | 5 | 8 | 7 | 1 | 9 | 6 |
| 1 | 6 | 8 | 3 | 4 | 9 | 5 | 2 | 7 |
| 7 | 5 | 9 | 6 | 2 | 1 | 4 | 3 | 8 |
| 2 | 1 | 3 | 9 | 7 | 4 | 6 | 8 | 5 |
| 6 | 8 | 4 | 1 | 5 | 3 | 9 | 7 | 2 |
| 5 | 9 | 7 | 8 | 6 | 2 | 3 | 4 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 3 | 8 | 4 | 9 | 2 | 7 | 5 |
| 5 | 2 | 4 | 3 | 7 | 1 | 9 | 8 | 6 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 2 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 8 | 1 | 6 | 9 | 5 | 7 | 3 | 4 | 2 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 6 | 3 | 8 | 5 | 7 |
| 7 | 3 | 5 | 4 | 8 | 2 | 6 | 1 | 9 |
| 6 | 5 | 1 | 2 | 3 | 8 | 7 | 9 | 4 |
| 3 | 4 | 9 | 7 | 1 | 6 | 5 | 2 | 8 |
| 2 | 7 | 8 | 5 | 9 | 4 | 1 | 6 | 3 |

მე-13 გვერდი: 1. „მარსელიეზა“; 2. მარმარილო; 3. მარკა; 4. ჩირი; 5. შევარდნაძე; 6. ეუსებიო; 7. როსი; 8. ზესკნელი; 9. მაჭარი; 10. სიგა; 11. ობერტონი; 12. სოროსი; 13. კრამსკოი; 14. აგორა; 15. ბაია; 16. ბილანი; 17. ლორდი; 18. „ლაციო“; 19. გრავე; 20. ვირი; 21. კილვატერი; 22. აიაზმა; 23. გიაური; 24. ფლობერი; 25. როკფორი; 26. აკელა; 27. ღიპი; 28. ნევა; 29. ქილია; 30. ზღვა; 31. იმპიჩმენტი; 32. ნიშა; 33. არია; 34. ალქიმია; 35. იონია; 36. ძოწი; 37. ლეკვი; 38. აპლომბი; 39. ირა; 40. მძივი; 41. ოძრხე; 42. ია; 43. კალა; 44. უმა; 45. პეშტი; 46. რეკვიემი; 47. მიქაელი; 48. ემუ; 49. მოირა; 50. მზექალა; 51. იხვი; 52. სარეველა; 53. მალავი; 54. მეი; 55. ალონიმი; 56. „გზა“; 57. ერი; 58. ვიზა; 59. ლენსკი; 60. ეოლე; 61. ვოლტერი; 62. ზიკო; 63. მარატ; 64; მისია; 65. ექო; 66. თეო; 67. ლუპა; 68. ამინ; 69. ტონა; 70. სკრა; 71. ითილი; 72. იდო; 73. ბატალია; 74. უემბლი; 75. რი; 76. იმპერია; 77. რელსი; 78. რაე; 79. შარბათი; 80. „აინტრახტი“; 81. ბათო; 82. დამა.


## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

1. თვითმფრინავის კორპუსი
2. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
3. ზევსის ბებია
4. პროტესტანტების მღვდელი
5. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე
6. ქართველებით დასახლებული პროვინცია ირანში
7. ფლორენციის სურათების გალერეა
8. გარკვეულ გეოგრ. არეში გავრცელებული მცენარე
9. შლამის თევზი
10. დღის მომდევნო დღეს
11. საკონდიტრო ნაწარმი
12. ვალერი მელაძის ჰიტი
13. ოცწახნაგა გეომეტრიული სხეული
14. თოვლის კაცი
15. რუსი კინოვარსკვლავი ალისა ...
16. სიკო დოლიძის ფილმი ფირალ ქალზე
17. წყლიანი ადგილი უდაბნოში
18. წინასწარ გადახდილი თანხა შესრულებული სამუშაოსათვის
19. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
20. ერთი ენისათვის დამახასიათებელი დაუშლელი გამოთქმა
21. უკრაინელი პოეტი ... უკრაინკა
22. აშშ-ის შტატი
23. იტალ. მწერალი
24. რომის იმპერატორი
25. იაპონელი მწერალი რიუნოსკე ...
26. დროის მონაკვეთი ფეხბურთში
27. „იქ“ – ძველ ქართულში
28. სახოტბო ლექსი
29. ერთეულთა საერთაშორისო სისტემა (შემოკლ.)
30. გასეირნება ბავშვის ენაზე
31. ებრაელთა წინამძღოლი ... ნავე
32. მომხმარებლის „ფსევდონიმი“ ინტერნეტში
33. ესპანური მოდის ბრენდი
34. დაჭყლეტილი ყურძნის მასა
35. ავსტრალიის უდიდესი მდინარე
36. იაგოს ცოლი „ოტელოში“
37. ოთახის დეკორატიული მცენარე
38. ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრი
39. ზურიკელა ვაშალომიძის ძაღლი
40. მუსიკოსი ... ჩარლზი
41. დებულება, რომელიც არ საჭიროებს დამტკიცებას
42. შვეიცარიული გრძელტარიანი შუბი
43. ეკვადორის დედაქალაქი
44. ბიბლიური წინასწარმეტყველი
45. რქებდახრილი ხარი
46. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (აბრევ.)
47. ველური ვაშლი
48. ყინული – ინგლისურად
49. მტაცებელი ფრინველი
50. ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი პრეზიდენტი
51. ნაპოლეონის საყვარელი ცხენის სახელი
52. ნაპოლეონ ბონაპარტეს პირველი ცოლი
53. ვერდის ოპერა „...-მასკარადი“
54. ხეებზე ჩამოსაკიდი ბადისებური საწოლი
55. გურამ ფანჯიკიძის რომანი „მეშვიდე ...“
56. თბილისის ერთ-ერთი უბანი
57. რკინისა და ნიკელის შენადნობი
58. ქალაქი იტალიაში
59. მდინარე ერევანში
60. ლეგენდ. რუმინელი ვამპირი გრაფი
61. ცისარტყელას ქალღმერთი
62. ხვეწნა, მუდარა (ძვ.)
63. მდინარის ქვიანი ნაპირი
64. სამწლიანი ცხენების დოღი
65. თამბაქოს ბოლის ღრმად ჩასუნთქვა
66. თავის ტვინის „სათავსი“
67. კოსმეტ. ფირმა „...-ფაქტორი“
68. ხურდა ფულის შესაგროვებელი ჭურჭელი
69. კიდევ, ხელახლა
70. ბანქოს თამაშის სახეობა
71. სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა
72. ბუდიზმის დამაარსებელი
73. იტალიელი მსახიობი ... მანიანი
74. ჩაის „პრინცესა“
75. მსახიობის მიერ განსახიერებული სახე
76. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
77. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი
78. იესო-ქრისტეს სახელი ისლამში
79. საუდის არაბეთის დედაქალაქი ...-რიადი
80. ტიბეტური ბუდიზმის სულიერი ლიდერი ... ლამა
81. საფქვილე ყუთი წისქვილში
82. ტროას ომის გმირი
83. ტაილანდში მცხოვრები ხალხი
84. შოკოლადის ხე
85. ჯეოსელის ბარათი
86. IV მუსიკალური ინტერვალი
87. ფოსტით გაგზავნილი შეფუთული ნივთი
88. სპარსი პოეტი ... ხაიამი
89. ციხე, სადაც გრაფი მონტე-კრისტო იჯდა




**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com


## ნარინჯისფერი ხილ-ბოსტნეული — ძვლების დამცველი



ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული ძვლების მოტეხილობის რისკს ამცირებს, განსაკუთრებით ეფექტური კი, ასეთი პროდუქტის მიღება ხანდაზმული ადამიანებისთვისაა. შესაბამისი კვლევა ამერიკელმა მეცნიერებმა ჩაატარეს, შედეგების თანახმად დადგინდა, რომ გამხდარ და ხანშიშესულ ადამიანებში საკმაოდ მაღალია ბარძაყის ძვლის მოტეხილობის საშიშროება, სწავლულების მტკიცებით, ნარინჯისფერი საკვები, რომელიც დიდი რაოდენობით კაროტინს შეიცავს, ამ რისკს საგრძნობლად ამცირებს. კვლევების თანახმად, ახალი უჯრედების ზრდისთვის და დაბერების პროცესის შესაფერხებლად აუცილებელია „ა“-ვიტამინი, რომელსაც ორგანიზმი კაროტინოიდებით (ბუნებრივი ორგანული პიგმენტი) გამოიმუშავებს. ამ ნივთიერებას უხვად შეიცავს სტაფილო, ციტრუსი და სხვა ნარინჯისფერი ხილ-ბოსტნეული.



# ჰოროსკოპი
## 18 ივნისი

***ვერძი*** — საკმაოდ სასიკეთო და ნაყოფიერი დღეა ვერძებისთვის. შეეცადეთ, ისე იმოქმედოთ, როგორც დაგეგმეთ. ცხადად გამოვლინდება თქვენი ორგანიზატორული ნიჭი, შეგიძლიათ, კარგი ხელმძღვანელი იყოთ. შესანიშნავ ურთიერთობებს ამყარებთ მაღალი თანამდებობის პირებთანაც.

***კურო*** — დღეს უფრო დაკვირვებული იყავით ახალი ნაცნობების შეძენისას — შემთხვევითმა გაცნობამ, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას იმ ურთიერთობას, რაც ძალიან ძვირფასია თქვენთვის. მცირე ფულადი დანაკარგიც გელით, ხარჯების მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი კი, იმაში მდგომარეობს, რომ დახმარებაზე უარს ვერავის ეუბნებით.

***ტყუპები*** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს ყველა დაგეგმილი საქმის განხორციელებას ვერ მოახერხებენ და ამას რაც უფრო ადრე მიხვდებიან, მით მეტ ენერგიას დაზოგავენ. გაითვალისწინეთ, რომ მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ. თუ რამის მიღწევა გსურთ, დამოუკიდებლად იმოქმედეთ. ფინანსური ფონი სასიკეთოა, საყიდლებისგან კი დღეს თავი შეიკავეთ.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს შეძლებენ ვითარების უკეთესობისკენ შემობრუნებას. ამისთვის, პირველ რიგში, მშვიდად უნდა გააანალიზონ მოვლენები. მეორეც, მოქმედების აბსოლუტურად ახალი გეგმა უნდა შეადგინონ. აქ შემოქმედებითი ნიჭი გამოგადგებათ, რადგან ნებისმიერი მიზნის მისაღწევად, ორიგინალური მეთოდების გამოყენება უკეთესია.

***ლომი*** — დღეს შეხვედრებით დატვირთული დღე გელით. მოგიწევთ ხელოვნებაზე დისკუსიაში ჩაბმა, ბევრი საუბარი მუსიკაზე, ფილმებსა და სხვა შემოქმედებით ნაწარმოებებზე. შეეცადეთ, უჩვეულო მსჯელობამ თანამოსაუბრეს თქვენი პერსონის მიმართ ინტერესი არ დაუკარგოს.

***ქალწული*** — დღეს ყველას დაანახებთ, რა შეგიძლიათ. არადა, საკუთარი შესაძლებლობების შესახებ თავადაც არ გაქვთ სრული წარმოდგენა. კარგი დღეა ფინანსებთან დაკავშირებით. შესაძლოა, ასევე შეხვდეთ გავლენიან ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

***სასწორი*** — დადგა შესაფერისი დღე, როცა სასწორებს შეუძლიათ, საფუძვლიანად შეცვალონ ყველაფერი და ახალი, საინტერესო საქმით დაკავდნენ. ცვლილებები პირად ცხოვრებაში მხოლოდ სიხარულისა და ჰარმონიის მომტანი იქნება, ამისთვის კი გაბედული ნაბიჯის გადადგმა მოგიწევთ.

***ღრიანკალი*** — დღეს მოთმინება და სიმშვიდე დაგჭირდებათ, რადგან მოგიწევთ რამდენიმე ადამიანს კომპიუტერთან მუშაობა ასწავლოთ, რაც იოლი სულაც არ იქნება და ამიტომ, ამ ფაქტს ისე მოეკიდეთ, როგორც ტესტს გამძლეობაზე.

***მშვილდოსანი*** — დღე სწრაფად ჩაივლის და მოვლენებით გადატვირთული იქნება, მაგრამ თუ რაიმე საქმის გაკეთებას ვერ მოასწრებთ, ნუ შეეცდებით თავსზემოთ ახტომას. დღეს სასიამოვნო შეხვედრები და ახალი რომანტიკული გატაცება გელით, მხოლოდ ნუ დააჩქარებთ მოვლენებს.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს არ ვურჩევთ მოვლენების ფორსირებას სამსახურში. საჭიროა, ჯიუტად განაგრძოთ დაწყებული საქმე, წესრიგი დაამყაროთ ყველგან, მით უმეტეს, სხვების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ. შეეცადეთ, თავი შეიკავოთ დიდი ფინანსური ხარჯებისგან.

***მერწყული*** — დღეს წარმოქმნილი პრობლემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იქნება, მაგრამ მათ მოგვარებაზე დიდი დრო და ენერგია დაგჭირდებათ. შეეცადეთ, დისტანცია დაიცვათ გარშემომყოფებთან და ყველაფერს ნუ დაიჯერებთ, რისი მოსმენაც მოგიწევთ.

***თევზები*** — თევზებს ახლა წვრილმანებით დაკავების დრო არ აქვთ. სჯობს, ერთი მიმართულება აირჩიოთ და მას მიჰყვეთ. კომპრომისზე წასვლაც მოგიწევთ, გარშემომყოფებსა და შინაურებთან ურთიერთობაში წონასწორობა რომ შეინარჩუნოთ. რაც მაღალია თქვენი მოთხოვნები, მით მეტია შეცდომის დაშვების ალბათობა.



# ფეხსაცმელი მძღოლი ქალებისთვის

ესპანელმა ბიზნესმენმა, რაფ გილიემმა მშვენიერი სქესის წარმომადგენელი მძღოლებისთვის საგანგებო ფეხსაცმელი შექმნა და მას Nubhes უწოდა. ახალი ტიპის აქსესუარის წარმოება კი მას შემდეგ დაიწყო, რაც აღმოაჩინა, რომ ქალისთვის განკუთვნილი ყველა ფეხსაცმელი, განსაკუთრებით კი ქუსლიანი, მანქანის სამართავად მეტად მოუხერხებელია. მიუხედავად იმისა, რომ მანდილოსნებს ავტომობილში ხშირად მოეძებნებათ სათადარიგო, მართვისთვის შესაფერისი ფეხსაცმელი, გილიემი მიიჩნევს, რომ საჭესთან ისინი მაინც შეუფერებელია. Nubhes კი ძალიან მსუბუქია, არც თასმები აქვს, ქუსლებსა და ფეხის წვერებზე კი უხეში საფენები აკრია და ფეხის ფიზიკური დატვირთვისას, მაქსიმალურად განტვირთავს ქვედა კიდურებს. ქალბატონები, რომელთაც მანქანაში უკვე მოირგეს Nubhes, აცხადებენ, რომ ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს საჭესთან სახლის ჩუსტით ისხდნენ.

# სისხლისმსმელი დედა



აშშ-ს პენსილვანიის შტატის მკვიდრი ჯულია კეპლსი, უკვე 30 წელია, სილამაზისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ვამპირიზმის მიმდევარია. ამ მიზნით იგი თვეში, დაახლოებით, 2 ლიტრ სისხლს სვამს. 45 წლის ჯულიას მეუღლე და ორი შვილი ჰყავს. როგორც თავად ამბობს, ამ უჩვეულო რაციონის მიმართ ლტოლვა პირველი კოცნის შემდეგ გაუჩნდა — სისხლის გემო პირველად 15 წლისამ გაიგო, როცა ბოიფრენდს კოცნისას შემთხვევით უკბინა. მალე მას ამ წითელი სითხის მიმართ ნამდვილი ლტოლვა გაუჩნდა, რაც მოგვიანებით, უკვე დამოკიდებულებაში გადაიზარდა. ქალბატონი კეპლსი ახლა იძულებულია, დონორის სისხლი დალიოს, თავი რომ კარგად იგრძნოს. მისი თქმით, თუ ამ „სასმელს“ დიდი ხნის განმავლობაში არ იღებს, ეს მის განწყობაზე უარყოფითად აისახება, მისი სილამაზე კი ჭკნობას იწყებს. მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჯულია იმ ადამიანებს უკავშირდება, რომლებიც მზად არიან, მისთვის საკუთარი სისხლი გაიღონ. ქალი დარწმუნებულია, რომ მისი ცხოვრება ვამპირიზმთანაა დაკავშირებული და მომავალ მეუღლესაც სწორედ ამ თემისადმი საერთო ინტერესების წყალობით შეხვდა, რომელმაც „ვამპირიზმზე“ ცოტა ხნის წინ თავად თქვა უარი. ბავშვებმა დედის უცნაური მისწრაფების შესახებ ყველაფერი იციან, თუმცა ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ.

# ჩვილი წებოთი გადაარჩინეს



აშშ-ში, კანზასის ერთ-ერთი კლინიკის ექიმებმა ნამდვილი სასწაული მოახდინეს — მათ ახალშობილი სამედიცინო სუპერწებოს გამოყენებით იხსნეს დაღუპვისგან. ეშლინ ჯულიანის მშობლებს 20 დღის დაბადებული ქალიშვილის გაღვიძება გაუძნელდათ. მერე ბავშვს ღებინება დაეწყო, საავადმყოფოში კი პატარას ტვინში ანევრიზმის დიაგნოზი დაუსვეს. რადგან ეს დაავადება ახალშობილებში ფაქტობრივად არ გვხვდება, შესაბამისი სამედიცინო ინსტრუმენტებიც არ გაგვაჩნია. არ ვიცოდით, რა გვეღონა, არადა ანევრიზმის ამოკვეთის გარეშე ბავშვის გადარჩენის შანსი არ არსებობდა, — აცხადებს ერთ-ერთი ნეიროქირურგი. ვიდრე მედიკოსები პატარას გადარჩენის მეთოდებზე მსჯელობდნენ, მისი მდგომარეობა გართულდა. სტანდარტული მკურნალობა თავის ქალის ახდას საჭიროებს, თუმცა, ეშლინის ასაკის გამო, ეს მიზანშეუწონელი იყო. ერთ-ერთმა ექიმმა სხვა ხერხი მოიფიქრა და წარმოუდგენელ რისკზე წავიდა — პროცედურისთვის სპეციალური სამედიცინო წებო გამოიყენა. თმის ღერივით წვრილი მინიკატეტერი გოგონას კისერში გაუკეთა, ანევრიზმამდე მივიდა და წებოთი ამოავსო. საბედნიეროდ, ამ ინოვაციურმა მეთოდმა გაამართლა — ახალშობილის მდგომარეობა ერთ დღეში გაუმჯობესდა.

# კოფეინი კანის კიბოსგან იცავს

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის ონკოლოგების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, კოფეინის შემცველი პროდუქტი საუკეთესოა ბაზალურ-უჯრედული კარცინომის პროფილაქტიკისთვის. სპეციალისტების განცხადებით, რაც მეტია კოფეინი, მით ნაკლებია კიბოს რისკი. მკვლევარები 113 ათას ადამიანზე თითქმის 20 წლის განმავლობაში ატარებდნენ დაკვირვებას. მათგან 22800 ადამიანს განუვითარდა ცარცინომა. ამასთან, კიბოს განვითარება გაცილებით დაბალი იყო მათში, ვინც კოფეინის შემცველ პროდუქტებს — ყავასა და კოლას დიდი რაოდენობით მოიხმარდა. უკოფეინო ყავის მომხმარებლებში ასეთი შედეგები არ დაფიქსირებულა. ამის მიუხედავად, სწავლულები კოფეინის დიდი რაოდენობით მიღების რეკომენდაციას არ იძლევიან, რადგან ამან, შესაძლოა, გართულება გამოიწვიოს დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში.



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | | | 3 | 8 |
| | | | | 4 | | | 9 | |
| 1 | 9 | | | 2 | | | 5 | |
| | | | | 8 | 6 | | | 3 |
| | 4 | | | | | | 2 | |
| 2 | | | 7 | 5 | | | | |
| | 3 | | | 9 | | | 4 | 6 |
| | 1 | | | 7 | | | | |
| 4 | 7 | | | | | 3 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 6 | | | | 4 | | |
| 4 | 5 | | | 9 | | | | 2 |
| | | 8 | | | 3 | | 5 | |
| | | | 2 | | 6 | 5 | | |
| | 2 | | | 3 | | | 8 | |
| | | 5 | 9 | | 1 | | | |
| | 3 | | 7 | | | 9 | | |
| 5 | | | | 1 | | | 3 | 8 |
| | | 9 | | | | 2 | 7 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | | | 5 | | | | 9 |
| | 5 | | | | | | | |
| | | 2 | 9 | 8 | 7 | | | |
| | | | | | 4 | | 3 | |
| 3 | | 1 | 8 | | 6 | 7 | | 5 |
| | 6 | | 5 | | | | | |
| | | | 3 | 1 | 5 | 2 | | |
| | | | | | | | 8 | |
| 1 | | | | 6 | | | 7 | 4 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | 3 | | 7 | |
| | 4 | | | | 1 | 9 | | 8 |
| 8 | | | | | | 1 | | |
| 7 | | | 9 | 8 | | | | |
| 9 | | 4 | 2 | | 5 | 8 | | 7 |
| | | | | 7 | 4 | | | 1 |
| | | 7 | | | | | | 5 |
| 3 | | 2 | 4 | | | | 1 | |
| | 5 | | 6 | | | 3 | | |



# კორსეტით წელი დაიწვრილა

ბერლინელი ახალგაზრდა, 24 წლის მიშელ კობკე, კომპლექსის გამო, სამი წლის განმავლობაში კორსეტს ატარებდა. კატეგორიულად არ მინდოდა დიეტა, რადგან ვიცოდი, ეს უშედეგო იქნებოდა, — ამბობს გერმანელი ქალი, რომელმაც ტრადიციული გასახდომი მეთოდების ნაცვლად, კორსეტის გამოყენება გადაწყვიტა. შედეგად, მიშელი ისე მიეჩვია გარდერობის ამ მოუხერხებელ დეტალს, რომ ძილის დროსაც კი არ იხსნიდა. ამასობაში, ახალგაზრდა ქალის წელი 14 სანტიმეტრით დაწვრილდა და ახლა 40-სანტიმეტრიანია, თუმცა კობკე მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს და სურს, ამერიკელი კეტი იუნგის რეკორდი მოხსნას — 165 სანტიმეტრის სიმაღლის ქალს წელის ზომა 38,1 სანტიმეტრი აქვს. მიმაჩნია, რომ ახლა იდეალური ფიგურა მაქვს, საკუთარი თავის რწმენა განმიმტკიცდა და ჩემი სხეულიც ძალიან მომწონს, — ამბობს მიშელი. მედიკოსები კი გახდომის ამ მეთოდს არ იწონებენ და აცხადებენ, რომ ასე შესაძლოა, შინაგანი ორგანოები დაზიანდეს, ასეთ სიგამხდრეს კი სილამაზესთან არანაირი კავშირი არ აქვს.

# ყველაზე მოსაწყენი ღირსშესანიშნაობები

ბრიტანულმა გაზეთმა „თაიმი“ მსოფლიოს პოპულარული ტურისტული ღირსშესანიშნაობებიდან ყველაზე მოსაწყენები ამოარჩია, თავისებური რეიტინგიც შეადგინა და მკითხველს მათი ალტერნატიული ვარიანტიც შესთავაზა. გაზეთის არჩევანი სუბიექტურია და შეიძლება, ბევრი მას არ დაეთანხმოს, მაგრამ მაინც ვნახოთ „თაიმის“ რეიტინგი და მისი რჩევებიც გავითვალისწინოთ.

პიზის კოშკი (იტალია) — ამ ადგილის მონახულება არაფერს მოგცემთ, გარდა იმისა, რაც უკვე ისედაც იცით ფოტოებიდან. ეს გადახრილი კოშკია. ადგილზე მხოლოდ აუცილებელი ფოტოს გადაღება გჭირდებათ და უკვე შეგიძლიათ დატოვოთ იქაურობა. ამის ნაცვლად, უმჯობესი იქნება, თუ იქვე ახლოს, პატარა, შუასაუკუნოვან ქალაქ სან-ჯიმინიანოში გაემგზავრებით, სადაც შესანიშნავი მუზეუმებია, პრესტიჟული მუსიკალური ფესტივალი იმართება და გრანდიოზული ხედებია ტოსკანურ პეიზაჟებზე.

კოპაკაბანა (ბრაზილია) — ერთ დროს ეს რიოს მდიდრული რაიონი იყო. კოპაკაბანა დედამიწაზე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილია. თუ აქ წასვლას აპირებთ, შეეცადეთ, პირი არ გააღოთ, მოერიდეთ მათხოვრებს, უფრთხილდით ჯიბის ქურდებს, მეძავებს და საერთოდ, სჯობს, კოპაკაბანას ნაცვლად, იქვე ახლოს, იპანემაზე გაემგზავროთ, სადაც თვალსა და გულს ახარებენ რიო-დე-ჟანეიროს მშვენიერი მცხოვრებლები.

ტბა ტიტიკაკა (პერუ, ბოლივია) — ადგილობრივებმა აქ მცურავი სოფელი უროსი გააშენეს, ინკებისგან თავი რომ დაეღწიათ, მაგრამ ახლა ტურისტების ურდოებს ველარაფერს უხერხებენ. სტუმრებს ყალბი ღიმილითა და უაზრო სუვენირებით ხვდებიან, ამიტომ აჯობებს, ჩრდილოეთით, ნაკლებად ცნობილ ტბა უმაიოზე გაემგზავროთ და უმშვენიერეს მოვლენას — მზის ამოსვლას იქ შეხვდეთ.

ჰოლივუდის დიდების ხეივანი (აშშ) — ეს ტროტუარის ნაწილია ვარდისფერი ფილებით. 20 წლის წინ ის რეკლამის ახალ სახეობად მიიჩნიეს, რომელიც მერე ისტორიულ ძეგლად გამოაცხადეს. ახლა კი ეს ჩვეულებრივი ტროტუარია, რომელსაც სანსეტის ბულვარი ბევრად სჯობია, სადაც გასაოცარ „წარმოდგენას“ ნახავთ სერფერების, ჰიპების, კალათბურთელებისა თუ მზეს მიფიცხებული მანდილოსნების მონაწილეობით. გარწმუნებთ, ყოველი მათგანი ნამდვილი ვარსკვლავია.

ლას-ვეგასი (აშშ) — არსებობს კაზინოების ორი სახეობა — ერთში თავს „ბონდიანას“ გმირივით გრძნობ, სხვაგან კი გაცვეთილი „ფიშკების“ სუნი იგრძნობა. ლას-ვეგასის ნებისმიერ კაზინოში სწორედ ასეთ ვითარებას გადააწყდებით, სადაც ზომბების ლეგიონი შეგხვდებათ. ჯერ არსად ასე დიდი არ ყოფილა უფსკრული რეალობასა და მოლოდინს შორის; დედამიწაზე არსად არაა უფრო ნაკლებად მდიდრული ადგილი, ვიდრე ლას-ვეგასის კაზინო. ამის ნაცვლად... თუმცა, არავითარი „ნაცვლად“. ლას-ვეგასი ერთია და ალბათ, უმჯობესიც კია, რომ ეს „ნაცვლად“ არ არსებობს.





ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.

# „რუსთავი 2“-ის დაბადების დღე — თინეიჯერობის ბოლო წელი და გრანდიოზული ღონისძიება „ბუდა ბარში“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„რუსთავი 2“-ის ყველა თანამშრომელსა და არხის გულშემატკივარს ვულოცავ „რუსთავი 2“-ის მე-19 დაბადების დღეს. საუკეთესოები ხართ საქართველოში და ასე გააგრძელეთ! თუ ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ რამე უკავშირდება ხარისხს, ეს თქვენი გაკეთებული ტელევიზიაა! თინეიჯერობის ბოლო წელია და ავიწყვიტოთ, როგორც საჭიროა, მომავალი წლიდან კი დასერიოზულება გვმართებს“, — ამ სიტყვებით დაასრულა მილოცვა „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ.**

გრანდიოზული დაბადების დღე — წითელი ხალიჩა, უზარმაზარი ტორტი, გემოვნებიანი მუსიკა „საქართველოს ვარსკვლავის“ მონაწილეთაგან... ასევე, „ფორმულა კრეატივთან“ არსებული ვაჟთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის — „გამოუვალი მდგომარეობა“ — მიერ შესრულებული ცნობილი ჰიტები „ჩემი ცოლის დაქალებიდან“... ყველაფერი ეს ღია ცის ქვეშ, „ბუდა ბარის“ წინ, წითელ ხალიჩაზე ხდებოდა. საღამოს ორგანიზატორებმა დაბადების დღის პირველი ნაწილი ორიგინალურად დაასრულეს: „კურიერის“ წამყვანები — ზაალ უდუმაშვილი და დიანა ჯოჯუა ამწეს საშუალებით დაეშვნენ და, ხანგრძლივი ფოიერვერკების ფონზე, უზარმაზარი ტორტი გაჭრეს.

ამის შემდეგ, სტუმარ-მასპინძლებმა „ბუდა ბარში“ გადაინაცვლეს, სადაც ღონისძიება დილამდე გაგრძელდა. „ვერსია“ „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს, **ნიკა გვარამიას** გაესაუბრა:

**„რუსთავი 2“, მართლაც, ნომერ პირველი ტელევიზიაა და ეს თავისი არსებობის 19 წლის განმავლობაში დაამტკიცა. მაყურებლებს ყველაზე საინტერესო პროდუქციას — გადაცემებსა და თოქშოუებს ვთავაზობთ და ამ ტენდენციას ახალი სეზონიდანაც გავაგრძელებთ. ჩვენს გულშემატკივრებს, მათ შორის, თქვენც გილოცავთ საქართველოში ყველაზე რეიტინგული არხის დაბადების დღეს. თუ ხელს არ შეგვიშლიან და არ გაგვაჩუმებენ, უფრო მეტ საინტერესო სიახლეს შემოგთავაზებთ“.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა **ნათია სუხიაშვილმა** „ვერსიას“ ექსკლუზიურად გაანდო ორიგინალური საჩუქრის ამბავი:

**„დიდხანს ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა, „რუსთავი 2“-თვის მეჩუქებინა და ბოლოს გადავწყვიტე, ნიკა გვარამიასთვის უწყება მომეტანა, მაგრამ მერე გადავიფიქრე, რადგან არ მინდოდა, დღევანდელი დღე ჩამემწარებინა, ამიტომ ნიკა გვარამიას ჩვეულებრივად მივულოცე“.**

კანონით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს უფლება აქვს, ამა თუ იმ კომპანიის ხელმძღვანელს ან უწყება გადასცეს, ან ზეპირი შეტყობინება. როგორც ჩანს, ნათია სუხიაშვილმა ნიკა გვარამიას სწორედ ზეპირი შეტყობინება გადასცა, რადგან მილოცვის დროს, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი აშკარად გაფითრდა...

„ვერსია“ „რუსთავი 2“-ის ყველა თანამშრომელს 19 წლის იუბილეს ულოცავს, წარმატებებს, საინტერესო პროექტებს, მაღალ რეიტინგსა და უამრავ მაყურებელს უსურვებს!









